

825
1987

ISSN : 0763 - 7247



ବ୍ୟାକାଶ

ପ୍ରାଚୀନତାଙ୍କ ଓ ଜ୍ଞାନପାଇଁ ପ୍ରକାଶିତ ପ୍ରକାଶନ ପରିଷଳା

୩୧୬୦୫୦

N° 13

PARIS

ମୁଦ୍ରଣ

1987

M A I

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო ნ ი მ ე რ ი

*** ს ა ი უ ბ ი ლ ე ო ნ ი მ ე რ ი ს ა ი უ ბ ი ლ ე ო ნ ი მ ე რ ი ს ა ი უ ბ ი ლ ე ო ნ ი მ ე რ ი

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, პირული მისამართისა, შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეჭისა, შენ ხარ აღმზრდელი ლვთაებამდე კაცთ ბუნებისა“ — ი ლ ი ა

ა ღ დ გ თ მ ა

საქრისტიანო სამყარომ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის მისტერია წელს 19 აპრილს იზეიმა; მართლმორწმუნე ქრისტიანნო მჟღალუშვილნო! გილოცავთ ამ დიდებულ დღესას-წაულს, სიმბოლოს სიცოცხლის განახლებისა და ადამიანის სულის უკვდავებისა. დაესწარით მრავალს ჯანმრთელნი და გულით მხიარულნი.

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით! გიხაროდენ.

ჩ ვ ე ნ ი ე რ ი ვ ნ უ ლ ი დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ი
ო ც დ ა ე ჭ ვ ს ი მ ა ი ს ა მ ბ ა

წლევანდელ 26 მაისს 69 წელიწადი სრულდება ჩვენი სამ-შობლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სა-ჯაროდ გამოცხადების მომენტიდან. ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილთა თაობები მოუთმენლად ელოდენ, უგალობდენ, ნიადაგს უმზადებდენ ამ სანუკვარ დღეს. ქართლის ღვიძლი ამაფ შვილები არასოდეს არ შეურიგდებიან მასზე ხელჭაფის, უცხოელ დამპყრობელთა მიერ ძალით თავს-მოხვეულ „კავშირებს“.

26 მაისობა ჩვენი უდიდესი ეროვნული დღესასწაულია. მასში განურჩევლად ჩაველმაქართველმა უნდა დაიდოს წილი, განიწმინდოს ჭაველგვარ ურთიერთ შურისა და მტრობისაგან



და განამტკიცონ ერთმანეთში ძმობა, ერთობა და სისტემული
და, ისევ ყაოდეს და იფურჩქნებოდეს 26 მაისის ცერემონია
დამოუკიდებელი საქართველო !

14 აპრილი ჩვენი დედაების დღე

1978 წლის 14 აპრილს ქართველმა ხალხმა, რომლის წინა
რიგებში კუთვნილად იდგა მისი ბრწყნველე ახალგაზრდობა,
ერთსულოვნად გამოიჩინა უსაზღვრო ერთგულება და თავდა-
დების მზადყაფნა დედაენისაღმი, რითაც შესაძლებელი გახდა
ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების წინააღმდეგ კრემლ-
ის მაშინდელი ხელისუფლების შემოტევის მოგერიება.

არანაკლები გულის ამჩქროლებელი იყო 1981 წლის 14 აპრი-
ლი, როცა, მიუხედავად მკაცრი აკრძალვისა და დაბრკოლებე-
ბისა, სვეტიცხოველში შეიკარენ ახალგაზრდები და ანთებული
სანთლებით ხელში დიდხანს გულმხეურვალედ ლოცულობდენ ქა-
რთველი ერისა და ქართული ენის მარადიულობისა და დიდე-
ბისათვის. ამ მგზნებარე მიმულიშვილებმა გადაწყვიტეს, რომ
14 აპრილი დაწესდეს ჩვენი დედა-ენის დღედ. მათ მოწოდე-
ბაში ნათქვამი იყო: „მოგმართავთ ჭაველ ქართველს ამ დღ-
ეს ლოცვით მოიხსენიოთ სამშობლო ჩვენი, ერი ჩვენი, და
ენა ჩვენი. დაე, ამ დღეს თქვენს მიერ უფლისაღმი საქართვე-
ლოსათვის დანთებული სანთელი იყოს სიმბოლო ქართველი ერ-
ის უკვდავებისა აწ და მარადის და უკუნითო უკუნისამდე.
ამინ!“

მკითხველთა საყურადღებოდ: ქვემოდ ვბეჭდავთ ბ-ნ გივი
შაორელის ლექსს, რომელშიც გვხვდება არქაული **ლ** ბერა.
ვინაიდან ჩვენს საბეჭდ მანქანას ეს ასო-ნიშანი არ გააჩნია,
ჩვენ მის მაგივრად ვიხმართ საერთაშორისო ტრანსკრიფიას-
ჯ-ს, და შემდეგშიაც, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ მუდამ
ამ ნიშანს გამოვიყენებთ. რედაქცია.

Հ Յ Ա Ր Տ Տ Ե Ա Գ Ա Լ Ո Յ Մ Ս Ե Ջ Ո Շ Ե Յ Ե Լ Ո
[Ը Ն Ծ Վ Ա Մ Ե Յ Ց Լ Ո Ո Լ Ո Ա Ս Ս Պ Լ Մ Տ Ա Թ Ա Ր Ա]

I

ՅԱՀԱՅԱԿԱՆ
ՆՈԽՀԱՐԱՐՈՒՅՈՒՆ

Միմունայ չարան յինսեր ոյսոնս
մլեցայ ահս թրերտայ սակորըզըլո,
ուսուտա սասոյ*), ուսասուցսո,
թշուրտմծմուտա դա թա՛շքրալու սակորըզըլո.

Ե լցուոսա, թարթոյ, թեռլուգ թոնիլո,
լմերտմանց մուսպա գալուտա, թատս ցեռուբալ**),
սուլուտա միմունուտայ արմկոնիլո,
թարտլուագ և լցուոսա դա լրկութ***) ցանսվորեթալ.

Թարագուս ծհիցնցալու թնատու լուրի,
մերմուցայ լցուուտա դա սուլուտ սաժիշրըզըլո,
չարան յինսերսո, ույժրոնիւգ լցուրի,
մլեցայ ահս թրերտայ սակորըզըլո.

II

Թուզեդուտ տապան լուսուտ չարանսա զանուսա,
նոնոյս թուլցնուլս օյսուս եարեթալ,
թեքըրեցըլսա կըրտուտա թուսա արմանուսա,
ուզերտ կուրտեցալ դա աղմսաարեթալ.

Թուզեդուտ տապան լուսուտ չարանսա յինսերսո,
զուտահլու ոցու մլեցա սակորըզըլո
թրերտայ յահուցըլուտա, ուսասուցսո,
հրալու ուլուցու, թուլլեթ****) սասուրըզըլո.

III

Դուզեթա չարանսա, դուզեթա, դուզեթա,
ծորուցուսա թելլուս, թենելլուսա կըտուլուսա,
չեցարդմու թալլու թուսցան թուգոնդեթա,
Շարազանդեդուտ ցարեթոնսուլուսա.

Չարանսա թաս դուզեթա ա՛յ դա թարագուս
դա սուկունուտ թուկունուսամլց,
տցանու աղցապիրուտ նեթու*****) լուս կարամդուս
դա լուցու մարցտիցատ դեգոյս պատուսամլց.

Ե Տ Ե Ա Ր Տ Յ Ե Ժ Ը Ն Ծ Վ Ա Մ Ե Յ Ց Լ Ո
Պ Ա Ր Ը Ա Յ Ե Բ Գ Ո Ս
Ո Ր Ը Յ Ե Մ Մ Ո Ւ Ղ Ո
Ք Ո Ւ Ղ Ո Ր Ո Ր Մ Ե Վ Ա



და ესრეთ ვილოცოთ გალობით ამითა:
„დედაო ღვთისა და წმიდაონინა,
გვიოხეთ მასთან, ვინც ვაზის ჯვარითა
სჯული უკვდავი მაღლით მოგვივლინა“.

იქ არს ტაძარი, მკვრივზე უმკვრივესი,
ხელით უქმნელი, უფლის სამწირველი,
სად სუფეს ჯვარი იესუ ქრისტესი,
ძლევაj მტერთა დია საკვირველი.

წმიდაი ჯვარი ქრისტე იესოსი,
ძლევაj მტერთა, ერის საჭურველი,
ქართველთა სასოj, უსასოესი,
ზღუდე ურღვევი, მოწლედ სასურველი.

*) უიმედოთა იმედი

გივი შაორელი

**) ცხოვრებად, სიცოცხლედ

7 აგვისტო, 1985

***) მრუდთა

გაშინგტონი

****) მარადის

26. მ ა ი ს ი

ოცდაექვსი მაისი
ცის და ქვეჭის სიამე,
ვით ცხოვრების აისი
აელვარდა ქართლის მზეთ;
დიდება შენს შვენებას,
შენს სახელს და ხსენებას.

*

ქარდუს ხმა და ძახილი,
მისი გრძნობის გულისით ქმა,
ტრფობით ცისკენ აჭრილი,
ვით სამყაროს თილისმა,
ჰიმნი თავისუფლების,
მოძმე ყველა ერების.

დედა-ქართლის მედროშე,
გრძნობა გორგასალური,
განგების ხმა გერგო შენ
ციდან ანდამატური;
ხარ შენ ტკბილი გალობა,
თვით მაცხოვრის წყლობა.

*

ჰანგი ქართველ ერისა,
მისი განახლებისა,
სიცოცხლის და ლხენისა,
მზის და ზეცის ფერისა;
მღერი ქართლის ლიდებას,
ქვეჭად მის უკვდავებას.

გ. ტოგონიძე : 26 მაისი

დავითის და თამარის
სულთახმობის ლიელივი,
გრძნეულ სულის საფარი,
სათნოება ულევი;
ხარ სამშობლოს ფიქრთა დგმა,
წინაპრების სიბრძნის ხმა.

*

სულით ვარსკვლავიანი
მერჩულე და პეტრიწი,
ბანოვანი, სვიანი,
შემყობილი ლაჟვარდ ცით,
გრძნობა რუსთაველისა,
მთელი ქართველ ერისა.

*

მტკვრის, ჭოროხის, რიონის
ცა, მთა, ბარი და ხევი
შენ გვეკვრიან მირონით,
სიამით და კურთხევით;
სათნოება ულევი
ზეცას ნასაღვურევი.

*

შენ გვეკვრიან ლოცვებით
ქართლის ტაძარ-ქოშები
და, გაშლილი დროშებით
გიგალობენ ცის ხმები;
ვაშა, შენს ამ მზეობას,
შენს ამ გრძნობის ზეობას.

*

თუმც შენ გწვავდა ოსმალოს
მღვრიე სულის ბურანი,
სპარსის დაშნა უწყვლო,
ყველა ერთად ყურანით
იდგა კვდომა, ვაება,
მძორი გრძნობის ავება.

მაგრამ დარჩი უძლებელი
სულით, გულით მარადის,
მაისის ცით ნაკმევი
სურნელება მზე-ვარდის;
ვაშა შენს ამ მხნეობას,
შენს ვაჟკაცურ სერობას.

*

ოცდაექვსი მაისი,
ქართლის ცა და ყამირი,
ათას გზების აისი,
ფერთა ბზობის საფარი,
ქართლის დედის შვენება,
დიდება შენს ხსენებას.

*

დღეგრძელობდე მარადის,
ვით სამშობლოს ხარება,
წმინდა ნინოს პალატის
ნათლისცემის შვენება,
ჰიმნი თავისუფლების,
ყველა კეთილ გრძნობების.

*

ოცდაექვსი მაისი
ქართლის მზე და მთოვარე,
ვით ცხოვრების აისი
ღვთის სამეფოს ვადარე;
მღერი ქართლის დიდებას
ქვეჭად მის უკვდავებას.

გიორგი ტოგონიძე
პარიზი. 26 მაისი 1948.

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების
სამოცდაშვილი წლისთავი

[რაღიო „თავისუფლება“-ს გადაცემიდან]

დღეს, 7 მაისს, სრულდება საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების 67 წლისთავი. ამ ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებდა ქართველი ერისთვის სანუკვარი დღე - 1918 წლის 26 მაისი როცა, მეფის რუსეთის 117 წლიანი ბატონობის შემდეგ, კვლავ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც ხელი მოაწერა საქართველოს ეროვნული საბჭოს ასმა წევრმა, მთავრობის სასახლის თეთრ დარბაზში ტრიბუნიდან წაიკითხა ახლადშობილი საქ-ს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე უორდანიამ. დამოუკიდებლობის ამ აქტში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„...საქ-ს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქ-ს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერი დან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქ-ო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2) დამოუკიდებელი საქ-ოს პოლიტიკური ფორმა ფეხმოკრატიული რესპუბლიკა არის. 3) საერთაშორისო ომიანობაში საქ-ო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. 4) საქ-ს დემოკ. რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან...“

საქ-ს დემოკ. რესპუბლიკამ, მოკლე დროის მანძილზე, მართლაც დაამყარა კეთილი ურთიერთობა თავის მეზობლებთან და მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოსთან. საქ-ს დამოუკიდებლობა დე ფაქტოდ და დე იურედ იცნო მსოფლიოს ოცმა სახელმწიფომ, მათ შორის: თურქეთმა, საფრანგეთმა, ღიღმა ბრიტანეთმა, იტალიამ, ბელგიამ, იაპონიამ და გერმანიამ.

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა საზავი ხელშეკრულება საბჭო. რუსეთსა და საქ-ს შორის. ხელშეკრულება, რომელსაც საქ-ს მხრიდან ხელი მოაწერა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილმა წევრმა გრიგოლ ურატა-

ძემ, ხოლო რუსეთის მხრით, საგარეო საქმეთა სახალიწიდების სრის მოაღვილე ღევ კარახანმა, —ოთხი ნაწილისგან შესდგება: —უფლებამოსილებისა და ხელშეკრულების დადების ოქმი; —თექვსეტი მუხლისგან შემდგარი ხელშეკრულება; —ოთხმუხლიანი სპეციალური საიდუმლო დანართი; და —სამმუხლიანი „თანდართული დამატებითი შეთანხმება“.

ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ვკითხულობთ: „რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევების უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყიფამდეც კი, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან, რუსეთი უსიტუოდ სცნობს საქ-ს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარის ყველგვარ სუვერენულ უფლებებზე, როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.“

ხელშეკრულების მეორე მუხლში კი ნათქვამია:

„ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი იღებს ვალდებულებას უარი თქვას საქ-ს შინაურ საქმეებში ყველგვარ ჩარევაზე.“

საიდუმლო დანართის პირველ მუხლში ვკითხულობთ:

„საქ-ო ვალდებულებას იღებს სცნოს საქ-ს ტერიტორიაზე მყიფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და საქმიანობის უფლება, კერძოდ: კრებების თავისუფალი მოწყობისა და თავისუფალი გამომცემლობების, მათ შორის, ბეჭ-დვითი ორგანოების, — უფლება. ყველ შემთხვევაში, არ შეიძლება გატარებული იქნას რაიმე რეპრესიული ღონისძიებები, როგორც სასამართლო, ისე აღმინისტრაციული ხასიათის, კერძო პირების მიმართაც, რომელთა საქმიანობა გამომდინარეობს კომუნისტური პროგრამის პროპაგანდა-აგიტაციისაგან ან კომუნისტურ პროგრამაზე დამყარებული პირებისა და ორგანიზაციების საქ-მიანობის მიმართ.“

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება საქართველოში გამოქვეყნებული არ ყოფილა საბჭოთა პერიოდში. იგი მოხსენებულია „საქ-ს ისტორიის ნარკვევებში“, ისე, რომ აშკარად სჩანს ქართველ კომუნისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობა, მიმართული არა მარტო არსებული წესწყაბილებისა და მთავრობის წი-

ნააღმდეგ, არამედ საერთოდ საქ. დამოუკიდებლობისა და უფლებათა ხელში ითვალისწინებოდის მოსპობისაკენ. „საიდუმლო დაწილებულის სახებ „საქ. ისტორიის ნარკვევები“ გვამცნობს, რომ: „მენშე-ვიკური მთავრობა იძულებული გახდა, პიველ ხანებში მაინც, ამ ხელშეკრულების ერთგული ყაფილიყო. პატიმრობიდან გაათავისუფლეს 900 -მდე კომუნისტი. კომუნისტურ ორგანიზაციებს ლეგალური საქმიანობის უფლება დართეს...“

აქ ჩვენის მხრით აღვნიშნავთ, რომ ამ საიდუმლო დანართის გამო საქ. ეროვნულმა ოპოზიციამ სასტიკად გააკრიტიკა საქართველოს მთავრობა, ოპოზიციამ, რომელიც იცავდა საქართველოს კომუნისტთა გავლენისაგან. მაგრამ ერთი რამ ცხადია, საქ-ს მთავრობა იცავდა თავის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას, როთაც მან ძლიერად დაასუსტა კომუნისტური გავლენა საქართველოში. ამას ადასტურებს ფილიპე მახარაძის წერილი (საიდუმლო), რომელშიც აღნიშნავს, რომ: „1921 წლის დასაწყისში, ე.ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა საქ-ში მეტის-მეტად უნუგეში იყო, რაც შედეგი იყო იმ ლეგალიზაციისა, რომელიც გამოცხადდა საბჭ. რუსეთსა და მენშევიკურ მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულების ძალით.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით „ს. ი. ნარკვევებში“ აღიარებულია, რომ საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ერთგული იყო მისმიერებები ხელმოწერილი ხელშეკრულებისა. ამას ვერ იტკიან საბჭ. მთავრობაზე, ლენინის მეთაურობით, რომელმაც უხეშად დაარღვია საქ-სთან დადებული ხელშეკრულება, როცა, 1921 წლის 11 თებერვალს, წითელმა არმიამ ხუთი მხრიდან გადალახა საქ-ს სახელმწიფო საზღვრები და უთანასწორო მმში კვლავ დაიპტო ახლად დაარსებული საქ-ს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩვენს სამშობლოში უცხო საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

დაბოლოს აღვნიშნავ, რომ მთელს საბჭ. კავშირსა, და ამით საქ-ში დაწყებული „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პოლიტიკის პირობებში, მიზანშეწონილი იქნებოდა საბჭ. რუსეთ-საქ-ს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების სრული ტექსტის გამოქვეყნება, რათა სიმართლე გაიგოს ყველა ქართველმა. დამოუკიდებლობის პერიოდის აღმოფხვრა შეუძლებელია ერის ისტორიული მესიერეებიდან.

საბჭოთა ორგანოების თვალში ჩვენც აღმათ იმ საშინელ ადამიანთა რიცხვში ვიქნებით, რომლებიც პრიმიტიული სიძულვილით არიან შეპყრობილნი საბჭოთა წესწყობილებისადმი და ყველგვარ პირობებში მისი უპირობო მტრები არიან. ჩვენ ამის შესახებ თავის მართლებას არ ვიყადრეთ, რადგანც რეუიმისადმი განწყობილება (მძულვარება თუ სიუვარული) ადამიანის და მოქალაქის ხელშეუხებელი უფლებაა. მაგრამ, როგორც არ უნდა იყს ჩვენი ენებათა ღლევა საბჭოთა წესწყობილების მიმართ, მაინც არავინ ჩვენზე მეტად არ არის მოწადინებული მის გალიბერალებაში და მის გადემოკრატიულებაში და ამიტომ ყველ ნიშანს ამ მიმართულებით ჩვენ ყველთვის დიდი ჟურალებით ვეკიდებოდით წარსულში და ვეკიდებით დღესაც. როგორია ეს ნიშანი თუ ნიშნები გორბაჩოვის ხელმწიფებაში ?

გამჭვინვარებულ საბჭოთა გეოგრაფიულ განედზე ოდნავ იგრძნობა გაზაფხულის ლღვობის მაუწყებელი სუსტი თბილი ნიავი, რომელიც შემდეგი ფაქტებით ცნაურდება:

1. საბჭოთა პრესაში შეიმჩნევა, თუმცა მოკრძალებული, ურთიერთ საწინააღმდეგო გამოსვლები.
2. საბჭოთა საინფორმაციო საშუალებებისათვის ტაბუს აღარ წარმოადგენენ სტიქიური უბედურებანი და კატასტროფები.
3. ხელოვნებაში საერთოდ და კინოში კერძოდ იგრძნობა მეტი თავისუფლება. მაგალითად, მოსკოვში მასიურად უჩვენებენ რეჟისორ აბულაძის კინოფილმ „მონანიებას“, სადაც სტალინის ავადმოსაგონარი პერიოდი ნაჩვენებია კარიკატურულ-ტრაგი-კომიკურად და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, დაშვებულია ამ ფილმისადმი კრიტიკოსთა და უბრალო მაყრებელთა სხვადასხვაგარი, ხშირად ურთიერთ საწინააღმდეგო დამოკიდებულებათა საჯაროდ გამომუღავნება.
4. და ბოლოს, საერთაშორისო ურთიერთობაში, კერძოდ, ატომბიროვული შეიარაღების შეზღუდვა-აკრძალვის ფაქტი და რთულ საკითხებში გორბაჩოვი იჩენს უფრო მეტ მოქნილობასა და დინამიზმს, ვიდრე მისი წინამორბედები.

მიუხედავად ზემოდ თქმული სა, სერიოზული პოლიტიკური წრეები და მიმომხილველები სკეპტიკურად არიან განწ-

ყობილნი გორბაჩივის შინაგანი სახელმწიფო რეფორმებისა, და
საერთაშორისო ინიციატივების რეალური შედეგების შესახებ
რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თვით საბჭოთა ხალხიც
ასევე სკეპტიკურად განტყობილი ჩანს გორბაჩივის, როგორც
საერთოდ ეროვნული პროლეტარიტურის მნიშვნელოვნად გაზრდის
და კერძოდ მოსახლეობის სურსათით დაცმაყოფილების, ისე
„საჯაროობისა“ და „დემოკრატიზაციის“ მყვირალა მოწოდება-
თა წარმატების მიმართ. ზოგიერთი კომენტატორი ამას იმით
ხსნის, რომ თითქოს სამოცდაათი წლის განმავლობაში საბჭო-
თა მოქალაქე შეეჩვია მონურად ზემოდან ბრძანებების მიღე-
ბას და მას აშინებდეს თავისუფლების პერსპექტივები, როცა
მას დასკირდება თავი გაანძრიოს, თვით გამოიჩინოს ინიცია-
ტივა. ჩვენ არამც და არამც ამ აზრს ვერ გავიზიარებთ.
გარდა ერთი მუჭა გაფუკებული მაღალი ბიუროკრატიისა და
პოლიტიკური კრიმინელებისა, საბჭოთა ხალხების დიდი უმრავ-
ლესობა, თვით რუსების ჩათვლით, არ შეიძლება აღფრთოვანე-
ბით არ ეგებებოდეს ბოროტების დათრგუნვისა და კეთილბის
გაძლიერება-გაბატონებისა, შრომისა და აზროვნების თავისუ-
ფლების გულწრფელ მოწოდებებს. მაგრამ თუ ამას აღიღი არა
აქვს, თუ გორბაჩივის ინიციატივებს ხალხი გულგრილად ხვდე-
ბა და უნდობლობასაც იჩენს, ეს უნდა აეხსნათ იმით, რომ
ან მას გორბაჩივის ბრძოლა გულწრფელად არ მიაჩნია ან არა
და, ხალხი ფრთხილობს, რომ გორბაჩივი ისევე უდღეუროდ არ
დამხმონ ბნელმა ძალებმა, როგორც ნიკიტა ხრუშჩივი და ი-
გი (ხალხი) ტუილუბრიალო მსხვერპლად არ შეეწიროს მას.
ამდენი დაპირებების შემდეგ, ამდენი განსაცდელისა და მსხვე-
რპლის შემდეგ არ გაემტუნებათ. არც ჩვენ გაგვემტუნება
თუ ფრთხილ, „ვნახოთ როგორ განვითარდებას“ პოზიციას და-
ვიკავებთ. პირველად იყო სიტყვა, მაგრამ ლიტონ სიტყვას არ
შეუქმნია სამყარო.

„წინააღმდეგობის ინტერნაციონალის“
განცხადება

[ეს განცხადება, რომლის ტექსტისაც ქვემოდ ვბეჭდავთ, მარტის
პირველ რიცხვებში გამოქვეწდა დასავლეთის ბეჭდვით პრესა-

ში და მას ხელს აწერენ საბჭოთა კავშირიდან გადმოსახლიშული თუ გამოქცეული ცნობილი ოპოზიციონერები, საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების ისეთი წარმომადგენლები, როგორც მაგალითად: ვასილ აქსენოვი, იური ორლოვი, ვლადიმერ ბუკოვი, იური ლიუბიმოვი, ლეონიდ პლიუშჩი და სხვანი.. ინტერესს არაა მოკლებული ის ფაქტიც, რომ მოსკოვის პრესამ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა ეს განცხადება და ლანდლვა და ქირდვაც არ დააკლო. გუ შაგი.]

ამ ბოლო დროს მოსკოვიდან მომდინარე ამბების ნიაღვარი ბეგრი პატიოსანი ადამიანის გადამირვებასა და დაბნეულობასაც კი იწვევს, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთშიც. ნუ-თუ დადგა ჩვენს ისტორიაში ის შემობრუნების მომენტი, რომ-ლისთვისაც მხოლოდ ლოცვა შეიძლებოდა? მომენტი, რომელიც ნიშნავს დევნა-შევიწროების, საერთაშორისო დაძაბულობის შეწყვეტას, და სიღატაკის ბოლოს მოღებას? თუ, ეს ისევ მხოლოდ მცირებნიანი გალღვობაა, ან „ტაქტიკური უკანდახევა შემდგომი შეტევისათვის“, როგორც ეს ლენინმა განსაზღვრა 1921 წელს?

მართლაც და, რამდენიმე ჯელაზე ცნობილი სამართლდამცველი გაანთავისუფლეს, ჩვენდა სასიხარულოდ, ციხეებიდან, ბანაკებიდან და გადასახლებებიდან. ვესალმებით რა ამგვარ უესტს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამგვარი არჩევითი შემწყლებლობა კარგადაა გაანგარიშებული იმისათვის, რომ მინიმალური დათმობებით მაქსიმალური შთაბეჭდილება იქნეს მოხდენილი. თუ საჭიროა ხელისუფლებამ მართლაც შეცვალა თავისი დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა პრობლემისადმი, როგორც იგი ამტკიცებს, და თუ მან გადაწყვიტა ჩეპრესიებიდან, როგორც საბჭოთა კავშირში თავისუფალი აზრისადმი კონტროლისაგან, ხელის აღება, მაშინ რატომ არ მოახდინა მან უბრალოდ სინდისის ჯელა ტუსალის ამნისტია, იმის მაგივრად, რომ ეს პროცესი მთელი წლით გაეჭიანურებინა, მათი ჯელაზე ცნობილი ნაშილის თანდათანობითი განთავისუფლებით?! რატომ არ გვესმის, საბჭ. კავშირში გასწორების ჯელაზე საშინელი მეთოდის, -ფსიქიატრიული ჩეპრესიების დაგმობის შესახებ განცხადება? რატომ არ იგრძნობა პროგრესი ემიგრაციის საკითხში,

რომელსაც იწ გარდაცვლილი რეაქციონერი ბრეუნევის უშვებდა?

მეტ-ნაკლებად ასეთსავე ცვლილებებსა აქვთ ადგილი საბჭო-ცხოვრების სხვა სფეროებშიც, რაც საკმაოდ საფუძვლიან უნდობლობას ზადებს. უდავოდ, გაუმჯობესების მანიშნებელია ის ფაქტი, რომ საბჭ. ხელმძღვანელობა აღიარებს რადიკალურ მანონმიკურ რეფორმათა აუცილებლობას, მაგრამ საკითხავია, თუ რამდენად შორს წავა ეს რეფორმები. ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა თუ შეიძლება.

ჩვენ უსათოდ მივესალმებით საბჭ. ხელმძღვანელების საჯაროდ გამოთქმულ სურვილებს, ავღანეთიდან ჯარის გაფანის თაობაზე, სადაც ჩვენს თანამემამულე აიძულებენ მონაშილეობა მიიღონ სამოქალაქო მოსახლეობის ხოცვა-ჟლერვაში, მაგრამ ის პირობები, რომელთაც საბჭ. მთავრობა ავღანეთის პრობლემის მოსაგვარებლად აყნებს, მხოლოდ აძლიერებენ ეჭვებს მისი განზრახვის გულწრფელობაში. თუ საბჭოთა მთავრობას მართლაც სურს ომის შეწყვეტა, რატომ უბრალოდ არ გაჰყავს ჯარი იქიდან ყაველგვარი წინაპირობებისა და გრძელვადიანი განრიგის გარეშე? და თუ მას სურს ავღანეთის პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარება, მაშინ რატომ არ იძლევიან პარიოსანი და პირდაპირი არჩევნების ჩატარების საშუალებას მყაცრი საერთაშორისო კონტროლის პირობებში? ამგვარი არჩევნები ხომ წარმატებით ჩატარდა ზიმბაბვეში და, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ. სალვადორში, ასე თუ ისე მსგავს პირობებში.

მისასალმებელია აგრეთვე გორბაჩივის განცხადება, საბჭ. კაგშირში მცხოვრები ხალხების გრძნობებისა და ტრადიციები-საღმი ანგარიშის გაწევის საკიროების შესახებ. სამწუხაროდ, მის მიერ გაკეთებული დამატებები აუფასურებენ ამ განცხადებას. ყაზახეთში ამ ცოტა ხნის წინად მომხდარი ამბები აღასტურებენ ამას.


შეიძლება ითქვას, რომ ჯელაზე მეტ გაოგნებასა და დაბნეულობას იწვევს საჯაროობის, გულახდილობისა და კულტურული გალღობის პოლიტიკა საბჭ. კავშირში. საჯაროობაში იგულისხმება რაღაც საზოგადოებრივი დისკუსია, რომელშიც ჯელას შეუძლია მონაშილეობა მიიღოს მისი მრწამსისადა



მიუხედვად დევნის ჰქონ გარეშე. საჯარობაში განცხადება ლისხმება უფლება: იყო ინფორმირებული და ასევე სხვებს მიაწოდო ინფორმაცია, რაც გამომდინარეობს ხელისუფლებისაღმი საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობის პრინციპებისაგან. საჯაროობის განვითარებას, როგორც ეს ჩვენ გვესმის, გაცილებით უფრო შეუწყობდა ხელს ასლების გადამღებ მანქანებთან თავისუფალი დაშვება, ვიდრე საბჭოთა სინამდვილის კრიტიკის ოფიციალური კამპანია. თუკი საბჭოთა ლიდერებს სურთ გარკვეული საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება, მაშინ ისინი უნდა შეურიგდნენ პარტიული კონტროლისაგან თავისუფალ რამდენიმე გამოცემას. ამ წერილის გამოქვეწება საბჭოთა პრესაში იქნებოდა საჯაროობის შესახებ მათ განცხადებათა გულწრფელობის საუკეთესო დასტური.

ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ისეთი გამოჩენილი რუსი მწერლები, როგორებიც არიან გუმილიოვი და ნაბოკოვი, რეაბილიტერებულნი იქნენ სიკვდილის შემდეგ და მათი წიგნები ოფიციალურად გახდებიან ხელმისაწვდომი სამამულო მკითხველებისათვის. სხვა, ნაკლებად იღბლიანი მიცვალებულნი ჯერ კიდევ ელიანთ თავიანთ რიგს, რომელიც დადგება აღბათ შემდგომი კულტურული ლღვობის პერიოდში. თუმცა ეს პრივილეგია მხოლოდ გარდაცვლილებისათვის არსებობს, რომელსაც უკვე აღარ შეუძლიათ ჩაიმე მოულოდნელის არც თქმა და არც გაკეთება. როგორც ჩანს, აღბათ ამითივე აიხსნება საბჭოთა ხელისუფალთა გაძლიერებული ინტერესი სახელგანთქმული მიცვალებულებისადმი, რომელთა რეპარტიიაციაც მათ სურთ ამ მიცვალებულთა სიცოცხლის ღროს გამოთქმული სურვილების საწინააღმდეგოდ, მაგალითად, შალიაპინისა და ტარკოვსკისა.

არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა მოხელეებმა მიმართეს დასავლეთში მცხოვრებ კულტურის ზოგიერთ გამოჩენილ მოღვაწეს სამშობლოში დაბრუნების წინადადებით და ისე, როგორც მოხეტიალე შვილებს, დაპირდნენ, რომ წარსული დავიწყბული იქნება. როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფალნი ჯერაც უძლურნი არიან შეიგნონ, რომ ემიგრაცია რაიმე ტრაგიკული გაუგებრობის შედეგი. კი არაა, არამედ რეაქტან ღრმა უთანხმოების, უთანხმოებისა იმ რეაქტან, რომელიც უძლურია პატივი სცეს შემოქმედების თავისუ-



ფლებას. წარსულის დავიწყება შეიძლება, მაგრამ როგორიცაა ნას დავიწყებული საყველოთაო პარტიული კონტროლი, გრძელებული თრებით, თავისუფლების გემოს გაგების შემდეგ? მას ლენინის ორდენით ვერ შეცვლი. მაგალითად, ვინ უშლის მათ ჩვენი წიგნებისა და ფირების გამოქვეყნებას, ჩვენი ფილმებისა და ქანდაკებების გამოფენას? შეწყვლების შეპირების ნაცვლად, რაც არავის არ სჭირდება, რატომ ამით არ დაიწყება? მათ მხოლოდ მოეთხოვებათ, რომ უბრალოდ გვერდზე გადგნენ და ხელი არ შეუშალონ მაყურებელს, მსმენელსა და მკითხველს საბჭ. კავ-შირში, რომ თვითონ აირჩიოს, რაც მას მოსწონს. მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას პატიოსანი დიალოგი ჩვენსა და ხელისუფალთ შორის, და არა საეჭვო მოღაპარაკებები საიდან-დაც, შავი გასასვლელიდან.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ცხოვრებაში გატარდეს გორბაჩოვის ცელაზე გაბედული წინადაღება: პარტიაში უფრო თავისუფალი არჩევნების შესახებ. ჩვენი „თეთრები“ ბოლოს და ბოლოს მიიღებენ თავისუფალ არჩევნებს თავიანთვის, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ შვიდ პროცენტს შეადგენ. თუ მათ მართლა სურთ საბჭოთა სისტემის რაღიკალურად შეცვლა, მაშინ საჭირო იქნება გაბატონებული იდეოლოგის გადასინჯვით დაწყება, რის გარეშეც არავთარი გრძელვადიანი ფუნდამენტალური ცვლილებები საბჭოთა კავშირში არ და ვერ მოხდება. იდეოლოგიაა სწორედ ის დაბრკოლება საბჭ. სისტემისათვის, რომელიც არ იძლევს ქვეცნას საშუალებას, რომ გადაიხაროს უკიდურესად და მეტად ხანგრძლივი დროით. და თუ ამ იდეოლოგიის საბოლოო მიზნებისა და ძირითადი დებულებების ეჭვის ქვეშ დაყნება არ წარმოებს, მაშინ შორს გამიზნული სტრატეგია უცვლელი რჩება, უტოვებს რა ხელმძღვანელებს მხოლოდ ტაქტიკურ პრობლემებს. მათ შეუძლიათ აცხადონ გამჭნვარება თუ გალღვობა, მაგრამ ზაფხული არასოდეს არ დადგება. მათ არ შეუძლიათ მშვიდოზაფხული ცხოვრება არც თავიანთ ხალხთან და არც მეზობლებთან მანამდე, სანამ მმართველი დოგმა უარყოფს კლასობრივ მტერთან მშვიდობის შესაძლებლობას. როგორი მშვიდობიანი თანაარსებობა შეიძლება ჰქონდეთ მათ ბურჟუაზიულ სამყრო-

სთან, თუ მათი ამოცანაა ამ სამყაროს დამარხვა? რომორ შე-
იძლება ველოდოთ ჭეშმარიტ დეტანტს, თუ დეტანტი არავით-
არ შემთხვევაში არ უარყოფს და ვერც უარყოფს კლასობრივი
ბრძოლის კანონებს. ამის შედეგად, არ გვაქვს არც მშვიდო-
ბა და არც ომი; გვაქვს მხოლოდ მშვიდობისათვის ბრძოლა,
რომელშიც უცილობელ კანონს წარმოადგენს ეგრედ წოდებული
სოციალიზმის, პროგრესისა და ეროვნული განთავისუფლების
ჟელა ძალთა მიმართ საბჭოთა მხარდაჭერა. სანამ ორ სამყა-
როს შორის მიმდინარე ეს ისტორიული ბრძოლა გრძელდება,
არავის არა აქვს უფლება იყოს დაკავებული თავისი საქმით.
მოსახლეობა თითქოს დარაზმულია იდეოლოგიურ მებრძოლთა
ჟელად სახალხო ჯარში. ეს ტოტალური მობილიზაცია არ სც-
ნობს არც ნეიტრალიტეტის უფლებას, არც საკუთარი სინდისის
მოსაზრებებიდან გამომდინარე უარის თქმის უფლებას, რადგ-
ან მოქმედებს ფორმულა: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი
მტერია. საბჭ. კავშირიდან გაქცეული სამოქალაქო პირიც კი
გატოლებულია ომის დროს მტრის მხარეზე გადასულ ჯარისკა-
ცთან (სისხლის სამართლის კოდექსის მესამე ნაწილის მეოთხე
მუხლი.) შესაბამისად, ემიგრაციის სურვილს იხილავენ როგ-
ორც სახელმწიფოებრივ მოღალატეობას, იმათ კი, ვისაც აქ-
ვს უცხოეთში მოგზაურობის უფლება, გულმოდგენით არჩევენ
ჟელაზე საიმედოთა შორის, როგორც მზვერავებს.

თუ მათ მართლა სურთ ახალი ფურცლის გადაშლა ჩვენს
ისტორიაში, მაშინ უნდა შესწყიტონ მეორე მსოფლიო ომის
დროს განცდილი სახალხო ტრაგედიის ექსპლოატაცია პროპა-
განდისტური მიზნით, უნდა გააუქმონ სამხედრო-პატრიოტული
აღზრდის ბოროტი პროგრამა, რაც აუცილებელია ჟველი საბ-
ჭოთა სკოლისთვის და რაც შეიძლება შევადაროთ „პიტლერ-
იუნგების“ წვრთნას. გარდა ამისა, ხელი უნდა აიღონ საბჭ.
საზოგადოების შემდეგი მიღიტარიზაციისაგან.

ამის მაგივრად, მათ მოუწევთ ისტორიული სიმართლის
აღდგენა საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა შე-
სახებ. მაგალითისათვის, როგორ უნდა ელოდონ ენთუზიაზმის
გამოჩენას ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებადარ-
თულებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სოფლად, როცა
კოლექტივიზაცია და ათი მიღიონი გლეხის მკვლელობა არაა



დაგმობილი მმართველი პარტიის მიერ. ანდა, თუ ვისაც არ გვიცნების საჯარობის შესახებ, როგორ უნდა ვეღოდოთ, რომ ეს სიახლე სერიოზულად იქნება მიჩნეული ისეთ პირობებში, როცა, მაგალითად, 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია ჯერ კიდევ არაა დაგმობილი, როგორც საერთაშორისო დანაშაული. „პრაღის გაზაფხული“ სხვას ხომ არაფერს ჭარმოადგენდა, თუ არა საჯარობის პერიოდს ჩეხოსლოვაკიაში?! ეს მხოლოდ კალამს მოყოლილი ორი, შემთხვევით აღებული, მაგალითია, რომებიც ადასტურებენ, რომ მთავრობასთან ხალხის შერიგებისათვის სრულებით არაა საკმარისი ციხეებიდან ჩამდენიმე ათეული პატიმრის განთავისუფლება, რომლის დაპატიმრება სინამდვილეში არც იყო საჭირო.

საბჭ. კავშირი მძიმედ დაავადმყოფებული ქვეყნაა; იმდენად მძიმედ, რომ ბელადებიც კი გახდნენ იძულებულნი ხელი აეღოთ 70-წლანი მდგრადისგან, რადგან მათ საბჭოთა ხალხის ნდობა სჭირდებათ. თუმცა, ჯერ მათ თვითონ უნდა ისწავლონ საბჭოთა ხალხებისადმი, მსოფლიოსადმი ნდობა; მათ უნდა ისწავლონ საზოგადოებრივი აზრისადმი ნდობა იმდენად, რომ აღიარონ თავიანთი პასუხისმგებლობა პაგაში დაფუძნებული საერთაშორისო სასამართლოს მიმართ, სტრასბურგში აღამიანთა უფლებების სასამართლოს მიმართ, სადაც დაზარალებულ მხარეს შეეძლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება, მაგალითად მორიგი ჩერნობილის შემდეგ. ისინი უნდა გახდნენ თანატოლები თანატოლთა შორის და არა ნათელი მომავლის მოდელები.

ახლა უმეცრისთვისაც კი ცხადია, რომ მცდარია ქვებაზე მოშინავედ გამოცხადებული ის მეცნიერება, რომლის საფუძველზეც სამოცდათწლოვანმა მმართველობამ გააჩანაგა მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნა. თუ კი, როგორც აღიარა გორბაჩივმა, ვერც ერთმა ბელადმა ვერ შესძლო ლენინის შემდეგ ცხოველმყოფელი გაეხადა ეს მეცნიერება, მაშინ იქნებ დროა რაიმე სხვა მეცნიერების მოსინჯვა? ხომ თვით ლენინი ამბობდა, რომ მხოლოდ პრაქტიკა შეიძლება იყოს თეორიის საბოლოო გამსჯელით. მაგრამ გაუძლებს კია დრომოკმული თეორია დღევანდელ პრაქტიკას? სწორედ ამაშია საჭმე.



„უ დ ი რ ს ე ბ ო კ ა ც ი *)

საუბრის დაწყება შორიდან მომიწევს და მკითხველს უზორებს, მოთმინებით აღიჭურვოს.

1976 წლის 25 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოში“ კონსტანტინე ლორთვისანიძემ „კოლხეთის ცისკრის“ ახალი თავი გამოაცევეს. თითქოს ეს რომანი დიდიხანია დასრულებულია და ახალი თავის დამატება ერთგვარად მოულოდნელიც იყო მკითხველისათვის. თავად ავტორმა კი ეს ფაქტი ასე განმარტა: „არის მწერალი სიკვდილამდე რომ ვერ დაშორდება ვერც ერთ თავის ქმნილებას. უსრულობის, უქმარისობის მტანჯველი გრძნობა არ ეყრდნობა მის სულს და უჭირს წიგნთან გამოთხოვება. შეიძლება ეს იმიტომ ხდება, რომ სათქმელი ბოლომდე არ ითქვა თავის დროზე. ან იმიტომ, რომ დამცხრალი გული უკეთესად ხედავს, სად რა ნახტომი შეეშალა სიტყას. სად რა საღებავი დააკლდა სურათს, გეშმის მათი ძახილი და რა გული გაგიძლებს, შემწეობა არ აღმოუჩინო... მთელი ჩემი ცხოვრება მე ამ ჯგუფის მწერლების კვალზე ვდგავარ.“

მართალია, ამ განმარტებაში ძირითადად მხატვრული სრულქმნის საკითხია გამოყოფილი, მაგრამ ორი დამაფიქრებელი ფრაზაცაა ნათქვამი – პირველი, „სათქმელი ბოლომდე არ ითქვა თავის დროზე“ და, მეორე, „დამცხრალი გული უკეთესად ხედავს...“ ამას უნდა დავსძინო ისიც, რომ ახალი თავის გამჭვერებამ ძირეულად შეცვალა „კოლხეთის ცისკრის“ ზნეობრივი ატმოსფერო. მკითხველს გივახსენებ, რა მოხდა.

კულაკ ბარნაბა საგანელიძის ქალიშვილი თალიკო სოფლის კომპაგშირის უჯრედის მდიგანს ბაჭუა ვარდოსანიძეს სთხოვს – კომპაგშირში მიმიღეთო. ბაჭუა თალიკოს შეკპირდა ამ თხოვნის განხილვას, ოღონდ ულტიმატუმი წაუჟნა – „თუ ჩვენთან უფრნა გინდა, მაშინ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოშორდეო იმ პირის სხლიან კაპიტალიზმს!“ თალიკო დაიბნა, ვერ მიხვდა, რა კავშირი ჰქონდა კაპიტალიზმთან და როგორ უნდა ჩამოშორებოდა მას. ამიტომ გაუბედავად ჰკითხა ბაჭუას – „მითხარი რაფერ და...“, რაზეც კომპაგშირის უჯრედის მდივანმა კატეგორიულად უპასუხა – „მამაშენს უნდა გაეყრო!“ თალიკომ თვალები დააჭმარა და დაბნეულმა იკითხა – „მამაჩემი რა შუაშია?!“ ქალის გაუგებორბით გაბრაზებულმა ბაჭუა

ს ა რ დ ა მ ი ს
პ ა რ დ ა მ ი ს
ე რ ვ 3 6 უ ლ ი
გ ი რ ლ ი რ თ ე ბ ა

21568



ვარდოსანიძემ აუხსნა: „— შუაშიც არის, თავშიც და ბოლოს შიც! შენ თუ ფიქრობ, კაპიტალიზმი მარტო ინგლისში არის, ძალიან შემცდარხას! აბა, ვინ არის, გოგო, მამაშენი, ბარნაბა საგანელიძე! ჩაგრულთა კლასის მყლეფელი და სისხლის მწოველი ბობოლა! გაეყარე, გადმოდი ჩვენს ბარიკადებზე და ბაჭყალი ვარდოსანიძე მოგიკვდეს, თუ შენი განცხადება ხელახლა არ განიხილოს ჩვენმა უჯრედმა.“

ახლა დააკვირდით, როგორ მიიღო თალიკომ ბაჭყალი ვარდოსანიძის სიტუაცია. „მექიმ თვალი მოატანა, რა საშინელი სინანულის ღიმილმა დაუგრიხა ტუჩ-პირი საგანელიძის ქალს. ეს რა უთხრა ამ ბიჭმა, ვისთანაც ერთად სკოლაში სწავლობდა, გაუვეთილებსაც ერთად ამზადებდნენ, თამაშითაც ერთად თამაშობდნენ... ეს კი რას მეუბნება! ნუთუ შეიძლება ასეთი რამ გააგონო ადამიანის ჟურს!“ კომკავშირის უჯრედის მდივანს კი თალიკომ ასე უბასუხა: „— ენა რაფერ მოგიბრუნდა, ბაჭყალი, ამის სათქმელად! შენ რომ იცოდე, მამაჩემს როგორ ვუჟუარვარ, გავეჭრები კი არა, ქალამნის ძირიად დავედები! არა, ბაჭყალი, ასო-ასოდ რომ ამკუშონ, მე მაგას ვერ ვიზამ! ესეც არ იჭის, ისეთი ადამიანი რად გინდათ, ბიჭო, მშობელ მამას რომ გადაუდეგება! დღეს მამას გადაუდეგება, ხვალ თქვენ გიღალატებთ! მამაზეციერს არ დაინდობს! კარგად ბრძანდებოდეთ!“

ცხადად ვნედავთ, რომ ზნეობრივად აჯობა და დაამარცხა თალიკომ ბაჭყალი ვარდოსანიძე. მაგრამ ამ ეპიზოდს არ აქვს მხოლოდ ერთ კონკრეტულ რომანში იღწერილი კონკრეტული შემთხვევის ღირებულება. იგი გაცილებით ფართოა და მრავლის მომცველი.

მივაქციოთ ჟურადლება ორ გარემოებას. პირველი, თალიკომ ზნეობრივი კრიტერიუმით დაუპირისპირდა არა მარტო ბაჭყალი ვარდოსანიძეს, არამედ ოციანი წლების პროლეტმწერლობაში გაბატონებულ მორალურ მოთხოვნილებას. მეორე, თალიკომ ზნეობრივი სიმაღლით უნდა გაიზომოს „კოლხეთის ცისკრის“ მთავარი პროტაგონისტის შექი ვაშაკიძის საქციელი.

პროლეტმწერლის სევასტი თალიკვაძის რომანში — „გადასასვლელი“ (გამოცემულია 1933 წ.) — საშუალო გლეხი გლახუნ ზეო-ადაბე კოლექტივიზაციის წინააღმდეგია. მას ორი ქალიშვილი ჰყავს — თინა და ოლღა. ისინი კოლექტივიზაციის მომხრენი

არიან. მამასა და შვილებს შორის ბრძოლაა. როცა გრძელები ზვიადაძემ კულაკურ შეთქმულებაში მონაწილეობა მისილო, ისე გი შვილმა, თინამ, გასცა. ამის გამო ბოლშევიკი პორტფილე ეუბნება ანდრო კარსანიას, კოლექტივიზაციის ერთერთ ორგანიზატორს: „...თინა საუცხოვო ტიპია ბოლშევიკის. იცი, რა მითხრა: ბაიაშვილი მამაჩემს მეგობრობს ძალიანო. მამაჩემი კი ფარული მენშევიკია და ჩვენი მტერიო. ეს მე აქამდის მინდოდა განმეცხადებინა, მაგრამ ამ უბედურებამ მომისწრო (თინა კულაკებმა დასკრეს – ა. ბ.) და ველარ შევძლი. ახლა კი როგორც გამოვეწერები, ცეკას მინდა ვთხხა ყველაფერი. ამიტომ ჩქარობს გამოწერას საავადმყოფოდან.“ თინა აღმოფოთებულია იმით, რომ მამამისი გლახუნ ზვიადაძე ბაიაშვილმა არ დააჭირინა. ამიტომ კრებაზე თინა ბაიაშვილს ამხელს, როგორც ინტრიგანს: „ – იგი, ამხანაგებო, ჩემს მენშევიკ მამას, რომელთანაც მე მუდამ დაგაში და ჩხუბში ვარ, მეგობრობს და ამას წინად მას (თინას მამას – ა. ბ.) გეპეუმ ხელი სტაცა დასაჭირად, ბაიაშვილმა ხელი დააფარა და იხსნა.“

როცა თინას გამცემლობა ანდრო კარსანიას მოხუცმა დედამ გაიგო, არ მოეწონა ეს და შვილს უთხრა: „ – მაგრამ ის ვიღაც თინა ყოფილა, მამის წინააღმდეგ წასელას და მტრად გამოცხადებას მე თქვენსავით ვერ მოვუწონებ, როგორც შვილს. ესაა მისი კი ქალიშვილობა?“ დედის ასეთი ჩამორჩენილობის გამო ანდრო კარსანია სირცევილით დაიწვა და მოხუცი ქალი დაარიგა: „ – შენთვის ძნელია ახლა გაიგო ჩვენი კლასობრივი ბრძოლის საიდუმლოება, მისი პრინციპი, პოლიტიკური ბრძოლის ორგიკა და დაუნდობლობა“.

ამგვარი ზნეობის მქადაგებელი ბევრი ეპიზოდის ამოწერა შეიძლება პროლეტრერების თხზულებებიდან, მაგრამ ამ ჯერად ეს ერთიც კმარა.

ზემორე ციტირებული ორი ეპიზოდის შედარებით უკვე შეგვიძლია გავიაკეთოთ დასკვნა. ოცი-ოცდაათიანი წლების მოთხოვნაა: „...თინა საუცხოვო ტიპია ბოლშევიკის, იცი, რა მითხრა: ბაიაშვილი მამაჩემს მეგობრობს ძალიანო. მამაჩემი კი ფარული მენშევიკია და ჩვენი მტერიო.“

70-იანი წლების მოთხოვნა: „...ისეთი ადამიანი რად გინდათ, ბიჭო, მშობელ მამას რომ გადაუდგება! დღეს მამას გადაუდგა, ხვალ თქვენ გიღალატებთ! მამაზეციერს არ დაინდობს!“



მაგრამ ძალიან გვიან ხომ არ მოხდა უზნეობიდან შენეუბრავონ-ბისაკენ შემობრუნება? ძალიან გვიან ხომ არ გაუკითხებდების ის ეთიკური მცნება, რაც ორი ათასი წელიწადია იცის კაცო-ბრიბამ და რისი დავიწყება და უარყოფა გვინდოდა? ვვონებ, რომ გვიან მივხვდით იმ სიბრძნეს, რასაც იოანე მოციქულის პირველი ეპისტოლე (4; 20) გვეუბნებოდა:

„უკეთუ ვინმემ თქვას, ვითარმედ მიუჟარს ღმერთი და ძმაი თუისი სძულდეს, მტჟუარ არს, რამეთუ რომელსა არ უჟვარდეს ძმაი თუისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არ უხილავს, ვითარ ძალ-უც შეჟვარებად?“

რაკი ზნეობრიობისაკენ მობრუნება აუცილებელი გახდა, ბუნე-ბრივია ისიც, რომ ამა თუ იმ პერსონაჟის ქმედება-საქციელი ეთიკურ-მორალური თვალსაზრისით გავზომოთ.

„კოლხეთის ცისკრის“ მთავარი პროტაგონისტი მექი ვაშაკი-ძე უპატრონო, უსახლვარო, ოხერ-ტიალი ჭარტვილი იყო, მაგრამ უაღრესად პატიოსანი და უეშმაკო. როცა ვიდაობის დროს ვე-რაგმა ხაერმიამ მხარზე უკბინა და მზაკვრობით დაჯაბნა, ვერცი თქვა ეს. ვერ ამხილა ხაერმიას უკუღმარობა. მხო-ლოდ უკან დასდევს და ერთს ეხვეწება, ისევ დამეჭიდეო. ამ უთქმელმა და დაჩაგრულმა ბიქმა ახალგაზრდობა ერემო პირ-ტახიასა და ბარნაბა საგანელიძის მოჯამაგირეობაში გაატარა. მერე, ტარასი ხაზარაძის მზრუნველობით, იგი კომუნაში მიი-ღეს. აქედან დაიწყო მისი შეცვლა. არა მარტო სოციალურად გათავისუფლდა, არამედ. ზნეობრივადაც გადასხვაფერდა. ეს ფერისცვალება მკაფიოდ მაშინ გამოვლინდა, როცა ბარნაბა საგანელიძეს, როგორც კულაკს, ქონების ჩამორთმევა გადაუწ-ყიტეს. ქონების შესანარჩუნებლად ბარნაბამ ეშმაკობას მიმა-რთა: ნივთები ურემზე დაიწყო. ზევიდან ლეიბ-საბანი გაშალა და „ავადმყაფი“ თალიკო დაიწყინა. დასახმარებლად მექის მო-უხმო: როგორმა „სნეული“ თალიკო ქუთაისში ჩაიჰუანეო. ბარ-ნაბა აგრე ვარაუდობდა: მექი ხელისუფლების კაცია და ურე-მზე ეჭვს არავინ მიიტანს. თან ისიც იცოდა: მექის თავ-დავიწყებით უჟღარდა თალიკო და ქალის ქუთაისში ჩაჟანაზე უარს არ იტყოდა.

ურემმა, რომელზეც თალიკო იწვა და წინ მექი მიუძლოდა, ქალაქისაკენ გასწია. გზაზე მათ ხაერმია წამოეწია. ხაერმი-

ას დაუდევრობამ და სულწასულობამ ბარნაბა საგანერიჭეულები საიდუმლო გასცა. მექი ყველაფერს მიხვდა. მტკიცილებული შედებით იტა: კულაკისათვის ქონება აღარ გაეტანებინა და იგი ხელი-სუფლებისათვის ჩაებარებინა. თავგამეტებით ეძგერა მექი ხა-უომიას, სარმა გამოჰკრა და მიწაზე დააგორა. იგი ზურგზე მოექცა ხაუომიას „საფეთქელში მუშტი ჩაჰკრა და უსულოდ მიაგდო“. თალიკოს რაღა უყა, ეს ზუსტად არ ვიცით. უკანა-სკნელად ეს მოხდა, რომ თალიკოს მძულვარებით შეხედა მე-ქიმ, – მეზიზღებიო, – უთხრა და გაეცალა ქალს. მერე ვხედ-ავთ, მექის სოფელში მიჰყავს საგანელიძეების ქონებით დატვი-რთული ურემი, მაგრამ თალიკო არსად ჩანს.

ასე გაძარცვა მექი ვაშაკიძემ საგანელიძეების ოჯახი. იმას, რაც მექიმ გააკეთა სხვა სახელი არ ჰქვია და სიტყვა „გაძა-რცვა“ მკითხველს ნუ გააცვირვებს. უნდოდა თუ არა ეს მექ-ის, გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა, რას სჩადიოდა, სულერ-თია, მან მაინც მძარცველის როლი შეასრულა. ბარნაბა საგა-ნელიძე არ მალაგდა ზღაპრულ, უთვალავ განძს. იგი აპირებდა იმის შენარჩუნებას, რაც ყველა ნორმალურ ოჯახს უნდა ჰქო-ნდეს. ჩემს ამ სიტყვებს უკვე ის ადასტურებს, რომ ბარნაბა საგანელიძის ქონება ერთ ურემზე დაეტია. მაგრამ მაინც ნუ მენდობა მკითხველი და თავად რომანში ვნახოთ, რა წერია: – რა წამოიღეთო, – ეკითხება ხაუომია თალიკოს. ქალი უპასუ-ხებს – „ხალიჩები, ოქრო-ვერცხლი, კურჭელი, ტანისამოსი...“ ნუ დაგაბნევთ თალიკოს პასუხში ნახსენები ოქრო-ვერცხლიც. ცოტა ქვემოთ შევიტყოთ – რა ოქრო-ვერცხლია ეს. მექიმ „ზურჯინს ხელი მოუფათურა. მაღალყლიანი სურები შეიცნო, ვერცხლით მოკედილი ყანწები“. სულ ეს არის. ბარნაბა საგა-ნელიძეს ჩვეულებრივი საოჯახო ნივთები ჰქონდა და მეტი არ-აფერი. იქნებ ეს მცირე ქონებაც ბარნაბა საგანელიძემ სხვას წარითვა ან უნამუსო გზით იშოვნა და ამდენად, ასე თუ ისე, სამართლიანად ჩაითვლება, თუ მასაც ჩამოართმევენ? არა, ბარნაბა მუშა კაცი იყა და, რაც ჰქონდა, ყველაფერი მწარე და მძიმე შრომით იყა შეძენილი. აი, საბუთიც რომანიდან: „ბარნაბას მძიმე, ხაოიანი ხელისგული დღეცისმარე მიწას ეფ-ერებოდა, მიწაც გამგონი და მორჩილი იყა. ოცდასამი წელი-წადი გავიდა, ქეიფში არ გაუთენებია, ძილში არ დაუღამებ-

ია, არც ქალის კაბას გამობმია: მიწის ოჯული დროს ტარე-
ბას უკრძალავდა“.

მე მგონია, ყველაფერი ნათელია, მაგრამ მთავარი მაინც ის
არის, რომ მექი ვაშაკიძეს არ განუცდია არც კაცის მოკვლა
და არც საყვარელი ქალის ოჯახის გაძარცვა. პირიქით, თავი
გალაზებულად იგრძნო და დიდად კმაყოფილი დაბრუნდა სოფე-
ლში. ახლა მექის საქციელი შევადაროთ თალიკოს პასუხს. თა-
ლიკომ არ იკადრა აღამიანური ღირსება გაეცვალა შემოთავა-
ზებულ შეღავათში. არ დაიმტირა თავი, არ გაემიჯნა ოჯახს
და ამ გზით არ აიცდინა მოსალოდნელი სასჯელი. მას რომ
სასჯელი ელოდა, ეს „კოლხეთის ცისკარშიც“ კარგად სჩანს
და იმდროინდელი ყოფის ამსახველ სხვა მხატვრულ თუ დოკუ-
მენტურ თხზულებებშიც. გაგახსენებთ ორიოდეს.

მარშალი ვასილევსკი მემუარებში გვიამბობს: ერთხელ სტალი-
ნმა მკითხაო, მამათ ქვენს ოთხი შვილი ჰყავს. ოთხივე კარგი
მდგომარეობის მქონე. რატომ არ ეხმარებით მოხუც მამას,
რატომ გაქვთ მასთან კავშირი გაწჟერილი? ამის პასუხად
ვასილევსკის უთქვამს: „...1926 წლიდან უკველგვარი კავშირი
გავწჟირეთ მშობლებთან. ასე რომ არ მოვქცეულიყვით, მაშ-
ინ, როგორც ჩანს, არა მარტო ჩვენი პარტიის რიგებში ვერ
მოვხდებოდით, არამედ მუშარ-გლეხური არმიის რიგებშიც კი
საეჭვოა რომ მემსახურა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“
1979 წ. 21 დეკემბერი). ვასილევსკის მამა მღვდელი იყო.
ხუცესის შვილს სამუშაო რომ ეშოვნა, აუცილებელი იყო სა-
სულიერო წოდების მშობელზე უარი ეთქვა. მარშალი თურმე
ანკეტაში უკველთვის აღნიშნავდა – მამასთან კავშირი აღარ მა-
ქვსო.

დანიელ გრანინის მოთხოვნის – „უკანსამგზავრო ბილეთი“
(„ნოვი მიზ“, 1976 წ., №8) – პერსონაჟი პეტე სერგეის ძე უნ-
და გადასახლებინათ, რაკი მამა ჰყავდა კულაკი. მამამ უჩჩ-
ია შვილს – წადი მთავრობასთან დამასმინე. უარი თქვი ჩემ-
ზე, როგორც კულაკზე. ეს მოეწონებათ, შეგიფარებენ და ცხო-
ვრებაში გზა გაეგეხსნებათ. შვილიც ამ ჩევევის შესაბამისად
მოიქცა და გამცემლობით იხსნა თავი.

ამ ფონზე თალიკო საგანელიძის ზნეობა უმწიდვლოა, იგი
ხიბლავს მკითხველს. აღტაცებისაგან პროზაიკოსიც ვერ შეიკა-



ვებს თავს და წერს – „რა გულმოკლული ლაპარაკობტყაჭლები კო. დღემდე მექი ვაშაკიძეს სულ მისი უდარდელი უცხოური ესმოდა, სულ მისი სიმღერა და გიტარის წკრიალი, – და ვერა-სოდეს ვერ წარმოიღენდა, თუ ამ დიღგულა გოგოს ამდენი ნაღველი ჩაექცეოდა ხმაში ოდესმე... წავიდა თალიკო. წავი-და და სამუდამოდ თან გაიყოლა მზით დამწვარი ბალახის სუ-ნი“. ზნეობრივად რით დაუპირისპირდა მექი თალიკოს? ვერა-ფრით. მოპოვებული სოციალური მდგომარეობის შესანარჩუნებ-ლად მან სიჯარულიც გაიმეტა და საკუთარი ადამიანური ღირ-სებაც. მექიში შურისგებამ დათრგუნა ადამიანის პატიოსნება. ამით წააგო მან თალიკოსთა ზნეობრივი ბრძოლა.

აქ მახსენდება ერთი რუსული ფილმი „მიჩმანი პანინი“.

პანინი ჩეგოლუციონერებთან არის დაკავშირებული და მონა-წილეობს სიკვდილმისჯაილი 13 მეამბოხის გადარჩენაში. იგი მოახერხებს ინსურგნტები ჩუმად სამხედრო გემზე აიჯანოს და უცხოეთში გააპაროს. მათი დამალვის ღრის პანინი ჰელავს გემის ბოცმანს. გემი მეგობრული ვიზიტით საფრანგეთში, ჰავ-რში ჩავა. აჯანყების მონაწილეებს პანინი გააპარებს. გემის კაპიტანი ჯელაფერს შეიტყობს. მან უნდა დააპატიმროს პანი-ნი, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ მიჩმანი კატორლას ვერ გადაურჩება. კაპიტანი პანინს გაქცევის და მიმაღვის საშუა-ლებას აძლევს. ამ საქციელით გაოცებულ პანინს კაპიტანი ეუბნება – „მე მეზღვაური ვარ და არა უანდარმი“. ამგვარ სიტყვებს მექი ვაშაკიძე ვერასოდეს იტყვის. მისმა საქციელმა ამის უფლება წაართვა და ულირსებო კაცად გახა-და. მექი ვაშაკიძის საქციელიდან კერძო დასკვნაც გამოდის და საერთოც. კერძოა: მექი ვაშაკიძე სოციალურად გათავი-სუფლდა, მაგრამ ზნეობრივად დაქვეითდა. საერთოა: სოციალუ-რი თავისუფლება არაფერს ნიშნავს, თუ იგი ადამიანს ზნეო-ბრივად არ აამაღლებს, არ გაასპერტაკებს. თუ ადამიანს შინა-განი ღმერთი, ანუ სინდის-ნამუსი, არ აკონტროლებს, მას არც კლასობრივი მტრის ძარცვა ეძნელება და არც კლასობრივი მოყასის გაყვლეფა ეთაკილება.

ასე რომ ხდება, ამის დასტურად ისევ კ. ლორთქიფანიძისი დოკუმენტურ პროზას მოვუჩმობ, კერძოდ, „მთას დაუბრუნდა მთიელი“. სოფელი ჭერემი აჰყარეს და ბარში ჩამოასახლეს.



დაცარიელებულ, უხალხო, უპატრონო სოფელში ერთადქრონულად
ახია დარჩენილი ნიკა ჯავაგაძისა. „ერთხელ შუაღამისში ჯავაგაძისა
ისაგან გულგამოხრულმა ნიკამ ური მიუგდონ ნადირის ჭუილს,
მერე უეცრად თვითონაც აჭუვლდა, ზანი მისცა ტყურს.

— რა დაგემართა, ნიკავ, გაგიუდი, კაცო! — გამოსახა თა-
ხიდან ქალმა. — მგლებში უცხოვრობ, ანეტა, და მგელივით უნ-
და ვიჭუვლო! — მიუგო ნიკამ.“

აღამიანს იმდენად უჭირს, რომ მგლადქცევას ნატრობს. მგლ-
ად ქცევის ნატროა სრულიად ახალი მოტივია ქართულ მწერლო-
ბაში. ეს კიდევ არაფერი. როცა სოფელმა ჭერემმა უარი თქვა
გადასახლებაზე, მაშინ „გაჯიქება ეგრე არ უნდაო, გაჯავრდნენ
ხელისუფალნი და ჭერემს ჯერ ელექტროსადგური მოუშალეს,
სოფელი დნელში დატოვეს. მერე წისქვილებს წყალი გადაუგდ-
ეს და, როცა ძალმომრეობამ სოფელი მაინც ვერ გატეხა, მა-
შინ უებრო წამალი მოიგონეს: სახლის სახურავებზე მილიცი-
ელები ავიდნენ და კრამიტი გაღმოყრეს, არც ახლა წახვალ-
თო? წავიდნენ“.

თუ არ ვცდები, გლეხის აწიოკების ყველაზე შემზარავი სუ-
რათი ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილშია“ აღწერილი. მაგრამ
იქ უბედურება მხოლოდ ერთ ოჯახს ატყდება თავს და არა
მთელ სოფელს. ჭერემში კი მთელი სოფელი გახდა ძალადობის
მსხვერპლი. ვინც ამ უსამართლობას სჩადიოდა, უცხონი არ
ყოფილან არც კლასობრივად და არც ეროვნულად. ისინი თანა-
მოძმენი იჯნენ კლასობრივადაც და ეროვნულადაც. ისინი იჯ-
ნენ, რომელთაც ჯერ კლასობრივი მტრის ძარცვაში გაიწაფეს
ხელი და ჭერე კლასობრივი მოყვასიც აღარ დაინდეს.

ძარცვა ნარკოტიკს ჰაგავს. როგორც ნარკოტიკი ჩაგითრევს,
შეგბოჭავს, შეგკრავს და მხოლოდ იმას გაკეთებინებს, რაც
ნარკომანის ბუნება -- მდგომარეობას შეეფერება, ასევეა ძარ-
ცვაც. ისიც ითრევს აღამიანს ჭაობში, რომლისგან, ხსნა აღარ
ხერხდება. როგორც ნარკომანია აკარგვინებს აღამიანს ღირსე-
ბას, ასევე უშვრება ძარცვაც. ისიც ღირსებას ართმევს ადა-
მიანს. მით უმეტეს, გაუგონარი უბედურება ტრიალებს, თუ
ძარცვით კაცმა კეთილდღეობაც მოიპოვა. უკვე უღირსებო კა-
ცი საკუთარი სინდის-ნამუსის კარნაზით აღარ მოქმედებს.
იგი სოციალური მდგომარეობის ან თანამდებობის განკარგულე-



ბის ბრძან შემსრულებელია. მას პატიოსნებაზე მეტად დატყველი დაკარგვა აშინებს და ამიტომ მზად არის ჟელაფერი იკალ-როს.

ორიოდე ლიტერატურული მაგალითით მინდა მკიოხველს ვუჩვენო, რომ ზეობრივ აღამიანში ღირსების გრძნობა სჯობნის ჟელა სხვა გრძნობას.

ვიქტორ ჰიუგოს რომანში - „ოთხმოცდაცამეტი წელი“ -- ასეთი ამბის მოწმე ვხდებით: რესპუბლიკისა და მეფის მომხრეთა ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლაა. მეფის ერთგული მარკიზი დე ლანტენაკი დამარცხდა. რესპუბლიკის ჯარმა ალფა შემოარტყა მარკიზის ციხე-სიმაგრეს. მაგრამ რესპუბლიკელებმა დე ლანტენაკი მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში. იგი ერთგულმა აღამიანებმა საიდუმლო ხვრელით გააპარეს ციხე-სიმაგრიდან. ციხე-დარბაზში დარჩა მხოლოდ იმანუსი. იგი უკანასკნელ წინააღმდეგობას გაუწევდა მტერს, რომ ამით მარკიზს დრო მოეგო და უცნებელი გასულიყო სამშვიდობოს. იმანუსი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რესპუბლიკელებს, სანამ იგი მტერმა სასიკვდილოდ არ გაფატრა. სიკვდილის წინ მან მოასწრო ჩირალდნით ცეცხლი წაეკიდებინა ზონარისათვის. ცეცხლი ზონას გაჰყავა და მაღლე მთელ ციხე-დარბაზს მოედო.

მარკიზი დე ლანტენაკი უკვე გავიდა გვირაბიდან. იგი ტუში იდგა და მას აღარაფერი ემუქრებოდა. რესპუბლიკელები ველარ დაეწეოდნენ. ამ დროს მარკიზს ქალის შემზარავი კივილი მოესმა. ჰკიოდა მიშელ ფლეშარი, მარკიზის მოახლე. მიშელ ფლეშარმა, რომელიც ციხე-დარბაზში ბრუნდებოდა, დაინახა ცეცხლმოკიდებული სასახლე. ციხე დარბაზის ფანჯრები ლია იყნენ და გორაკზე მდგარმა დედამ თვალნათლივ გააჩჩია: სასახლის ბიბლიოთეკის ოთაში უდრტვინველად ეძინა მის სამ შვილს. თავზარდაცემული ქალი მშველელს მოუხმობდა, მაგრამ არავის ძალუძდა დახმარება. რესპუბლიკელი ჯარისკაცები გაოგნებული იდგნენ. ციხე-დარბაზის რკინის კარები მტკიცედ იყო დაგმანული. ვერარა ძალა მას ვერ შეანგრივდა. ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა. ბავშვებს გარდაუვალი დალუპვა ემუქრებოდა. იჩვენები კი მხოლოდ უძლურების გმინვა ისმოდა. მთელი არმია გულხელდაკრეფილი მისჩერებოდა ბავშვების საზარელ სიკვდილს.



ქალის კივილზე შემობრუნებულმა მარკიზმაც დაინტენდოული ხდებოდა. იგი ცოტა ხანს თავჩაქინდრული იდგა. მეტა-მოტივის აღდა და საიდუმლო გვირაბში შებრუნდა, მარკიზმა დე ლან-ტენაკმა მშვიდად გაიარა ენაჩავარდნილი რესპუბლიკელი ჯა-რისკაცების ჭინ, რეინის კარები გააღო და აბობოქრებულ ცეცხლში შეაბიჯა. რამდენიმე წუთის შემდეგ მარკიზი ბიბლი-ოთეკის ფანჯარაში გამოჩნდა. ცეცხლის ენები უკვი ბიბლიო-თეკის კედლებს ლოგავლნენ. დე ლანტენაკმა სარკმლიდან თო-კის კიბე დაუშვა. ჯარისკაცები კიბეზე აცვივლნენ. მარკიზი სათითაოდ აძლევდა მათ მიშელ ფლეშარის შვილებს. როცა გადასრული პატივები გულწასულ დედას შემოეხვივნენ, მარკი-ზი ერთხანს კიდევ იდგა ჩაფიქრებული ზევით, მერე ისიც და-ეშვა კიბით ძირს. მარკიზი დე ლანტენაკი რესპუბლიკელებმა დააპატიმრეს.

არისტოკრატი, როიალისტი უკან მობრუნდა და თავი გასწი-რა გლეხის ქალის შვილების გადასასრული. ეს იმიტომ, რომ მარკიზის კაცური ლირსება გაცილებით მაღლა დგას და ძლი-ერია ჟაველგვარ კლასობრივ განსხვავებაზე. აქ კაცური ლირ-სება ამარტებს კლასობრივ განსხვავებას, ჭინააღმდეგობას, შუღლს. მეტად საგულისხმოა, რომ რომანის იმ თავს. სადაც ეს აცხავია აღწერილი ეჭოდება *In daemone Deus* (დემონში ღმერთია). კაცში საერთოადამიანური ლირსების გაღვიძება და გამოვლენა ნიშნავს ღვთაებრივი სულის აღორძინებას. ჟაველ-გვარი მტრობა-შუღლი კი ეშმაურია ადამიანში. ამიტომ უნდა დაიძლიოს იგი საერთოადამიანური სიყვარულით, ლირსებით.

ალექსეი ტოლსტიოს რომანში „ხოედენიე პო მუკამ“ – ორი კაცი შეხვდება ერთმანეთს – ვადიმ როშჩინი და ივანე ტელე-გინი. მართალია, ისინი ქვისლები არიან, მაგრამ იმ დროს, როცა როსტოვის ვაგზალში შეგდებუნენ. მოულოდნელად, მტრები იჭნენ: როშჩინი თეოტი გვარდის რიგებში იბრძოდა რევოლუ-ციის ჭინააღმდეგ, ტელეგინი კი ჭითელ არმიაში მსახურობდა. როსტოვი თეთრგვარდიელებს ეცავათ. ტელეგინსაც თეთრგვარდი-ელის ფორმა ეცვა. ცხადი იყო, იგი ქალაქში შემოეგზავნათ, როგორც მზვერავი. ასე რომ ვაგზალში, როშჩინის გვერდით, სკამლოგინზე იჯდა მტრი, თუ როშჩინი შეასრულებდა თეთრ-გვარდიელი ოფიცრის მოვალეობას, მაშინვე უნდა ემხილებინა



ტელეგინი, გაეცა იგი და დაეპატიმრებინა. მართლ შეკვეთი ლი, რაც როშჩინს თავში მოუვიდა, იყო აზრი ტელეგინის ჭერისა, მაგრამ მაშინვე გაუჩნდა საპირისპირო ფიქრიც. ტელეგინი მისი მოყვარეა, ქვისლია. თუ გაამხელს ტელეგინს, მას დახვრეტა არ ასცდება. მაშასადამე, უნდა ჩაიდინოს ლალატი მოყვარის მიმართ, ადამიანის მიმართ. ადამიანურმა ღირსებამ გაიმარჯვა და როშჩინმა არ დაასმინა ტელეგინი. ივანე ტელეგინი მშვიდობიანად გავიდა ვაგზლის შენობიდან და მიიმალა.

ცხადია, ჯაშუშობა გაანადგურებდა ვადიმ როშჩინის ადამიანურ ღირსებას. ეს ღირსება კი მას სიცოცხლეს ერჩია.

არ შეიძლება მარკიზ დე ლანტენაკის ან ვადიმ როშჩინის საქციელმა აღტაცება არ მოჰვაროს მკითხველს. ისინი ადამიანის დიად ბუნებას ავლენენ და, ცხადია, ეს საზოგადოების ემოციურ სამყაროზე დიდ ზეგავლენას ახდენს. მაგრამ, პირადად მე, დღევანდელი ყაფის ამსახველ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ვერ ვნახე პერსონაჟი, ისე იქცევოდეს, როგორც ლანტენაკი ან როშჩინი მოიქცა. ვერ ვნახე პროტაგონისტი, რომელსაც შეუძლია საკუთარ სოციალურ მდგომარეობას, თანამდებობას ამჯობინოს საკუთარი ადამიანური ღირსება. ყველაფერი დათმოს და ღირსება შეინარჩუნოს. არ იყადროს ის, რაც მის ადამიანურ ღირსებას დაამცირებს.

ქართულ ფილმში „წუთისოფელი“ ასეთი ეპიზოდია: ბოლშევეკების დასაპატიმრებლად მენშევიკი გვარდიელები მოდიან. სახლი ალყაშემორტყმულია. რევოლუციონერი ვერსად გაიქცევა. იგი გამოუვალ მდგომარეობაშია. დაჭრას ვერ გადარჩება. შვილი რომ იხსნას, ბოლშევიკის დედა ამას მოიფიქრებს: ტანთ გაიხდის და ოთახში შიშველი გაჩერჩდება. იმედოვნებს, რომ გვარდიელთა შორის არ აღმოჩნდება კაცი, რომელიც თავს დაიმცირებს, საკუთარ მამაკაცურ ღირსებას შეურაცხვყოფს და იმ ოთახში შევა, სადაც ასე გამომწვევად დგას ტიტველი ქალი. დედის ვარაუდი გამართლდა. არ იყადრეს გვარდიელებმა უკადრისი და უკან გაბრუნდნენ. რევოლუციონერი დაჭრას გადაურჩა.

ეს დახატულია, მაგრამ არსად აღწერილია, არსად უჩვენებიათ – მოქცეულა ასე თუ არა, ვთქვათ, საბჭოელი მილიციელი.



რა ხდება? საქციელი მოგვწონს, აღტაცებული ვართუნი მართვაში: ასე ღირსეულად ზოგელოვის მოქმედებენ სხვები და უცხალებელი ჭოლი მოქალაქეები. რატომ? რატომ გავვეპარა ღირსებიანი ადამიანი და მისი ადგილი დავუთმეთ ულირსებო კაცს? ეს არ მომხდარა არც შემთხვევით და არც მოულოდნელად. ოფიციალური კრიტიკა ებრძოდა ღირსებიან ადამიანს მხატვრულ მწერლობაში. თავი თუ არ შეგაშენეთ მაგალითებით, კიდევ ერთ ნიმუშს მოვიტან ამის დამადასტურებელს. ღრმად გარ დარწმუნებული, რომ აბსტრაქტულ, ზოგად ლაპარაკს ყველთვის სჯობს კონკრეტული მაგალითებით მსჯელობა. ასე უფრო დამაკერებელიც არის და ობიექტიურიც.

ლევან მეტრეველის მოთხოვნაში „ბოლშევიკი“ (აღმანახი „არიფიონი“, № 1) ერთმანეთს უპირისპირდება სვიმონი და ჩაჩანო. ისინი ბავშვობის მეობრები არიან. რევოლუციურ საქმიანობა-შიც ერთად ჩაებნენ. ერთად გადაუტანიათ ბევრი გასაჭირი. ერთად დაუღწევიათ თავი ბევრი საფრთხისათვის. ერთად უბრძოლიათ ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მერე მათი გზები გაიყრა. სვიმონი ბოლშევიკი გახდა, ჩაჩანო – მენშევიკი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყრდა. მენშევიკები დამარცხდნენ. ჩაჩანო ჯერ გაიქცა საქართველოდან. მერე დაბრუნდა და ბოლშევიკების წინააღმდეგ არალეგალურად მუშაობა დაიწყო. ჩაჩანოს დასაჭრად ეძებენ.

ერთხელ, შემთხვევით, მენახშირედ გადაცმული ჩაჩანო იმ ეზოში აღმოჩნდა. საღაც სვიმონი ცხოვრიბს. სვიმონი მასთან ნახშირის საყდლად მივიდა. უცბად მენახშირეში ძველი მეგობარი და ახლანდელი მტერი იცნო. ცხადია, ჩაჩანომაც იცნო სვიმონი. გაქცევა უკვე შეუძლებელია. ჩაჩანო იძულებულია სვიმონს შინ შეჰქვეს.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა სვიმონი. არ იცის, რა ჰქნას – დაიჭიროს თუ არა ჩაჩანო, რევოლუცია თუ მეგობარი? ასე იდგაო, წერს ლ. მეტრეველი, ღილემა სვიმონის წინაშე. სვიმონს ახსნდება: „...ქუჩაში რომ დაატყვევეს იგი, ვინ იხსნა? ამ საბედისწერო უამს განა ჩაჩანო არ იყო, თვითვე განსაცდელში მყოფი ჩაჩანო – რომ გადმოეშვა მეხივით, ორივე პოლიციელი სასიკვდილოდ დასჭრა და იხსნა იგი უმძიმესი ხიფათისაგან? ვინ შეაგროვა გროშებით ფული? და თვით უცხო-

აკაკი ბაქრაძე: „ულირსებო კაცი“

ეთში სასოწარმკვეთ სიმშილის დროს განა ისევ ჩატანული იყონებოდა გაჭირვების ტალკვესად?...“ პირველი განა მასთან არ იმაღებოდა სვიმონი?...“

„როცა ჩაჩანო მინისტრის მოადგილე იყო მენშევიკობისას, განა მასთან არ იმაღებოდა სვიმონი?...“

ყოფილობს ბოლშევიკი სვიმონი. ეს შეამჩნია ჩაჩანომ. გავიდა სვიმონის ბინიდან, ეზოში ჩაგიდა და ის-ის იყო ქუჩაში უნდა გასულიყა, რომ ჩეკისტები გადაუდგნენ წინ და დაპატიმჩეს. სვიმონს არ გაუცია ჩაჩანო. თურმე მას გამუღმებით ადგვნებდნენ თვალს, მისი ასავალ-დასავალი იცოდნენ და მოუსწრეს კიდეც. მაგრამ ჩაჩანოს სჯერა, რომ სვიმონმა გაფადა იგი. ჩაჩანო მოახერხებს და ციხიდან შეატყობინებს თავის პარტიულ ამხანაგებს, რაც მოხდა და მათ სვიმონის დასჯას სთხოვს. არალეგალური მენშევიკები ჩუმად, ღამით სვიმონს გზაში დახვდებიან, დაიჭირენ და სარდაფში დამალავენ. მენშევიკები სვიმონს ემუშრებიან: თუ გინდა ცოცხალი დარჩე, „ჩამოთვალე ჭელა ის მენშევიკები, ვინც თქვენთან თანამშრომლობენ ჩუმად, აგრეთვე, ვისგან ვინ არის გაცემული და ან რა საქმე“. სვიმონი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს. მას მენშევიკები მოკლავენ. სიკვდილის წინ სიმონი დასწრებს: „ბოლშევიკებს გამცემლობა არ ეხერხებათ, სიკვდილისა კი არ ეშინიათ“.

როგორც ხედავთ, სვიმონს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. პირიქით, მამაცურად მოკვდა. ოლონდ ოდნავ შეყაჭანდა, როცა მეგობრის დაპატიმჩების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. ლ. მეტრეველი ფიქრობდა, უდრევი ბოლშევიკი დავხატეო, მაგრამ მოტუვდა. ოფიციალურ კრიტიკას სვიმონი არ მოეწონა. პუბლიცისტი გრიგოლ მუშიშვილი წერდა:

„მკითხველისათვის აშკარაა ავტორის მთელი უსუსურობა. მეგობრობა თუ რევოლუცია? ჩასაკვირველია, რევოლუცია. განა შეიძლება აქ ყოფილი და ორჭოფობა? ბოლშევიკისათვის ეს საკითხი არ სდგას, ბოლშევიკმა საკითხის ასეთი დაყნება არ იცის... მეტრეველი ამ თემას ანგითარებს, აგრძელებს, აჭიანურებს. კითხულობ სვიმონის სენტიმენტალურ, არაბოლშევიკურ მონოლოგებს და ბრაზი მოგდის, რა საჭიროა ამდენი „უაზრო ხეტიალი?“ მეგობრობის გრძნობა არყვას ბოლშევიკურ სიმტკიცეს... ბოლშევიკი სვიმონი ჰყარგავს ბოლშევიკურ გამბედაობ-



ას. „სიყრმის მეგობარი“ მას უმზადებს აჯანყებას. ცხრილი მეურნეობის ფელაფერი იცის ეს, მაგრამ ბოლშევიკი იძლაკნება და დაუდინით, მას არ გააჩნია ბოლშევიკური ხერხებალი, არ აღმოაჩნდა აზრის სიმტკიცე, გაბედული მოქმედება. მეგობრობის მეურნეობის გრძნობა სამარცხვინოთ იმარჯვებს რევოლუციურ გრძნობაზე! ჩვენც ვამბობთ პირდაპირ: ს ვ ი მ თ ნ ი ბ თ ლ - ჟ ე ვ ი კ ი ს ტ ი პ ი ა რ ა რ ი ს (ხაზი გრ. მუშიშვილს ეპუთვნის – ა. ბ.) სვიმონი თვითონ მეტრეველია და მას არა-ფერი აქვს საერთო ნამდვილ ბოლშევიკებთან (ურ. „მნათობი“ 1928 წ., № 3, გვ. 224-225).

მხატვრული ნაწარმოები, მართალია ილუზიური, მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამყროა. როგორია ეს სამყრო, როვორი ადამიანები ცხოვრობენ მასში, ამას მყითხველი ავტორის (მწერლის) დახასიათების მიხედვით კი არ იგებს, არამედ იმის შესაბამისად – რა მოვლენები ხდება მასში, როგორია პერსონაჟის საქციელი, ფიქრი, დამოკიდებულება ცალკერდ თავისთავისადმი, ცალკერდ სხვათადმი. ეს ისევე ხდება როგორც რეალურ სინამდვილეში. ყველ ჩვენთაგანს რეალურ სინამდვილეზე წარმოდგენა იმის მიხედვით კი არ ეჭმნება, – სიტუაციონას ჩაგვჩიჩინებენ, – არამედ იმის თანახმად – საქმით რა ხდება, მოცემულ რეალურ სინამდვილეში. როგორ ცხოვრობს მასში იდამიანი.

ადამიანი ბევრადი საქმიანობას უნდა ეწეოდეს. იგი გვალვა-საც უნდა ებრძოდეს, კარგი მოსავალიც უნდა მოჰყავდეს, რკინიგზასაც უნდა აშენებდეს, ქარხანა-ფაბრიკებსაც უნდა აგებდეს და ბალ-ვენახებსაც უნდა უვლიდეს, მაგრამ ჯერ მკაფიოდ და ნათლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული თავისთვისაც და სხვისთვისაც, ვინ არის იგი, როგორი ადამიანია. ამ საქმეში მას ხელოვნება და მწერლობა უნდა ეხმარებოდეს.

თუ მწერლობა ადამიანის ზნეობრივ ღირებულებას იმით შემოფარგლავს, რომ მავანმა და მავანმა კაცება გვილვას აჯობა, დიდი ჭირნახული მიიღო, გიგანტური ჭარხანა ააშენა ან ჭარბი ამოაშრო, მაშინ ლიტერატურა ადამიანის სულის გამშვენიერებას, ამაღლებას ხელს ვერ შეუწყიბს. პირიქით, დაკნინიერებას, ამაღლებას ხელს ვერ შეუწყიბს. პირიქით, დაკნინიერებას. ბორის ჩხეიძის რომანის „ფეროს“ პერსონაჟი მელანებს მას. ბორის ჩხეიძის რომანის „ფეროს“ პერსონაჟი მელანებს მას. გარენას აშენებს. დიდი აქტივისტიც არის, მაგრამ არც



ეს რომანი და არც მისი პროტაგონისტი დღეს აღართვის შეზღუდული იყვნენ. დღევანდელი ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრების არავითარ გავლენას არ ახდენს. სტენდალის უულიან სორელი არც საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობს, არც ქარხანას აშენებს, მაგრამ ყაველი ადამიანის სულიერ სამყროზე მოქმედებს, რაკი ადამიანური ლირსების დაცვას გვასწავლის. ალბათ, მეტჯით, აქ მნიშვნელობა სტენდალის და ბორის ჩხეიძის მწერლური ნიჭიერების სხვაობას აქვსო, ნაწილობრივ, მაგრამ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი ეს არ არის. გადამწყვეტია მწერლის ადამიანისადმი დამოკიდებულების პრინციპი. ბ. ჩხეიძეს არ აინტერესებს მელაშა-ადამიანი, იგი ცდილობს დახატოს მელაშა-მშენებელი. ამგვარი მწერლობისათვის უმთავრესია ქარხანა აშენდეს. ამიტომ მელაშას ზნეობრივი ფუნქცია შემოზღუდა. მკითხველს ხელთ ის საქმე შერჩა, რომელსაც ზემოქმედების ძალა არა აქვს. სტენდალისთვის კი მთავარია ადამიანი, მისი ტკივილითა და სიხარულით. ეს ტკივილი და სიხარული მკითხველზეც მოქმედებს და ლირსებიანი ადამიანის ემოციურ სამყროში შევყავართ. ეს ემოციური სამყრო მკითხველის სულს ამდიდრებს, აფიქრებს, აკეთილშობილებს, ასწავლის სიჭარულსა და თანაგრძნობას. შეიძლება ვერც შევამჩნიოთ, მაგრამ „წითელისა და შავის“ წაკითხვის შემდეგ, ცოტად თუ ბევრად, , ჩვენს სულში რაღაც იცვლება, სხვანაირი ვხდებით. ამ თითქოსდა შეუმჩნეველი კვალის დატოვებაა მწერლობის ერთ-ერთი ფუნქცია. ამ კვალს მხოლოდ ლირსებიანი ადამიანი სტოვებს.

ლირსება, როგორც უანგარობა, კეთილშობილება, პატიოსნება, ვაჟკაცობა და სხვა თვისებანი, მეტად იშვიათი ნიჭია. ლირსებიანი ადამიანები არასოდეს ყაფილან დაჭრილი ფეტვის მარცვლებივით. არც ოდესმე იქნებიან. ყაველთვის ცოტანი იჭვნენ და ასევე დარჩებიან. არანაირ ნიჭს არ არიგებს უზენაესი უხვად. ამიტომ მას მოვლა, პატრონობა, მოფრთხილება უნდა, სათუთად გადატანა სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში.

ყველგვარი სახის მოძღვრება, იქნება იგი რელიგიური, ფილოსოფიური, სოციალ-პოლიტიკური თუ რომელიმე სხვა გვარეობისა, ადამიანის ცხოვრებას სამყროს რომელიმე აკვიატებული დოქტრინის, დოგმატის თვალსაზრისით უჟურებს. მხოლოდ



ეს ამოჩემებული აზრი მიაჩნია ჭეშმარიტებად და ჰუთულუსის საწინააღმდეგოს უარყოფს, მიიჩნევს სიცრულედ და მიტყუჩიდვებს იციშვებს პერმან პესეს შეგონებას – „უველი ჭეშმარიტების საწინააღმდეგო მოსაზრებაც ჭეშმარიტია“ („ზიღპართა“).

ადამიანური საქმიანობის ერთადერთი დარგი მწერლობაა, რომელიც ცდილობს კაცი, ცხოვრება, სამყარო წარმოადგინოს, დახატოს ისე მრავალფეროვნად და მრავალმხრივად, როგორც სინამდვილეშია. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერლობა არ ცდება და უველთვის უტუკარიად ასრულებს თავის მისიას; სამწუხაროდ ხშირად ცდება. მაგრამ საქმე მაინც ის არის, რომ არ უნდა დაუშვას უმთავრესი შეცდომა: ღირსებიანი, ადამიანის ადგილი არ დაუთმოს ულირსებო კაცს**).

ა კ ა კ ი ბ ა კ რ ა ძ ე

*) აკ. ბაქრაძის ეს სტატია გადმობეჭილია ამა წლის მარტის ეურნალ „მნათობიდან“. ავტორი ჩვენი მკითხველისთვის უკვე საკმაოდ ცნობილია და წარდგენას აღარ საჭიროებს.

**) კორექტურული შეცდომები ცოტა არ გვხვდება ამ დიდებულ და გაბედულ ნაიზრებში. ჩვენ ისინი უცვლელად დავტოვეთ. დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ისინი ავტორისეული არ არიან. ჩვენ თავს ნება მივეცით და გავასწორეთ მხოლოდ უკანასკნელი, შემაჯამებელი წინადაღება, რომელშიც შინაარსი უხეშადაა დამახინჯებული. ეს წინადადება „მნათობში“ ასე იკითხება: „მაგრამ საქმე მაინც ის არის, რომ ან უნდა დაუშვას უმთავრესი შეცდომა: ღირსებანი ადამიანის ადგილი არ დაუთმოს ულირსებო კაცს.“ გუშაგი

გ უ ლ ი ს ა მ რ ე ვ ი თ წ უ მ პ ე

წლევანდელ 22 თებერვლის გაზ. „კომუნისტში“ „გამოქვერცხულია ბ-ნ მ. მიქაელი წერილი „განკითხვა“, რომელიც გვაუწყებს სოლიკ ხაბეიშვილის საქმისა და გასამართლების ამბავს. თავდაპირველად, ვინ იყო და რა მოტივით შეიჩინა ს. ხაბეიშვილი? სოლიკ ევტიხის ძე ხაბეიშვილი გახლდათ საქ. სასრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდულებიანი მდგვანი, სადაც ის განაგებდა ჩესპუბლიკის ინდუსტრიას და პარ-



ტიულ-სახელმწიფოებრივ კადრებს, „არჩეული“ იყო საქართველოს მიწის უმაღლესი საბჭოს დეპუტატიად. გადაუჭირდებლად შეიძლება ითქვას, რომ ხაბეიშვილი მარჯვენა ხელი იყო, ამ უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში, საბჭ. საქართველოს უმაღლესის მმართველების, ედ. შევარდნაძისა და გ. კოლბინისა. როგორც ჯერადაც სამართლებრივი უკანასკნელი დიდათ მოწოდებული და დაწინაურებული არიან მ. გორბაჩოვის მიერ: პირველი, საბჭოთა იმპერიის საერთაშორისო ურთიერთობის მინისტრად, ხოლო, მეორე, ყზახისტანის დიდმნიშვნელოვანი რესპუბლიკის უზენაეს ხელისუფლად. როცა საქართველოში კომპარტიის პირველი მდივნის სავარძელი განთავისუფლდა, ხმები დაუინებით იჩრმუნებოდენ, რომ იგი სოლიკო ხაბეიშვილს უნდა დაეკავებინა, მაგრამ ნათქვამია: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა. კრემლის ღმერთმა თუ ღმერთებმა საბჭ. საქართველოს პროკონსულის მანტია ჯუმბერ პატიაშვილს არგუნა თუ არგუნენ. სოლიკო ხაბეიშვილის გასაჭირიც ამ დღიდან იწყბა. ხელისუფლების ეს განებივრებული ბობოლა უცბად ბრალდებულის სამარცხვინო სკამზე აღმოჩნდა და, როგორც ბ-ნ მიქაილის ნაკალმევიდან ვეგბულობო, საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას, თ. გერსამიას თავმჯდომარეობით, ის დამნაშავედ უცვნია ქრისტიანის არაერთხელ აღებაში და მიუსჯია 15 წლის თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. აქედან 5 წელი — საპყობილე. სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლით აეკრძალა საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავების უფლება.

—კი, მარა, რა დააშავა ასეთი ამ ხენწიფის ტოლა კაცმა? იკითხავს ალბათ იმერელი გლეხი. თუ „განკითხვის“ ავტორს დავუჯერებთ და ჩვენ, მიუხედავათ გორბაჩოვის „საჯაროობისა“ სხვა წყარო არ გავვაჩნია, სოლიკო ხაბეიშვილი დიდი მამალი მექრთამე ყოფილა. ის თურმე ქალაქქომებისა და რაიკომების პირველი მდივნებისაგან, საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებათა გენერალურ დირექტორებისაგან და სხვა პასუხისმგებელ თანამდებობის პირებისაგან, რომელთაც ის კურატორობდა, სისტემატიურად ქრთამებს ღებულობდა. ქრთამები, მკითხველო, მოსაკითხად მირთმეული კვერცხები, ქათმები, ან კა-



ხური ღვინო არ გეგონოთ, არც საპატივცემულოდ უფრისებოდა, სადილ-გახშები. როგორ გეკადრებათ! მას ერთდროულად 5000 მანეთზე ნაკლების მიუმას ვინ გაუტელევდა. თოთოული „კლიენტი“ წლიურად მას აძლევდა 20.000, 30.000, ხშირად 50.000 მანეთს. მაგალითად, ხაბეიშვილს სასამართლოზე პირში წადგომია სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ბუჩქური, მხოლოდ 1982 - 83 წლებში 55 ათასი მანეთი მოგეცი ქრთა-მაფო. მას ასევე პირში წადგომიან: თელავის, ახმეტის და მახარაძის რაიკომის პირველი მდივნები: კობაიძე, ბატიაშვი-ლი, თენერიშვილი, საქართველოს ნავთპროდუქტებით მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარე უბირია, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპე-ქტორი მაისურაძე, თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკის „ისნ-ის“ გენერალური დირექტორი წომორია, ქუთაისის ქალაქქომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე მონიავა, ქუთაისის საქალაქო კომიტეტის აღმინისტრაციული, სავაჭრო-საფინანსო განყოფილების გამგე გელენიძე, ქუთაისის ღვინის ქარხნის გენერალური დირექტორი ფრუიძე, ქუთაისის სამკერ-ვალო გაერთიანების გენერალური დირექტორი ტოფაძე, მახარა-ძის ჩაის ფაბრიკის გენერალური დირექტორი ბაბილონძე და სხვები...

ბატონ მ. მიქაელს ალბათ სამართლიანად აშინებს სახალხო რისხევა. ამით უნდა ავხსნათ, რომ ის ძალიან ცდილობს ხა-ბეიშვილის გაშავებას, მაგრამ არაფერს ამბობს გამოძალული თანხების მიახლოებით რაოდენობაზე, რომელიც, უდავოა, ასტ-რონომიული რიგის უნდა ყოფილიყო. ხაბეიშვილის მაფია სულ ცოტა 15 - 20 წლის განმავლობაში მოქმედობდა მთელი საქა-რთველოს მასშტაბით, მასში, ნებისთ თუ უნებლიერ, თანხმო-ბით თუ იძულებით, ჩაბმული იყო ასობით პასუხისმგებელი პირი. ისმება კითხვა: რას უშვებოდა ხაბეიშვილი ამგვარად გამოძალულ უზარმაზარ თანხებს? ეს კითხვა, მიქაძის კორეს-პონდენციის მიხედვით, სასამართლოს ჭინაშე არ დასმულა, რაც თავისთავად მეტყველებს მის აბიექტიურობაზე. ამ საკით-ზე მსჯელობა ბოლოსთვის გადავდგათ, აქ კი ჯერ პასუხი გა-ვცეთ ზოგიერთ სხვა საქირბოროტო კითხვებს, რომლებიც



თერთხელი
შიგდებოთისა

„განკითხვის“ კითხვის დროს წამოიჭრებიან.

1. თვით „განკითხვის“ ობიექტიურობის საკითხი. ჩვენ უკვე გაცვრით აღვნიშნეთ, რომ ის ცუდ წარმოდგენას გვიქმნის გორბაჩივისეულ „საჯარობაზე“. იგი ისე ცალმხრივი და მი- გერძოებულია, რომ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს ის და- წერილი იყს სახელმწიფო ბრალდებლის მიერ. ამის ნათელსა- უფად შემდეგი ფაქტიც საქმაოა: ხაბეიშვილს სასამართლოს წინაშე უარი უთქვამს ქრთამის აღების ბევრ იმ ბრალდებებ- ზე, რომლებიც მას გამოძიების დროს უღიარებია, და სასა- მართლოსაც ისინი მხედველობაში არ მიუღია. უურნალისტი მ. მიქაელიძე კი ამის თაობაზე წერს: „სასამართლო პროცესზე გამოსულმა მრავალმა მოწმემ დამაჯერებლად დამტკიცა, რომ არა გულწრფელობა და სიცრუე, შენიღბვა, კარიერიზმი, ორ- მაგი თამაში, ორსახეობა და ფლიდობა – ეს მისი ცხოვრების წესად ყალიბი ქცეული... ოთხი თვის განმავლობაში ჰელა სა- მსჯავრო სხდომას ვესწრებოდი და სხვა ჩემს კოლეგებთან ერ- თად ეჭვიც არ მეპარება, რომ ხაბეიშვილი ამ ეპიზოდებშიც მხილებული იქნა ... სასამართლო კოლეგიამ მთელი პროცესის მანძილზე დიდი პასუხისმგებლობა, სიფრთხილე და ობიექტურო- ბა გამოიჩინა და, თუ კი რამ იყ საქმეში, რასაც დაცვა სადაც და საჭიროანოდ ხდიდა, ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვიტა“. ასეთი გალაზექრებების გვერდით არაფერი არ არის ნათქვამი, თუ ბრალდებულს როგორ და რა კუთხით იცა- ვდა დამცველი ვექილი, თუმცა წერილის შესავალში აღნიშნუ- ლია, რომ სასამართლოში მონაწილეობდა ადვოკატი გ. ვლაფიო.

2. ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა ხაბეიშვილმა სასამართლოს წინაშე უარყო გამოძიების დროს აღიარებული ბევრი ბრალდე- ბა და სასამართლომაც ეს ბრალდებები მოუხსნა, აშკარად მო- წმობს, რომ ბრალდებულს გამოძიების დროს აწამებდენ და ამრიგად გამოგლიჯეს არარსებული დანაშაულებების აღიარება. მაშ, დღევანდელი საბჭოთა გამოძიება ბევრად არ განსხვავ- დება სტალინ-ეკონ-ბერიას დროინდელ საბჭოთა გამოძიებისაგან. 3. ზემოთქმულიდან ის დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ, თითქოს ს. ხაბეიშვილი უმანქო ბატკანი და საბჭოთა მგელის მსხაე- რპლი იყს. არა, რა თქმა უნდა, რომ არა, მაგრამ საქვე იმ- შია, რომ ხაბეიშვილის დანაშაულობანი დიდი ხნის წინადაც



ცნობილი ყაფილია ხელისუფლების უმაღლეს წრეებში და მიზანური 1973 წელში, როცა ხაბეიშვილი ქუთაისის პარტიული კომი-
ტერის პირველი მდივანი იყო, პირადი მოტივით ხაბეიშვილმა
პროგრამით მოუწყო, თანამდებობიდან მოხსნა და პასუხისმა-
გაშიც მისცა ქუთაისის ავტოკოლონის პარტკომის მდივანი ტუ-
კვაძეო, ვებებულობთ „განკითხვიდან“. ამას მისი კარიერისთვის
ხელი არ შეუშლია, პირიქით, ის ჩესპეტბლიკის ცენტრალურ
ხელისუფლებაში დააწინაურეს. 1983 წელშიც ის უმხილებია
ქრისტიანების აღებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში,
პასუხისმაგრაში მიცემულ სიღნაღის პარტკომის პირველ მდივ-
ან ბუჩქურას. საბჭოთა დამსჯელ ორგანოებსა და კომპარტი-
ას არც ახლა მოუთხოვიათ მისთვის პასუხი, პირიქით, მისი
ავტორიტეტი სულ მაღლა იწევს და ორი წლის შემდეგ მას
სერიოზული კოზირები გააჩნია, საბჭოთა საქართველოს უმაღ-
ლესი ხელისუფლას პოსტის დასაუფლებლად. სრულიად შესაძ-
ლებელია, რომ დღეს სოლიკო ხაბეიშვილს და ჯუმბერ პატიაშ-
ვილს შეცვლილ როლებში ვხედავდეთ: ს. ხაბეიშვილი ტრიბუ-
ნებზე პქუხდეს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წარმომად-
გენელი და კანონიერების დამცველი, ხოლო ჭ. პატიაშვილს
ასამართლებდენ, როგორც საშიშ სისხლის სამართლის დამნაშა-
ვეს.

ანდრონიკაშვილის შერისხვა

მარტი მეორე დიდი პოლიტიკური ბომბი გამსცდარა თბილი-
სში. როგორც 26 მარტის გაზეთ „კომუნისტიდან“ ვებებულობთ,
აქ გამართულა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრე-
ბა, რომელზედაც მოხსენებით გამოსულ ჯუმბერ პატიაშვილს
მკაცრად გაუკრიტიკებია რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლე-
ბი, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელები, რომლებიც სახელმწი-
ფო გეგმებს ვერ ასრულებდენ და სისტემატიურად ეწეოდენ
წამატებებსა და თვალის ახვევას. მაგალითად, 1986 წლის ან-
გარიშვებისთვის წაუმატებიათ საცხოვრებელი ფართობის ოცი
პროცენტი და ჯანმრთელობის დაცვის ოცდაექვსი პროცენტი.
პატიაშვილმა კრებას მოახსენა, რომ ასეთი დანაშაულებრივი
პრაქტიკა წლობით გრძელდებოდა, ახლა კი პარტიამ მკაცრი
სანქცია დაადვა: თანამდებობიდანაა განთავისუფლებული ცამე-

ტი ხელმძღვანელი, პარტიული სასჯელი დაედო 135 კონცენტრაციული მდგრადი სამართლის მიერ გაირიცხაო. ამ ახალ შერისხულთა შორის ზოგიერთი სანიშნავია განსაკუთრებით გიორგი ანდრონიკაშვილი, რომელიც, როგორც ხაბეიშვილი, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი იყო და მბრძანებლობდა ჩვენი ქვეყნის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის მნიშვნელოვან უწყებას. საქ. კომ-პარტიის ნომერნიკლატურაში ერთ-ერთი პირველი ადგილი აქვირა და მასზედაც ბევრი სანაძლევოს სდებდა კომპარტიის პირველი მდივნის პოსტზე. როგორც ჩანს, ამ მაღალ თანამდებობისაკენ ლტოლვა დიდ რისკთან ყოფილა დამოკიდებული. ანდრონიკაშვილი დღეს უცერებმონიოდაა გაძევებული მთავრობიდან, ხვალ კი შეიძლება ისიც საბრალდებულო სკამზე ვიხილოთ, როგორც ხა-ბეიშვილი.

ანდრონიკაშვილთან ერთად მოხსნილი არიან: მინისტრთა საბჭოთ თავის მოადგილე ი. ქედიშვილი, თბილისის საქალაქო აღმასკომის თავ-რე ჭ. მესხიშვილი და მისი მოადგილე ი. არონბერიძე, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრის მოადგილე-ები: გ. ქართველიშვილი, რ. თათეიშვილი და თ. უორდანია.

სხვათა შორის: ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით, პატია-შვილმა კრებას მოახსენა: „ცენტ. კომიტეტმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ასეთ გადაწყვეტილებას“. ეს კიდევ ერთი ნიშანი გორბაჩივის მიერ ქაბული „გარდაქმნისა“ და „გადე-მოკრატიულებისა“. ყაველ შემთხვევაში, საქ. ცენტ. კომიტეტი არაფერი შეცვლილა. ის კვლავ ბარების საკრებულოს ჰე-გვს, რომელიც ერთხმად ყრწნებს.

ეს ორი საქმე-ხაბეიშვილისა და ანდრონიკაშვილის – დროთ-იც ერთმანეთს მოსდევს და სათავეეც ერთი უნდა ჰქონდეთ. ის რაც საჯაროდაა გამოქვეყნებული, ნებას გვაძლევს ვთქვათ:

- ა) როგორც პარტიაშე, ისე აღმინისტრაციაში დიდი „წმენდე-ბი“ მიმღინარეობენ საქართველოში, იმაზე მეტი, ვიდრე ფიქ-რი შეიძლებოდა წინასწარ. ამ ცვლილებებთან დაკავშირებით,
- ჯ. პატიაშვილმა ორი მისოთვის საშიში მეტოქეც მოიცილა თა-ვიდან, გ. ანდრონიკაშვილისა და ს. ხაბეიშვილის სახით.
- ბ) არ შევცდებით თუ ვიზუგით, რომ ამ დიდმნიშვნელოვან ცვლილებების სათავე 1983 წელში უნდა ვეძებოთ, როცა გენერალურ მდივნად გამხდარმა იური ანდროპოვმა საქართვე-



ლოდან გადაიყვანა კრემლის წარმომადგენელი რუსი გენერალი ქოლბინი და მის ადგილის მოავლინა მისი სანდო აგრეთვე რუსი ბორის ნიკოლსკი. ამ უკანასკნელის სიტყვა, ვფიქრობთ, გადამწყერი იყო, როგორც ჯუმბერ პატიაშვილის აღზევებაში, ისე საქართველოს სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობების წმენდა-განახლებაში.

გ) ეს ალიაქოთი ყველამ გაიგონა. საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა რეჟიმის მიერ ნდობით აღჭურვილი ადამიანები შექრთამების, გამოძალვის, ქურდბაცაცობის, მომხვეველობის, ანგარების და სხვა მანკიერების წუმპეში იყვენ ყლამდე ჩაფლულნი. ამ გულის ამრევ წუმპეში გასვრილი აღმოჩნდენ, ხაბერშვილთან და ანდრონიკაშვილთან ერთად, საბჭოთა სისტემის ისეთი ბობოლები, როგორც: „შინაგან საქმეთა მინისტრი კეთილადე, ფინანსთა მინისტრი ანანიაშვილი, რესპუბლიკის პროკურორობრივი ბარაბაძე და სხვა მინისტრები, მინისტრთა მოადგილენი, ქალაქქომებისა და რაიკომების მდიგნები და ასე შემდეგ, რომელთა ჩამოსათვლელად მთელი „გუშაგი“ არ იქმარებს. საკითხთავია, თუ ბევრი გადურჩი ამ წუმპეს და თუ ისინიც ძველი კადრებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ჩანან, მართლა მშრალად გამოვიდენ იქიდან?“

დ) ამ იშვიათ გადარჩენილებიდან ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს შევჩერდეთ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ ინაურზე, რომელიც აგერ ორი ათეული წელია განაგებს ამ მეტად მნიშვნელოვან ორგანოს და რომელიც სანიმუშო ხელმძღვანელის მაგალითად დაასახელა პატიაშვილმა. დასაჯერებელია, რომ მან არაფერი არ იცოდა ამ წუმპის არსებობის შესახებ, რომ მან მაგალითად არაფერი იცოდა ხაბერშვილის მექრთამების ასეთი ვრცელი და ხანგრძლივი ბოროტმოქმედებანი? ვთქვათ რომ არ იცოდა, მაშინ იგი შესაფერისია ამ თანამდებობაზე?

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანდროპოვ-გორბაჩოვის მიერ წარმოებული კადრების წმენდები საკავშირო მასშტაბითაც არ შეხებია მხოლოდ ორ სახელმწიფო უწყებას: კაგებესა და სამხედროს, მაშინ, როცა ძირფესვიანად შეიცვალენ სხვა სამინისტროები. ინაურის გადარჩენაც ამით უნდა აიხსნას. ამ ორ ძალას (კაგებე და ჯარი) ეყრდნობა საბჭოთა სახელმწიფო და მათი წყვლობით ის განაგრძობს სტაბილურ არსებობას,

მიუხედავად ეკონომიკისა და საყფაცხოვრებო პირთამდებრების ტასტროფული მდგომარეობისა და რეჟიმის ზნეობრივ-გენერა-ნა-გათანასირებისა.

პაპუნა ლუბაშვილი

გ რ ი გ თ ლ შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ი ს ს ა კ მ ე *)

1947 წლიდან **1961** წლამდე კურორტ წყალტუბოს მშენებლობის უფროსად მუშაობდა გრიშა (გრიგოლ) შარაშენიძე. მისი მუშაობის დაწყებამდე წყალტუბო წარმოადგენდა ჭაობიან, მოუწყობელ სოფელს, სადაც ბუნებრივი სამკურნალო წყლების გარდა, თითქმის არაფერი არ არსებობდა. თოთხმეტი წლის განვალობაში ჩატარებულმა მშენებლობამ იგი გაღააქცია საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო კეთილმოწყაბილ კურორტად. აშენდა მრავალი ნაგებობა, გაყვანილ იქნა ასფალტირებული გზები. გათენებიდან დაღამებამდე თავდაუზოგავად შრომობდა ინჟინერი და კიდევაც „დაუფასეს“ ამაგი:— **1961** წ. მარტი გ. შარაშენიძე დასმენით დაპატიმრეს, ფულის გაფლანგვის ბრალდებით.

გამოძიების დაწყებისთანავე, საქ. კომპარტიის ცკ-ას მაშინ-დელმა პირველმა მდივანმა ვასილ მეუვანაძემ, რომელიც თვითონ არაერთ ბოროტმოქმედებაშია დამნაშავე, გ. შარაშენიძე გამოლანგველად მოიხსენია და პროექტრატურის გამომძიებელს გივი ნადარეიშვილს, როგორც პატრონის ერთგულ ძალლს შე-ჰქონდა, მონდომება არ დაუკლია თავის გამოსაჩენად. მრავალ-ნაირი მეთოდი იხმარა გამომძიებელმა (ფიზიკური ზემოქმედება, პროვოკატორის, ე. წ. „კრუხის“ შეგზავნა, გაზ. „კომუნისტის“ სპეციალური ეგზემპლარის დამზადება ...), რომ პატიმარი გაეტეხა და აეძულებია თავის თავზე აეღო ის, რაც არ გაუკეთებია.

იმავე წლის მაისში მიღებულ იქნა კანონის დამატებითი მუხლი **96** პრიმა, რომელიც ეკონომიკური დანაშაულისათვის ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. ყველასთვის ცნობილია: კანონის უკუკეცევითი ძალა არა აქვს, მაგრამ ნადარეიშვილმა, ელემენტარული იურიდიული ნორმების დარღვევით, მარტი პა-



ტიმრობაში აკუაპილ კაცს, ორი თვის მერე შემოღვიძელი მდგრადი მიუხვნა.

სახელმწიფო უშიშროების ციხის საკანზი იდგა გამაბრუებელი სუნი, რომელიც ბუხრიდან ამოდიოდა; გ. შარაშენიძეს და მასთან ერთად მყაფ მეორე პატიმარს, ქუთაისელ ტექნოლოგს ვ. გოგისვანიძეს გამომძიებელმა ნარკოტიკით გატენილი პაპიროსი მოაწევინა, და, გვიან ღამით, ციხის ეზოს რაღიოთი ჯერ გადასცეს, რომ ვითომ გ. შარაშენიძის შვილს ასამართლებენ, შემდეგ სროლის ხმა და ქალის კივილი: „ვაიმე შვილო იჩაკლი!“ ნაწამებმა და გაბრუებულმა კაცმა დაიჯერა თავისი ერთადერთი შვილის დაღუპვის ამბავი და რამოღნიმე თვის განმავლობაში თავის ჭიუაზე არ იყო. ასე „ბრწყნვალედ“ ჩაატარა ნადარეიშვილმა გამოძიება და საქმე სასამართლოს გადასცა.

სასამართლო პროცესი, რომელსაც შალვა მახარაძე თავმჯდომარეობდა, თითქმის ორი თვე გაგრძელდა და ისეთივე არაობიექტური და ყალბი იყო, როგორც გამოძიება. გ. შარაშენიძის მიერ შესრულებული სამუშაოების საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზისათვის მოწვევლ იქნა კომისია, რომლის შემაღებელობაში შედიოდნენ გამოცდილი სპეციალისტები სამშენებლო საქმის სხვადასხვა დარგში. კომისია გაეცნო დოკუმენტაციას, შეამოწმა სხვადასხვა აშენებული ობიექტი და მივიდა იმ დასკვნა-მდე, რომ გ. შარაშენიძის საქმიანობაში გაფლანგვას აღილი არ ჰქონებია და რომ იგი მხოლოდ სცოდავდა ფულადი სახსრების არასწორად განაწილებაში, რასაც საქმის ინტერესები მოითხოვდა. მაგალითად, თუ ზოგიერთ შემოწმებულ ობიექტზე ასფალტის ფენის სისქე გეგმით უნდა ყაფილიყო 7 სანტიმეტრი, გაზომვისას აღმოჩნდა თერმეტი, რაც აუცილებელი მინიმუმი იყო წყლის პირობებისათვის, ხოლო სახელმწიფო ნორმები არ შეესაბამებოდა რეალურ სიტუაციას. ასეთივე მდგრადი რეაბილიტაციის სამართლების მიერ გვინდინ მშენებლობა მუდმივ ნაკლებობას განიცდიდა სხვადასხვა სახის ინვენტარისა და სათადარიგო ნაწილებისას, ინჟინერი იძულებული იყო თვითონ ეზრუნა მათ შესაძენად. იყო შემთხვევები, როდესაც რკინიგზის საღვურზე ღამით ჩამომდგარი, სამშენებლო მასალით დატვირთული, ვაგონები საჩქაროდ უნდა დაცლილი ჟენენ. ასე-

ირაკლი შარაშენიძე: „გრიშა შარაშენიძის საქმე“

თ სახის სამუშაოსათვის მუშები ორმაგ და მეტად დამზადებული ჯელს იღებდნენ, რაც დადასტურდა კიდევაც ჩვენებებში. სასამართლოსათვის წარმოდგენილ დასკვნაში ექსპერტებმა ბევრი ამგვარი ფაქტი ჩამოთვალეს და ნადარეიშვილის მიერ დასახელებული ვითომ გაფლანგულ-მითვისებული თანხის რაოდენობა ნოლამდე დაიჭანეს. მოსამართლე პროფესიით იურისტია, რომელსაც საინჟინრო საქმის არაფერი გაეგება. ის ან უნდა დაჭრილნობოდა სპეციალისტების დასკვნას, ან საერთოდ უნდობლობა გამოეცხადებინა მათთვის. მოსამართლე მახარაძემ კი ჩამოწერილი თანხის მხოლოდ ნაწილი მიიღო მხედველობაში და ბრალდებულს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. სასამართლო პროცესში მონაწილე ორი მსაჯულიდან ერთმა-თინა გოცირიძემ, პროტესტის ნიშნად, განაჩენს ხელი არ მოაწერა. კანონის თანახმად, მსაჯულის თანხმობის გარეშე მოსამართლეს განაჩენის გამოტანის უფლება არ ჰქონდა და სასამართლო თავიდან უნდა შემდგარიყო.

სამსახურეობრივი დარღვევებისათვის, როგორც გრიგოლ შარაშენიძეს ჰქონდა თავის მუშაობაში, და როგორიც მეტ-ნაკლებად აღმართ ნებისმიერი მშენებლობის ღროს შეიძლება აღმოჩნდეს, კანონის უკუშეცევითი დახვრეტის მუხლის მიუნება და განაჩენის გამოტანა შეეძლოთ მხოლოდ მართლმსაჯულების ამოფარებულ ჯალათებს, და ასეთი უსამართლობა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ იმ ქვეყნაში, სადაც ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო რაიმე სამართლზე.

იმ ღროს, როდესაც გ. შარაშენიძე ყველ ღამე დასახვრეტად გაფანას ელოდებოდა, წყალტუბოს მცხოვრებლებმა დაიწყუს ხელმოწერების შეგროვება უსამართლო განაჩენის შეცვლის მოთხოვნაზე. აღმართ ამიტომ დახვრეტა შეუცვალეს ჯელაზე სასტიკი, განსაკუთრებული რეუიმის კოლონიაში 15 წ. პატიმრობით. თუმცა ძნელი სათქმელია, რომელი სასჯელი უფრო უარესი იყო მისთვის.

რამდენჯერმე ვიყვავი კემეროვოს ოლქის აბაგურის დასახლებაში, სადაც მამაჩემა 1968 წელს ტანჯვაში დალია სული, და ვნახე თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა ყოფნა კაცებს, რომელსაც სიჭარულითა და პატივისცემით ახსენებს ჯელა, ვინც მას იცნობდა. საბჭ. საქართველოსა და ნადარეიშ-



ვიღ - მახარაძასთანა ქართველების გარდა, აბაგურის უდაბლესობის ველი რეჟიმის კოლონიაში არც ერთ რესპუბლიკას გადატყუდა გაგზავნილი პირველი და ნასამართლევი პატიმარი.

მას უმდევ დიდი ხანი გავიდა, რაც მეავანაძე არქივს ჩაბარდა, მაგრამ მისი ერთგული მსახურები კი დღესაც თბილისში გავლენიანი მოხელები არიან - ნადარეიშვილი პროფურორია, ხოლო მახარძე სასამართლოს თავმჯდომარე - და ვინ მოსთვლის რამდენი ბოროტება უკისრიათ ამ ჯალათებს.

ირაკლი შარაშენიძე
პარიზი, მარტი 1987.

*) ამ წერილის, მასში აღნიშნული ფაქტების სრული და ერთადერთი პასუხისმგებელია მისი ავტორი და ჩვენ მას უკომინტაროდ ვაქვეჭებთ. რაც შეეხება ავტორს, რომელმაც 2 წლის წინად შეაფარა თავი საფრანგეთს, ჩვენ კარგად ვიცნობთ. ის წესიერი, პატიოსანი, მშრომელი და დადებითი თანამემამულეა, რომელიც დაღდასმულია ამ წერილში აღწერილი მამამისის ტრაგიკული ამბით. ეს მისი ტკივილი მარტო მას არ ეკუთვნის. რამდენია საბჭოთა კავშირში მის ბეჭში მყოფი! და ამ წერილის გამოქვეჭება ამითაცაა გამართლებული.

გუშაგი

* * * * * * * * *

ს ა ქ. ს. ს. რ. - ს. მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ა
(დასაწყასი იხტლეთ წინა ნომერში)

აქ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი თანაგრძნობის გამოცხადება საქ. მეცნიერებათა აკადემიის მეორე, პარტიულ ნახევრის მიმართ. ამ გრძელებას ალბათ წარმოშობს მათი შედარება ჩვენთვის ცნობილ თანამედროვე პარტიული აპარატის მუშაკებსა და მარქსისტულ მეცნიერებათა დარგის პროფესორებთან.

ჩვენში გაკვირვებას არ იწვევს სადოქტორო დისერტაციების დაცვა გერმანიაში ისეთი მეცნიერების მიერ, როგორებიც იჯვენ ფილიპე გოგიჩაიშვილი და დიმიტრი უზნაძე, და სავსებით ბუნებრივი და მიგვაჩნია ის, რომ ნატიშვილმა, რომელიც სპეციალისტი იყო ადამიანისა და ცხოველთა ანატომიის,

ბრწყნვალედ იცოდა ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორიული მეცნიერებები სიკა. მაგრამ სასიამოვნოდ გვაკვირვებს ის, რომ განათლებული (ნორმალურად განათლებული!) ადამიანები პროფესიონალი ბოლშევიკების, მათ შორის მაღალი პარტიული თანამდებობის მქონეთა, შორისაც გვხვდებოდა, რომლებიც **1930** წელს ქართველ აკადემიკოსებად გახდეს. მარიამ ორახელაშვილი **1906**-ში დაიდან ბოლშევიკი იყო. იგი დაიგადა ღარიბი თავადის ოჯახში. მას შემდეგ, რაც მისი მამა ომში დაიღუპა, მისი ათივე ბავშვი აღსაზრდელად წაიჭანეს დახურულ სასწავლო დაწესებულებებში. მარიამია პეტროვგრადში დაამთავრა ჯერ სმოლნის, შემდეგ პატრიოტული ინსტიტუტი და შემდეგ კი ბესტუშევსკის კურსებსა და უნივერსიტეტში სწავლობდა. მარიამი მშობლიურ კულტურას დედაქალაქში არსებულ ქართულ სათვისტომოში ეზიარა. ცხოვრობდა გერმანიასა და საფრანგეთში, ლექციებს ისმენდა სორბონის უნივერსიტეტში. ფლობდა ხუთენას.

საქ. სახ. საგეგმო კომისიის თავ-რემ და სახ. კომისართა საბჭოს თავ-ის მოადგილემ მალაქია ტოროშელიძემ უენევაში დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. მან მშვენივრად იცოდა ფრანგული და გერმანული ენები. იგი სერიოზულად მუშაობდა ქართული ლიტერატურის დარგში. ჩვენი აზრით, იგი იყო იმ ენციკლოპედიის ჩედაქტორი, რომლის შედგენაც არ განხორციელებულა.

საბჭ. საზოგადოების უმაღლეს სფეროებშიც გვხვდებოდა მომთმინებლობა, სირბილე, წესიერება, დემოკრატიულობა, სიკეთილე. ასე ახასიათებენ ვასილ კანდელაკსა და მამია ორახელაშვილს მათი ნაცნობი ადამიანები. მამია ორახელაშვილი იყო ხან ამიერკავკასიის კომპარტიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ხან კი ამ. კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე. მიუხედავად ამისა, იგი არ აძალებდა თავის ქალიშვილს კომკავშირში შესვლას, მას პრინციპული უთანხმოება ჰქონდა საჭარელ მამასთან. იგივე ტოროშელიძემ, რომელიც თაყვანს სცემდა სტალინს და ნატრობდა, რომ მისკენ გასროლილი ტყვიისათვის შეეშვირა თავისი გული, მთელი თავისი სიცოცხლე მენშევიკ მეუღლესთან გაატარა.

საქ.-ს მეც. აკადემიაში იყო აგრძელებული ერთი ადამიანის მღვიმების დაგიწყვბა ორავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ეს ამის კონსტანტინე ამბაკოს ძე სულაქველიძე. მას, როგორც მდივანს, უნდა მოეხერხებინა აკადემიის ორი ძნელადშესაერთებელი ნაწილის შედუღება. კ. სულაქველიძე იყო ორაორი, თეორეტიკოსი, პრაგმატიკოსი. იგი იყო რევოლუციამდელი ქუთაისის მენშევიკური ორგანიზაციის წევრი. ამ ქალაქში, სხვა ქალაქებთან შედარებით, მენშევიკები წარმატებით უწევდნენ წინააღმდეგობას ბოლშევიკებს. [აქ, ამ ისტორიის ავტორებზე აშკარად ჩანს საბჭოთა ცრუ ისტორიოგრაფიის გავლენა. სინამდვილეში, რევოლუციის წინ არსად საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ბოლშევიკები უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ, ყველგან მენშევიკები ბატონობდენ, ხოლო ბოლშევიკები სექტას წარმოადგენდნენ. გუშაგი] სულაქველიძე პარიზს იცნობდა როვოლუციამდელი ემიგრაციის მეშვეობით. იგი ეორდანიას მთავრობასთან ერთად წავიდა ემიგრაციაში, მაგრამ **1924** წელს უკან დაბრუნდა.

სულაქველიძის სამაგისტრო დისერტაცია მიეძღვნა საქართველოს ფიონებს (მთიდან მონაქროლ ქარებს), მაგრამ მისი ძირითადი მეცნიერული სპეციალობა მათემატიკა იყო. იგი არის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი ქართულ ენაზე, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლებისათვის. იგი დაინიშნა ფიზიკისა და გეოფიზიკის სექციაში იმის გამო, რომ ის იყო გეოფიზიკური ობსერვატორის დირექტორი, რომელიც **1930** წელს გარდაქმნილ იქნა ამიერკავკასიის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ მეცნიერულ-კვლევით ინსტიტუტად. მისი დანიშნვა მეც. აკადემიის მდივნად ბეგრისთვის მოულოდნელი იყო. ზოგიერთი მეცნიერი ფრთხილ-ად ეკიდებოდა მასთან ურთიერთობას. მაგრამ იგი თავის მხრივ ბოლშევიკებთან შერიცების გზას ეძებდა.

აკადემიის დამაარსებლებმა დროის მიერ ნაკარნახვი ჟალა პირობა გაითვალისწინეს : მეც. აკადემიის პროპაგანდისტული მნიშვნელობა, ხუთწლედისათვის შესაფერისი გაქანება, მტკიცი იდეური ხელმძღვანელობა, ახალგაზრდობის დაწინაურება, მაგრამ მათ ერთი რამე გამორჩათ მხედველობიდან – მოინდომებდა თუ არა ამას იოსებ სტალინი (შეგახსენებთ, რომ მან თა-

ვისი თავი აკადემიკოსად მხოლოდ 1939 წელს განატანის დროისას და მიღებული გარებად მიღიოდა, საღლაც რაოდაც შემადგენლობა. მოკლედ, გადაწყვდა, ხელმოწერილ იქნა, გამოკვერდა. აკადემიისათვის უნდა გადაეცათ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შენობა, კეცხოველის ქუჩაზე. აკადემია მეცნიერების მთავარ სამმართველოს უნდა დაჭვებოდებარებოდა. აკადემიის გახსნით კმაყოფილი ნიკო მარი ისევ ლენინგრადში დაბრუნდა. ამის შემდეგ კი ჟალაფერი მიჩუმდა. საიდუმლო აბძების შესახებ ცნობების მიღება მხოლოდ სხვადასხვა ნაამბობიდან თუ შეიძლება.

ტოროშელიძე მოსკოვში ჩადის. სერგო ორჯონიქიძე ეკითხება მას: საქ. მეც. აკადემიის შემაღენლობაში ხომ არ აგირჩევიათ პაპულია ორჯონიქიძე? – (აქ მან თავის ძმის შესახებ დასვა კითხვა, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზას ხელმძღვანელობდა.) – ტოროშელიძემ, რომელმაც ვერ იგრძნო ირონია უპასუხა: ჩვენი დაუდევერობაა. ჩვენ გამოვასწორებთ შეცდომას. ორჯონიქიძემ გაიცინა: – ვის ჭირდება ისეთი აკადემია, რომლის წევრი პაპულია იქნება?.. (სერგოს საჭარელი ძმა ლოთი და მოჩხუბარი იყო, ის არ ყოფილა ინტელექტუალური პიროვნება.)

ამას სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამბავი უსწრებდა შინ. საქ.-ს მეც. აკადემიის დაარსების შესახებ როცა სტალინს მოახსენეს, მან უპასუხა: ახლა ჩვენთან ქართველებმა დაარსეს აკადემია. იგივე მოიხსენეს სომხებმაც... (შემდეგ მან კი-დევ რამდენიმე ერთ დაასახელა). ჩვენ არ შეგვიძლია რამდენიმე აკადემიის გახსნა, უმჯობესია, ის ერთი დაეცუროთ.

აკადემიას თბილისშიაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. მათ რიცხვში იყო პ. ა. შარია (1902 - 1979), რომელიც აზალი ჩამოსული იყო მოსკოვიდან. იგი სწრაფად დაწინაურდა და გახდა საქ. კომპარტიის მდივანი იდეოლოგიურ საკითხებში. ის შეიცვანეს მეც. აკადემიაში, როგორც ფილოსოფოსი. შარიას აკადემიის ზოგიერთი წევრი (მაგალითად უზნაძე, რომელიც მასთან ერთად მოხვდა ერთ სექციაში.) იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ მიაჩნდა. შარიამ პირადად მოახსენა მთავრობას საქ. მეც. აკადემიის დახურვის აუცილებლობის შესახებ.



დახურულ აკადემიას დაუპირისპირეს საქ. მარქსიზმ-ლინიზმის ინსტიტუტი, რომელიც 1931 წელს შეიქმნა თბილისში და რომელმაც დიდხანს ვერ იარსება. ამ ინსტიტუტის მოვალეობა იყო მეცნიერთა, და მათ შორის ბუნებისმეტყველების დარგების სპეციალისტთა „მარქსისტული კონსოლიდაცია“. ამ ინსტიტუტის ფაქტოური პატრიონი პირველ ხანებში იყო შარია, რომელსაც ეკავა დირექტორის მოადგილის თანამდებობა (დირექტორი იყო ფილიძე მახარაძე).

1931 წლის იანვარსა თუ თებერვალში გაიმართა საქ. კომპარტიის ცკ სხდომა, რომლის თავ-ჩემ განაცხადა: საჭიროა აკადემიის დახურვას. დგება მეგრელიძე. ისიც აკადემიკოსია და პატრიორგანიზაციის ბიუროს წევრი. იგი დიდი ხნის დანაღვლიანებული იყო იმის გამო, რომ რესპუბლიკის უმაღლესი მეცნიერების დაწესებულების ფორმირებამ გადაუხვია მის მიერ ადრე დასახულ მიმართულებას. მეგრელიძემ განაცხადა: თუ აკადემიის შემადგენლობაში უღირსი ადამიანებია შეცვანილი, ეს უნდა გამოსწორდეს, საჭიროა ამ ხალხის შეცვლა, ხოლო, რაც კი შეეხება აკადემიის დახურვას, ეს დანაშაულია საქართველოს კულტურის, მეცნიერების, სინდისის წინაშეო. ბერიამ, რომელიც წარმატებით იკაფავდა გზას საქ.-ს და მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელის პოსტი-საკენ და რასაც კიდევაც მიაღწია 1931 წლის დეკემბერში, უპასუხა: — დაჯექით, თქვენ არ გეკითხებიან. — მაშ ვის ეკითხებიან? თქვენ ხომ არა? მეცნიერული კომიტეტის თავ-ჩემ თქვენ ხახთ თუ მე? სწორედ მე უნდა გავცე ამაზე პასუხი. თქვენ იქ თქვენი საქმეები მოაგვარეთ ჩეკაში, მე კი... აქ მას ბერიამ ხელმეორედ შეაწყებინა, სიტყვებით: — დაჯექით, თქვენ არ გეკითხებიან!

სამმა კაცმა მისცა ხმა მეცნიერებათა აკადემიის შენარჩუნებას, სხვებმა კი მის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ერთი კვირის შემდეგ მეგრელიძე გაანთავისუფლეს მეცნიერული კომიტეტის თავ — ის თანამდებობან და მის მაგივრად შარია დანიშნეს.

ჩვენ არ ვიცით ეცადა თუ არა ნიკო მარი საქ.-ს მეც. აკადემიის დაცვას, მაგრამ დავიმახსოვრეთ მისი სიტყვები: „ერთადერთი, რაც მე ჩემი ხალხისთვის გავაკეთე, ეს იყო აკადემიის დაარსება, — და იგი დახურულ იქნა“.



1929 - 33 წლებში აღგილი ჰქონდა საქ.-ს მეცნიერებულებისა (ესევი როგორც მთელი საბჭ. კავშირის მასშტაბით) უსასრულო ორგანიზაციულ გარდაქმნებს. 1933 წლის იანვარში აღგენილი იქნა უნივერსიტეტი, შემდეგ კი შეიქმნა მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა. საბჭ. კავშირის მეც. აკადემიამ თბილისში შექმნა მისი ამიერკავკასიის ფილიალი. მას დაგეგმილი ჰქონდა მეცნიერული აზრის ისეთი წყაროთა შექმნა აღგილებზე, რომლებიც საბჭ. კავშირის აკადემიაზე იქნებოდნენ დაქვემდებარებულნი. სწორედ თბილისში დაიწყო აღგილობრივ აკადემიათა დაარსების გენერალური ხაზის გამოცდა: დასაწყასში, საბჭ. კავშირის მეც. აკადემიის ფილიალების სახით, შემდეგ კი იგი ხდება მისი მონათესავე ჩესპუბლიკური მეც. აკადემია.

ახალი დადგენილება საქ.-ს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შესახებ 1941 წლის ათი თებერვლით არის დათარიღებული, მაგრამ მანამდე საქართველოში ბევრმა წყალმა და სისხლმა ჩაიარა.

ოცდაათიან წლებში რეპრესირებული იქნა საქ.-ს მეც. აკადემიის დაახლოებით ოცი წევრი: — რ. მ. აგამალიანი (1937 წ., —შესაძლოა აზერბაიჯანში), — ი. ა. ვაჟაფავა (1937 წ., დაპატიმრებისას ის იუ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჩექტორი).

— კ. გ. გორდელაძე (დააპატიმრეს 1937 წ., დახვრიტეს 1937 წლის 25 ივნისს გამოტანილი განაჩენის საფუძველზე, დაპატიმრების წინ იგი იუ საბჭ. კავშირის მეც. აკადემიის საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი. მისი მეუღლის დაპატიმრების შემდეგ კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკებმა გაძარცვეს მათი ბინა. ილია ჭავჭავაძის შესახებ გორდელაძის მიერ დაწერილი წიგნის ხელნაწერი, რომელიც მან დაპატიმრების წინ დაასრულა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა.)

— გ. ს. დევდარიანი (დააპატიმრეს 1937 წ., ხოლო 1938 წ. კი დახვრიტეს.)

— დ. გ. დოლიძე. იგი იუ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ჩექტორი. 1937 წლის დასაწყასში დოლიძე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. რაიკომის მდიგანმა ის იმაში დაადანაშაულა, რომ მას არაფერი უთქვამს ფილიპე მახარაძის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ (დოლიძის მეუღლე იუ



ფ. მახარაძის შეილი). დოლიძე მაშინვე დააპატიმრებულ და დანართდა.

— ა. ი. დუღუჩავა (დახვრიტეს 1937 წელს).

— გ. ა. მგალობლიშვილი (დახვრიტეს 1937 წელს. სასჯელის მოხდის შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა მისმა მეუღლემ თავი ჩამოიხრინ.).

— კ. შ. ორაგველიძე. 1935 წლიდან იგი იყო თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი. 1937 წ. თბილისში გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონის რედაქტორობა მას მიაწერეს, სინამდვილეში კი ავტორი იყო იმ დროს ახალი დახვრეტილი მალაქია ტოროშელიძე. ორაგველიძე დააპატიმრეს 1937 წლის პირველ სექტემბერს. იმავე წლის თერთმეტ ნოემბერს იგი გაასამართლა საქ.-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულმა, რომელმაც მას დახვრეტა მიუსაჯა. ასევე დახვრიტეს ორაგველიძის მეუღლე.

— მამია ორახელაშვილი. 1932 წლიდან იგი იყო საკავშირო კომპარტიის ცკ - თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, იგი ი. პ. ტოვსტუხასთან ერთად, რომელიც 1931 - 35 წლებში ასევე იყო ხესნებულ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მასალებს ამზადებდა სტალინის მოხსენებისათვის. 1937 წ. მ. ორახელაშვილი პარტიიდან გარიცხეს და ასტრახანში გადაასახლეს. იმავე წლის ივლისში კი დააპატიმრეს, აგვისტოს ბოლოს თბილისში ჩაიყვანეს, სადაც შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის სამეულმა მას დახვრეტის განაჩენი გამოუტანა, რაც თერთმეტ დეკემბერს იქნა სისრულეში მოყვანილი. მომდევნო დღეს გაზ. „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული იყო, რომ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგის მიერ გამოტანილი განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

— მარიამ ორახელაშვილი - უკანასკნელ წლებში მოსკოვში მუშაობდა რუსეთის სფსრ უმაღლესი სკოლის სამმართველოს უფროსად (ა. ბუბნოვთან) ... იგი დააპატიმრეს 1937 წ. 20 ივლისს, ქმართან ერთად ის თბილისში ჩაიყვანეს. ოფიციალური ცნობით, მას განაჩენი გამოუტანა უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ. იგი დახვრიტეს დაახლოებით 1938 წ. იანვარში. ამ მანდილოსანს მიმოწერა ჰქონდა გორკისთან, კრუპსკაიას-

თან, ა. უიდთან, ან. ბარბიუსთან და სხვებთან, მაგრამ უკავშირი და ეს საბუთი უგზო-უკვლოდ გაქრა. 1937 წ. ნოემბერში და-აპარიმრეს მამია და მარიამ ორახელაშვილების ქალიშვილი და გადაასახლეს. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მათი შვილიშვილები წამოიზარდნენ, ისინიც გადაასახლეს.

— ს. გ. პირუმოვი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ასევე, როგორც დახვრიტეს მისი მეუღლეც.

— მალაქია გ. ტოროშელიძე. 1936 წელს, დაპატიმრებამდე სა-მი-ოთხი თვით ადრე, ის დანიშნეს საქ.-ს განათლების სახ. კომისრად. ის დააპატიმრეს იმავე წლის ოქტომბერში, დაკით-ხვებზე წარმოებული წამებით იგი მთლად დაასახიჩრეს, ბოლ-ოს, 1937 წლის ათ ივლისს კი დახვრიტეს. მის მეუღლეს დი-დი ხნით მოუხდა ბანაკებში ყოფნა, ხოლო ორი შვილი კი 1938 წელს დაიღუპა.

— გ. ა. ჭიკინაძე დააპატიმრეს 1937 წლის ცხრა მაისს, თავის დაბადების 50: წლისთავზე. 1934 წლიდან იგი მოსკოვში მუშაო-ბდა, ხელმძღვანელობდა ჰიდროენერგოპროექტს, იყო სამშენებ-ლო-საინჟინრო ინსტიტუტის პროფესორი, სახელმწიფო-საგეგმო კომისიის ექსპერტი, მოსკოვ-ვოლგის არხის, რიბინსკისა და უგლიჩისკის ჰიდროენერგო მოსკოვის არხის, რიბინსკისა და უგლიჩისკის ჰიდროენერგო მოსკოვის არხის და უფროსი ქალიშვილი გადაასახ-ლეს.

— ტ. გ. ულენტი. 1937 წლის 24 მაისს მან თვითონ მოიკლა თავი და შემდეგი შინაარსის წერილი დაუტოვა ბერიას: „გამოიჩინეთ ვაჟკაცობა და ჩემს გულისთვის ხელს ნუ ახლებთ ჩემს ოჯახს“. მიუხედავად ამისა, მისი შვილი მაინც დახვრი-ტეს, ხოლო მისი მეუღლე და უფროსი ქალიშვილი გადაასახ-ლეს.

— შალვა ი. ნუცუბიძე 1938 წ. დააპატიმრეს, როგორც თით-ქოსდა გერმანელი ჯაშუში. მან ციხეში თარგმნა „ვეფხისტუ-ოსანი“. ალბათ, სწორედ ამან გადაარჩინა იგი. მას ს. ქავთა-რაძე გამოესარჩილა. 1941 წ. შ. ნუცუბიძე გაანთავისუფლეს, სტალინის პირადი განკარგულებით.

- ალბათ კორნელ ს. კეკელიძესაც მოუხდა პატიმრობაში ყოფნა.
- კორია სულაქველიძეს ხან რიცხავლნენ ბოლშევკიური პარ-ტიიდან, ხან კი ისევ იღებდნენ. იგი 1941 წ. გარდაიცვალა.
- ამირაჯიბის, რ. ახუნდოვის, ბოლოტნიკოვის, ს. ნ. ტიმო-

ფერების ბეჭი საქ. მეც. აკადემიის დახურვის შემდეგ ჩატარდა უცნობია.

- დიდი ტერორის წლებში, შარიაზ მაღალი თანამდებობები მიიღო საქართველოს კომპარტიაში. 1952 - 53 წლებში იგი პატიმრობაში იმყოფებოდა. შარია სტალინისტად დარჩა. ბერიას ჩამოგდების შემდეგ მან ათწლიანი პატიმრობა მოიხადა, შემდეგ კი მუშაობდა თბილისში ლიტერატურის ინსტიტუტში.

- ახლა კი უფრო დაწვრილებით მოგიყვებით სამი სხვა დაღუშულის შესახებ. ილია ლევანის ძე ჯანდიერი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მის გამგებლობაში მყოფ კათედრასა და ლაბორატორიაში საფუძველი ჩაეყარა საქ.-ს ზოოვეტერინარცულ ინსტიტუტს, რომელიც 1932 წელს გაიხსნა. ჯანდიერი იყო სტუდენტების საყვარელი პროფესორი. იგი იყო მაღალი, ლურჯოვალი, ტემპერამენტიანი, მუდამ მოძრაობაში მყოფი ადამიანი. მას თავის მოვალეობად მიაჩნდა პირადი აზრის გამოთქმა.

როცა მას ეუბნეოდნენ, ესა და ეს დისერტაცია უნდა გაგვიდეს, იგი პასუხობდა, რომ „ეს თვალთმავიცულია, და რომ ეს არც მეცნიერებისათვის და არც პრაქტიკული საქმისათვის არ არის გამოსადევგი.“ იგი ამჩნევდა, თუ ვის უჭირდა და საკუთარი ინიციატივით უწევდა მათ დახმარებას. იგი მეგობრობდა ნ. კ. კოლცოვთან, რომელიც მრავალჯერ იყო ილია ჯანდიერთან, ოცდათოიანი წლების შუა პერიოდში კოლცოვისათვის მძიმე დროს. როგორც ჩანს, მათ აკავშირებდათ აბრეშუმის ჭიათე ექსპერიმენტების. წარმოების შესაძლებლობათა კვლევა. ჯანდიერი მუშაობდა ცხენის სისხლის მეშვეობით, მისი გენეტიკური ჯიშის განსაზღვრის პრობლემაზე. მაგრამ ჯანდიერის დიდი შეჯამებული ნაშრომი მის ავტორთან ერთად დაიღუპა. ჯანდიერი იყო საქ.-ს უდიდესი სპეციალისტი მეცნიერებლის დარგში, მაგრამ მას ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს. როცა მან სამტრედიაში ნახა ადგილობრივი ქათმები, სიხარულით წამოიძახა: ისეთი მეფრინველების ფერმის დაარსება შეიძლება, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ჩუსე-თსაც დააკმაყიფილებს“. მაგრამ მან ვერ შეძლო ხელისუფალთა დარწმუნება იმაში, რომ ხელი მოეკიდათ მეფრინველების დიდ ფერმათა შექმნისათვის. 1934 - 35 წლებში დანიაში გადულობდნენ ლამაზ ძროხებს, ჯანდიერთან და საერთოდ

სპეციალისტებთან შეუთანხმებლად. ეს ძროხები სწრაფად დებოლნენ ბრუცელოზისგან.

ჯანდიერი ორთაჭალაში ცხოვრობდა. მას ქონდა ერთსართულიანი ბინა დიდი საჩდაფით, ქონდა ვენახი, ეზოში იზრდებოდა ლელვი, მაგნოლია; ყველა ძალლი. ერთხელ ბერიამ, თუ რომელიღაც სხვა ბელადთაგანმა მას მანქანა გამოუზავნა. მას, როგორც სპეციალისტს, სთხოვეს, რომ ენახა ამ ბელადის ბალი, მაგრამ ჯანდიერმა უარი შეუთვალა, მან უპასუხა: „მე ლექცია მაქვსო“. 1933 თუ 34 წელს, ერთ-ერთ დაპატიმრებისას, იგი დაკითხეს ვავილოვისა და კოლცოვის თაობაზე. მისმა მეუღლემ, ნათესავების მეშვეობით, შესძლო კავშირების მონახვა და ორი დღის შემდეგ, როცა კრემლის საავადმყფოს მთავარმა ეჭიმმა სტალინს მოახსენა ამის შესახებ, იგი გაანთავისუფლეს. 1937 წ. ილია ჯანდიერი დახვრიტეს.

- დაიღუპა აგრეთვე კანსტანტინე რომანის დე მეგრელიძე. მან, თბილისში სამსახურის გარეშე დარჩენილმა, დახმარებისათვის ნიკო მარს მიმართა. მარმა ის, 1932 წ., ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში უმფროს მეცნიერ-თანამშრომლად მოაწყო. მოგვიანებით, მეგრელიძე გახდა აგრეთვე ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ეროვნული განზოგილების გამგე. 1938 წ. დასაწყისში იგი დააპატიმრეს. 1939 წ. ბოლოს ის გაანთავისუფლეს, 1940 წ. დეკემბერში კი ისევ დააპატიმრეს. 1944 წელს კიტა მეგრელიძე კიროვის ოლქის ბანაკებში დაიღუპა. თოთქმის იმავე დროს დააპატიმრეს მისი მეუღლეც, რომელმაც ათი წლები ბანაკებში და შვიდი გადასახლებაში დაჰყო.

1932 - 35 წლებში მეგრელიძემ დაასრულა თავისი პირველი წიგნის დაწერა. 1936 - 40 წლებში მისი გამოცემა ოთხჯერ იქნა შეჩერებული. 1938 წელს ამ წიგნის სარედაქციო ეგზემპლიარი გადაარჩინა მეგრელიძის მეგობარმა. მან შეძლო ამ წიგნის გამოტანა მეგრელიძის კაბინეტის გამგის დაპატიმრების შემდეგ. ეს კაბინეტი დალუქული იყო. კ. მეგრელიძის რეაბილიტაციის შემდეგ ეს წიგნი გამოიცა 1965 - 73 წლებში თბილისში, სათაურით - „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი საკითხები“. ბანაკიდან მოდიოდა მისი წერილები. თავისი ქალიშვილისთვის მან ლეგენდა შექმნა, რომელშიც ნათლად გამოსჭვიოდა მისი აზრები. მეგრელიძე წერდა მის ქალიშვილს: „აღა-



მიანის სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია მსოფლიოში უკავშირობის არაფერია უდანაშაულო მსხვერპლზე მძიმე დანაშაული“.
სიკვდილამდე ერთი თვით აღრე მან შემდეგი დასწერა:
„დღევანდელი დღე მე მიმაჩნია ჩემი მეორედ დაბადების დღედ, და მას ყველაზე ბედნიერად მივიჩნევ ჩემს ცხოვრებაში (...). ერთადერთი და ყველაზე ძვირფასი, რაც კი მე აქ გამაჩნია, ეს არის ჩემი აზრების სამყარო, მიუხედავად იმისა, რომ მათ პრაქტიკული სარგებლობა არ მოაქვთ ჩემთვის. და აი, დასრულებულია ჩემი წიგნი, სადაც ჩემი აზრები ერთ მთლიანობაშია ჩამოსხმული“. ეს წიგნი „მაინც იქნება გამოცემული, რაც არ უნდა მოხდეს მსოფლიოში“, წერდა მეგრელიძე.
მაგრამ ამ წიგნის მონახვა შეუძლებელი გახდა.

— ვ. ვ. კანდელაკი სათავეში ედგა ლიმონისა და მანდარინის კულტურათა ტრესტს. ერთხელ მას სერიოზული კონფლიქტი შეემონა ბერიასთან. 1935 წ. ბერიამ თათბირი მოიწვია, რომელზეც განაცხადა, რომ საზღვარგარეთ ნაყადი იქნება რამდენიმე მილიონის მანდარინის ნერგი იმ მიზნით, რათა ხუთი წლის შემდეგ მთლიანად დაკმაყოფილდეს საბჭ. კავშირის მოთხოვნილება ადგილობრივი მანდარინით. კანდელაკმა დაიწყო წინააღმდეგობის გაწევა: „ეს იოლი როდია, ნერგებმა შეიძლება არ გაიხარონ, დიდია მცენარეული დაავადების შემოტანის საშიშროება, ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში იყო შემთხვევა, რომაც ნერგების სასწრაფო დაწვა პირდაპირ გემზე შეიქნა საკიროო“. ბერიამ კანდელაკს უპასუხა: „შენ არ გეკითხებიან. შენ რასაც გიბრძანებენ, იმას გააკეთებ“. კანდელაკმა ჩაიწერა თავისი მოსაზრებები და თათბირის დამთავრების შემდეგ მოსკოვში გაემგზავრა. იქ მან აკადემიკოსი ვილიამსი ნახა, რომელთანაც ის პეტროვსკის აკადემიაში სწავლობდა. მისი მეშვეობით, მან თავისი მოსაზრებები სტალინს გადასცა. ბერიამ, მოსკოვში მორიგი მგზავრობის დროს, საჭვედური მიიღო ბელადისგან (სპეციალისტებს ჯური უნდა უგდო, უთხრა მას სტალინმა). ამისთვის ბერია კანდელაკს დაპირდა: „მაცალე, მე ამას მოგავონებო“. კანდელაკი დააპარიმრეს 1937 წლის 5 აგვისტოს. მან ათი წლის პატიმრობა მიიღო, მიმოწერის უფლების გარეშე. იგი 1938 წლის ოქტომბერში დახვრიტეს, სწორედ ეყოვის აღგილზე



ბერიას დანიშვნიდან ცოტა ხნის შემდეგ.

საქ.-ს მეცნიერებათა აკადემიის ხელახლად დაარსებისას აკადემიკოსობის კანდიდატები კომპარტიის წევრები ხდებოდნენ. როცა გეოლოგ თვალჭრელიძეს, რომელიც მანამდე ბოლშევიკებისადმი არ იჩენდა განსაკუთრებით მიღრეკილებას, მისმა ნაცონბებმა ჰქითხეს, თუ როგორ მოხვდა იგი პარტიაში, მან ყველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უპასუხა: „ასეა საჭიროო.“ საქართ. მეც. აკადემიის საზეიმო გახსნაზე, რომელიც მარქს-ენგელს-ლენინის საქ.-ს ინსტიტუტის შენობაში გაიმართა, მუსხელიშვილმა პირველად შემდეგი სიტყვები წარმოთქვა:

„მე მივირავს ადგილი, რომელიც სამართლიანად უნდა უკავოს იგანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილს“. ისტორიკოსი იგანე ჯავახიშვილი იმ დროს რამდენიმე თვის გარდაცვლილი იყო.

მუსხელიშვილმა იცოდა ადამიანთა ფასი და მას შეეძლო მათ შესახებ მჭრელი სიტყვის თქმა. ერთხელ მან თქვა: „შარია ორი ნახევარი შარისგან შესდგება, რომლებზედაც ის ზისო“. ბოლო ეპიზოდი. იგანე სოლომონის ძე ბერიტაშვილი დააჯილდოვეს. ამასთან დაკავშირებით მას დაურეკა ქართველ კომუნისტთა ლიდერმა ვასილ მეავანაძემ. ბერიტაშვილმა გულუბრუ ვილოდ ჰქითხა: „ეს რომელი მეავანაძეა?“, ააა, ცენტრალური კომიტეტის დირექტორი! დიახ, გმადლობთ, მეავანაძე, გმადლობთ. თუ გინდა, გამოიარეთ ჩემთან. მე თქვენთან ვერ მოვალ, მე არა მაქვს ამის დრო“-თ ქვა და ჭურმილი დაკიდა.

ასეთი ამბები თითქმის ფოლკლორადაა ქცეული საქართველოში, მაგრამ ისინი აშკარად ინარჩუნებენ ამ მოვლენათა პირველად მიზეზების არსს. ყველაფერი ეს იმედს იძლევა იმისას, რომ საქ.-ს ისტორია (ქართველ მეცნიერთა ისტორიასთან ერთად) არ გადაიქცევა უფერულ სქემად: მისი ნათელი ფერები წარუშლელია.

ავტორები: დ. ანასტასინი, ი. ვოზნესენსკი
რუსულიდან თარგმნა: ზურაბ ნარსიაშ



ი ღ ი ა , ბ ა ტ ი ნ მ !

იღია, ბატონი,
უნდა გვიპატრონო
სულითა წმიდითა
და ჟავლად მშვიდითა,
დია ნეტარითა,
უფლის ნექტარითა.
თუმც ხარ უსხეულო,
გარნა უჩვეულო
ნათელი ნათელთა,
მზრუნველი ქართველთა,
და არ მიგვატოვო,
არ გაგვიმარტოვო,
იყვი ჩვენთანა
მარად და ჭელგანა!
ეს ხომ შენ თვით ჰყიცე,
ერის წინ დაიფიცე
და ჩვენც შემოგვიცე
უზადო ფიცითა,
აღთქმითა მტკიცითა.
მაშ, ნუ მიგვატოვებ,
ნუ გაგვიმარტოვებ,
იყვ სულ ჩვენთანა
მარად და ჭელგანა,
გთხოვს შენი ქვეყნა,
ზე, ცა და ქვე, ყანა!

კოლხ-ივერთ პატრონო,
იღია, ბატონო,
უნდა გვიპატრონო
წმიდითა სულითა,
იმ წმინდა წყლულითა
შუბლზე რომ გაჩნია,
ჩვენ კი გულს გვაჩნია,
შუბლზე რომ გატჟია,
ის ჩვენი მატჟია
და ჩვენი მაცნეა.
ჩვენც გულში გვატჟია
ჭრილობა და ტჟია—
ის, შენ რომ გესროლეს
და ჩვენც რომ გვესროლეს.
იღია, ბატონო,
იმ წმიდა წყლულითა
და წმიდა სულითა
უნდა გვიპატრონო,
ი ღ ი ა , ბ ა ტ ი ნ მ ,
ი ღ ი ა , ბ ა ტ ი ნ მ ,
ი ღ ი ა , ბ ა ტ ი ნ მ ...

* * *

*

13 მარტი, 1987 წელი
გაშინგტონი

ბ ი ნ დ ი

სიცოცხლე ბინდმა მოიცვა,
ვაჰმე, რად ჰქერება ნათელი,
გულო, არ შედრკე, მოიცა,
იყვ უდრეკი და მრთელი.

ეგებ მოვიდეს დროიცა,
აღინთოს შვების სანთელი
და სამშობლოში ჩავიდეთ
გამარჯვებული, ტანმრთელი.



„სოფელი ბინდის ფერია,
უფრო და უფრო ბინდდება“,
იმღერე, რაც გიმღერია,
ნურაფრის შეგეშინდება;
სიბნელე არაფერია,
როცა მზე გამობრწყნნდება,
გიჭარდეს ნაზი ფერია,
სიცოცხლე ნუ მოგწყნდება.

გულო, ხარ სიმ-ზე შეკვეთი მუდა
ალი გედება მწველია,
ფიცარზე ამოკვეთილი
ერი გუას საფიცველია;
მძიმეა ეს გაკვეთილი,
მაგრამ უფალი მცველია,
„ბოროტსა დასძლევს კეთილი,
არსება მისი კრცხვია...“

მ ა რ ტ ი 1945. გ ი ვ ი შ ა რ ე ლ ი

* * *

ს ი ც ო ც ხ ლ ე , ი ა დ ა მ ე

ზოგს მომავლის ფიქრი აკრთობს, ღმერთო, შენ მომამკეინე,
ზოგს კი აწმყოს ზარები; რაც რომ მითესია მე!
ზოგს ორივე ერთად ზარავს,
მართლაც შესაზარები!
ამ დღეში ვარ სწორედ მე,
ნეტა იმას, ვისაც თუნდაც
ახსოვს ძველი სიამე!
თუ ასეა — ნეტა მე!..
რაც ვეწამე დამავიწყდა,
მახსოვს მხოლოდ სიამე,
მკერდში თაფლად რომ ჩამღვრია
სიამეთა სია მე.

— შავო ბელო, შე უბელო!
მაკმარე, რაც იავე,
გაკეთილდი! შენ სიკეთით
სიცოცხლე დაიამე!
სიცოცხლე და ია მე!..

ნოშრევან გალაშვილი
მარტი 1986
სანტა როზა (ა. შ. შ.)

* * *

ლ ე ვ ი ლ ი ს ს ა ფ ლ ა თ ხ ე

უთენიას წამოვდექი,
ეზოს კარებს მივადექი,
გზაში ცრემვლით მივდიოდი,
ამეშალა გრძნობის თექი.

თუ გინახავთ ლევილელი
ქართველების იქ სამყარო,
სიმაგრეა ციხე მთელი,
ეს არ არის სასაფლაო.



ცრემლი გაჰქრა დანახვაზე,
მიცინოდა ძველებურად,
ქვაზე იყო აღბეჭდილი
მხნე სვიმონი, წერეთლურად.

სიყვარულის მისი მმართე,
საუბარი გავუმართე:
ბიძა, შენი ხსოვნა დამაქვს,
თუმც შენ იქით წაემართე.

მეგობრები გვერდში გიშევს,
შენი პეტრე, შენი პავლე,

სანამ ლევილს მოხვილოდე
ეკლიანი გზები გარვლე.

მოგიკითხო ჩემი კარგო,
მეც უშენოდ დავიკარგო,
თუმც დავდივარ ჯერ მიწაზე,
ბედმა ერთი ხვედრი გვარგო.

თუ სამშობლოს გავიძეცით,
არ მოხერხდა ნახვა ერთი,
ეს არ იყო ნება ჩვენი,
მოწამეა მაღლა ღმერთი.

ირაკლი ოთხმეზური

** ** **

ი უ ბ ი ლ ი ს დ ღ ე ს (ექსპრომტად თქმული)

ისეგ მესტუმრა ჩემი მაისი,
ჩემი სიცოცხლის თვე-დასაწყისი,
როდესაც გვხიბლავს აის-დაისი,
როცა სიცოცხლის უფებს ხალისი.
მინდვრად გასულა გუთან-სახნისი,
ყურთ სმენას ატკბობს დიაცო კისკისი;
ყვავის მამულიც, მთა-ბარი მისი,
ჩემი თბილისი და ქუთაისი.

დღეს შვიდჯერ ათი წელი გავლიე,
ჰამდენი შხამი დავლიე!
მაგრამ სიცოცხლეს ვერ შეველიე,
და, ძველებურად ვაგრძელებ ისევ.

სამოცდაათი!... ჯელა ჩემია.
მე ის არცერთი არ დამითმია.
თუ კი ეს გული ლელავს და ბორგავს,
მაშ, ბრძოლას აზრი არ დაუკარგავს.

ისევ მინთია გულში იმედი,
მიაპობს ზვირთებს ეს ჩემი გემი,
ვგუშაგობ მამულს გაშლილი აღმით,
თანაგუშაგებს ჩემი სალამი.

პ ე რ ე ვ ი ს ე ლ ი
20. V. 1987.

**

**

**

**

ს ა ბ კ ო თ ა ი უ მ ო რ ი ს თ რ ი ნ ი მ უ შ ი

ნაპოლეონი და საბჭოთა პრესა

ამბობენ: როცა მოსკოვში უკანასკნელად ოქტომბრის ჩევოლუციის წლისთავს ზეიმობდნენ, სადაც დიდი სამხედრო პარადი იმართება კრემლის სასახლის წინ, წითელ მოედანზე, საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურ პირთა ტრიბუნაზე, სხვა საპატიო სტუმართა შორის, მიიწვია ყოველი დროის ყველაზე სახელგანთქმული მხედართმთავრები: ალექსანდრე მაკელონელი, გაიუს იულიუს კეისარი და ნაპოლეონი.

როცა მოედანზე სატანკო ნაწილების მწყობრი სელა დაიწყო, დიდმა ალექსანდრემ აღტაცებისგან წამოიძახა: „აჰ, მე რომ ასეთი იარაღი მქონებოდა მთელს მსოფლიოს დავიპყობდიო“. სატანკო ნაწილები ბირთვული ბომბების მტყურცნელმა რაკეტებმა შეცვალეს. აქ, აღფრთვანებულმა კეისარმა ბრძანა: აჰ, აჰ, ასეთი იარაღი რომ მქონებოდა, ალეზიას ალყი ისე დიდხანს არ გამიგრძელდებოდა. ნაპოლეონი კი დუმდა და გაზეთ „პრავდის“ კითხვით იყო გატაცებული. ამ მდგომარეობით დაინტერესებულმა კოლეგებმა ნაპოლეონს თხოვეს, რომ მასაც გამოეთქვა თავისი აზრი. ნაპოლეონმა ასე უპასუხა: „ჰე, მეგობრებმა: დამერწმუნეთ, ასეთი გაზეთი რომ მქონებოდა, არავის არ ეცოდინებოდა ვატერლოოზე რომ დავმარცხდიო“.

უან-ფრანსუა დენიო
გაზ. „ფიგარო“ 30.X.1984.



როდის დამყარდება რუსეთში კომუნიზმი, უკრაინის
ანუ ბრეჟნევის ლაპტები*)

ტამბოვის რაიონის „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობამ იმ წელს კარტოფილის უხვი მოსაცალი მოიწია. სახელმწიფოს ჩააბარა 55 ტონა კარტოფილი, ე. ი. ხუთი ტონით გეგმაზე მეტი. კრემლიდან ბრეჟნევის ხელმოწერილი დეპეშა მოვიდა, რომლითაც ლეონიდ ილიჩი „გმირ“ კოლმეურნეებს ულოცავდა: „თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში“.

როგორც ეს წესია, სასწრაფოდ იქნა მოწვეული დამკგრელ კოლმეურნეთა მიტინგი, რომელზედაც რაიონის ცენტრიდან ჩამოსულმა რაიკომის მდივანმა ქება-ლილება შეასხა გენერალური მდივნის ბრძნულ პოლიტიკას და კიდევ უფრო მეტი ენერგიის დაძაბვისაკენ მოუწოდა კრებას, ბელადის ასეთი ურადღება რომ გაამართლოთ. შემდეგ ტრიბუნაზე გამოვიდენ ახალგაზრდა აქტივისტები, რომლებმაც დაახლოებით რაიკომის მდივნის სიტყვები გაიმეორეს და ვალდებულებები აიღეს, რომ უფრო მეტს იმუშავებენ, რათა უფრო უხვი კარტოფილის მოსაცალი მიიღონ, რომ წარმატებით შენდებოდეს კომუნიზმი.

სულ ბოლოს, გაუბედავად სიტყვა ითხოვა მოხუცმა კოლმეურნემ ვასილი ივანოვიჩმა. „მე ერთი ღარიბი მუყიდის შვილი გახლავართ, დაიწყო მოხუცმა, ისე კარგად ვერ ვლაპარაკობ, როგორც აქ გამოსული ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგები. 12 წლიდან მძიმე ჭაპანს ვეწევი, რათა კომუნიზმის მშენებლობა რეალურად იქცეს. ჩვენი ასეთი გამარჯვების შემდეგ, მე მინდა შევეკითხო სერგეი ნიკოლაევიჩს (რაიკომის მდივანი), თუ ზუსტად როდის განხორციელდება კომუნიზმი ჩვენს ქვეყნაში?“ კრებამ ხმაურითა და ტაშით მოიწონა ორატორის შეკითხვა და რაიკომის მდივნის პასუხს დაელოდა. რაიკომის მდივანი დაიბნა, ასეთ შეკითხვას არ მოელოდა, ადგა და ალალ-მართლად განაცხადა: „მე არ შემიძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ეს მხოლოდ ლეონიდ ილიჩს შეუძლია, მოდით, კრებამ მას მაღლობის წერილი მისწეროს და თან ეს კითხვაც დაუსვასო“. ბევრი ბჭობის შემდეგ, კრებამ

ერთხმად დაადგინა: ფოსტით წერილის გაგზავნა ასე ჩემთვეში, რადგანაც პასუხს ძალიან დააგვიანდება, ორ არჩეულ კუც მივანდოთ ჩვენი წერილი, ისინი ილიჩს პირადად ნახავენ და პასუხსაც სწრაფად მოგვიტანებენ. ასეც მოიქცნენ, დელეგატებად აირჩიეს ორი კომკავშირელი: პეტია და სერიოუა და მათ ასეთი შინაარსის წერილი გაატანეს: „წითელი ოქტობრის“ კოლმეურნეთი საერთო კრება მაღლობას გიცხა-დებთ თქვენ, ამხანაგო ლეონიდ ილიჩ, თქვენი მშობლიური მზრუნველობისა და ურადღებისათვის. პირობას გაძლევთ, კიდევ უფრო მონდომებით ვიმუშაოთ მომავალში, რათა კომუნიზმის მშენებლობა წარმატებით განხორციელდეს. მაგრამ ჩვენ გვინდა ახლავე ვიცოდეთ ის ბედნიერი დრო, როცა კომუნიზმი დამყარდება ჩვენს ქვეყნაში და გთხოვთ, თქვენი პასუხი ამ ჩვენი დელეგატების პირით შეგვატყობინოთ.“.

ერთი დღე-ღამის რიგში დგომის შემდეგ, პეტიამ და სერიოუამ როგორც იყო აიღეს მატარებლის ბილეთები, და დილით აღრე თავი ამოჰყეს მოსკოვის იაროსლავსკის ვაგზალზე, საიდანაც ფეხით გასწიეს ცენტრალური კომიტეტის სასახლემდე, რომელიც სამი კილომეტრითაა დაშორებული. ჩვენს სოფლელ ბიჭებს თვალები მოსჭრათ კიროვის ქუჩისა და ძერუინსკის მოედნის დიდებულებამ. როგორ არ ჰვავლნენ ის-ინი მათი სოფლის ქოხ-მახებს!

მაგრამ ბრეუნევის სასახლეში შესვლა და ლ. ილიჩის ნახვა ისე ადვილი არ გამოდგა, როგორც ეს მათ ეგონათ. სასახლის მცველებმა გადაჭრით უთხრეს: ამხ. ბრეუნევის ნახვა შეუძლებელია. პეტია და სერიოუა გაჯიუტდნენ, „თუ ჩვენ ლეონიდ ილიჩი პირადად არ ვნახეთ, აქიდან ფეხს არ მოვიცვლითო. დიდი დავა-დავიდარაბის შემდეგ, პეტია და სერიოუა შეიცვანეს მეხუთე სართულზე ერთ ვრცელ და კეთილმოწყობილ ოთახში. აქ კიდევ ერთ საათზე მეტი აცლევინეს და ბოლოს, ისინი კაბინეტში შეიწვია ბრეუნევის 36-ე მდივნის 28-ე თანაშემწერ. ამ დილმა მოხელემ თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა სოფლელი დელეგატები, შემდეგ გამოკითხა წვევის მიზეზი და ასე უპასუხა: „ლეონიდ ილიჩს სამწუხაოდ არ შეუძლია თქვენი მიღება, თუმცა მას გულით სურს პირადად თქვენგან მოისმინოს თქვენი გმირი კოლმეურნეების



საერთო კრების თხოვნა, მაგრამ საერთაშორისო და უცხოურენო საშინაო საქმეები მას ამის დროს არ აძლევენ. დაზოვეთ ეგ თქვენი წერილი, თქვენ უკან დაბრუნდით და იქ დაელოდეთ ამხანაგ ლ. ილიჩის პასუხს“.

სერიოუამ და პეტიამ არასგზით არ მიიღეს ეს წინადადება, „ჩვენ თუ ბრეუნევის პასუხი არ ჩავიტანეთ, სოფელში არ ჩაგვესვლება, თუ ლეონიდ ილიჩის დრო არ აქვს, თქვენ, ამხელა თანამდებობის პირს, კი უნდა შეგეძლოთ ჩვენი კოლმეურნეების შეკითხვაზე პასუხი გასცეოთ“, მიუგეს. ცენტრალური კომიტეტის მუშავი ჩაფიქრდა, თუ როგორ მოეშორებია ეს აბეზარი მთხოვნელები. მან ოთახში გაიარ-გამოიარა, ფანჯრი-დან ეზოში გადაიხედა და უეცრად სახე გაუბრუშანდა, მოტ-რიალდა, პეტია და სერიოუა ფანჯარასთან მიიხმო და თითით აჩვენა: ხედავთ იმ ორ დიდ შავ ავტომობილს? მარცხნივ რომ „ჩაიკაა“, ის აბზ. ბრეუნევისაა, მარჯვნით კი ამხანაგ კო-სიგინის. ჩაიბეჭდეთ კარგად ეს სურათი მეხსიერებაში და უთხარით სახელვან „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის მშრომელებს, რომ კომუნიზმი დამყარდება მაშინ, როცა თქ-ვენი საკუთარი „ჩაიკები“ ამ ორ „ჩაიკებს“ შორის ჩადგები-ან, გაიგეო? პეტიამ და სერიოუამ გაიგეს და ძალიან კმაყ-ფილიც დარჩნენ.

„წითელი ოქტომბერის“ კოლმეურნეები დიდი ინტერესით მო-ელიან მათ წარგზავნილებს. მათ დაბრუნებისთანავე შეიკრიბა საერთო კრება. ტრიბუნაზე მხოლოდ პეტია და სერიოუაა. კრე-ბა სულგანაბული ელის მათი წერილის პასუხს. ეს ბიჭები კი უცნაურად გადი-გამოდიან და მსმენელებს თავიდან ფეხებამ-დე ათვალიერებენ ისე, როგორც გუშინ ცენტრალური კომიტე-ტის ერთ-ერთ ბიუროში მათ ათვალიერებდა ბრეუნევის 36-ე მდივნის მე-28-ე თანაშემწერ.

ბოლოს, პეტიამ მიმართა ერთ კოლმეურნე ქალს: „აბა, მაშა მიხაილოვნა, მოიტანე აქ შენი ლაპტები და ლაპტები ტრიბუ-ნაზე.“ გაკვირვებულმა ქალმა ყაფანით შეასრულა ბრძანება. ახლა სერიოუამ მიმართა მეორე კოლმეურნეს: „აბა, შენ, ალექსანდრე დიმიტრიევიჩ, შენც გაიხადე ლაპტები, მოიტანე და ლაპტები ტრიბუნაზე მაშა მიხაილოვნას ტალახიან ლაპტე-ბის გვერდით.“ ამ უკანასკნელმაც შეასრულა სერიოუას სურვი-

ლი. კრება გაინაბა მოლოდინში და, აი, მნიშვნელოვანი ჭიათური „ამხანაგებო, უცურეთ, აქ, ტრიბუნაზე აწყია მაშა მიხაილოვნას და ალექსანდრე დიმიტრიევიჩის ტალახიანი ლაპტები. და-იმახსოვრეთ კარგად: იმ დღიდან და იმ მომენტიდან, როცა თქვენ ნახავთ, რომ ამხანაგი ბრეჟნევის ტალახიანი ლაპტები ამ ორი წლის ტალახიანი ლაპტების შორის იქნებიან დაწყობილნი, – მაშინ ჩვენს დიად სამშობლოში კომუნიზმი იქნება დამყარებული!“

თავისუფალი თარგმანი ირინა და
უან კეპეიანის ფრანგული წიგნიდან:
„წითელი პროლეტარის ქუჩა“.

*) ლაპტები (ლაპოტ) – ლაფნის, ხის ქერქის ქალამნები, რო-მელსაც რუსი გლეხობა ატარებდა და დღესაც თურმე ატარებს.

**

**

**

**

ბ ა ვ შ ვ თ ბ ი ს ა დ ა ყ რ მ თ ბ ი ს მ თ გ თ ნ ე ბ ა
(ლასაწყასი იხ. „გუშაგი“ №№8, 9, 10, 11, 12)

საქართველოს უბედურება

1917 წელში რუსეთის თვითმკავშირობა დაემხო. დროებითი დემოკრატიული მმართველობა, რვა თვის თავზე, ლენინის ბოლ-შევიკურმა გადატრიალებამ შეცვალა. რუსეთი სამოქალაქო ომ-მა მოიცვა. როგორც დასავლეთის, ისე ოსმალეთის ფრონტებზე რუსი ჯარისკაცები დეზერტირებად გადაიქცნენ. ფრონტებს სტოკებდნენ, რაც საქართველოს ოსმალეთის მხრიდან საფრთ-ხეს უქმნიდა. საქართველომ **1918** წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით. კაიზერის გერმანიამ მის მოკავშირე ოსმალეთის ჯარებს ნება არ მისცა ჩვენი ქვეჭის დაპყობის. გერმანული ჯარები ჩვენი დამოუკიდებლობის დამცველ-თანაბერძოლებად მოგვევ-ლინენ. მაგრამ გერმანია მაღე დამარცხდა და მისმა ჯარებმაც საქართველოს მიწა-წყლი დასტოვეს. გერმანებს სა-ქართველოში თან შემოყვა საქართველოს დამოუკიდებლობი-



სათვის მებრძოლი ქართული ლეგიონი, ლეო კერესელიძის სახელით. ლეგიონი შექმნილი იყო „საქ. დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ, რომელიც ბერლინში იმჟაფებოდა. მას ხელმძღვანელობდნენ: მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, გიორგი კერესელიძე და სხვა ცნობილი პატრიოტები. ლეგიონი გაწვრთნილი იყო გერმანელების მიერ და 1915 წლიდან იბრძოდა ოსმალეთის მხრიდან რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. საქართველოს სოციალისტურმა მთავრობამ ლეგიონი დაუყოვნებლივ დაშალა, ხოლო მისი მეთაური ლეო კერესელიძე ელჩად გააგზავნა აზერბაიჯანში.

გერმანიის ჯარები ინგლისის ჯარებმა შეცვალეს. ისინი მოვიდნენ როგორც გამარჯვებული დაპკუობლები, ამპარტავანნი და უხეშნი. რამდენიმე მათი ოფიცერი კიდევაც გაროზგეს ქართველებმა, მანდილოსნებისადმი უზრდელად მოქცევის გამო. მახსოვეს: ინგლისელი ჯარისკაცები შოთა რუსთაველის გამზირზე ცხოვრობდნენ და საცვლებს ქუჩაში აშრობდნენ, რაც ხალხის გაკვირვებასა და ჭყომას იწვევდა.

ინგლისელებს უნდოდათ ბათუმში დარჩენილი ქუჩნენ, რომ იქ სამხედრო გემები ჰყოლდათ, ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ დენიკინის არმიის დასახმარებლად.¹ ჩვენს სოციალისტურ მთავრობას ეს არ მოსწონდა. მას ალბათ არ უნდოდა საქმე ჰქონდა კაპიტალისტურ ინგლისთან. დაიწყო დიდი საპტოტესტო მანიფესტაციები, ბათუმში ინგლისის ჯარების ყოფნის საწინააღმდეგოდ. მეც ვიღებდი მასში მონაწილეობას, როგორც მოწაფე. ვძლიანდით: „ბათუმი ჩეგნია!“, „ძირს კაპიტალისტები!“, „შორს ხელები ბათუმიდან!“ და სხვა...

იმდენი ვიბლავლეთ, რომ ბოლოს და ბოლოს ინგლისელები წავიდნენ ბათუმიდან და საქართველოზეც ხელები დაიბანეს.

სამაგიეროდ, 1920 წლის აგვისტოში საქართველოს ესტუმრნენ ეგროპის სოციალისტური პატრიოტების ლიდერები, როგორც ფერგან საქართველოში, გურჯანელებიც მათ აღფრთოვანებული შეხვდნენ. გურჯანის სადგური საგვე იყო ჭურძნის ჩხების გვირვვინებით, რომელზეც ალბათ რამდენიმე ასი კილოგრამი სხვადასხვაფერი ჭურძენი იქნებოდა და ათასფერი ჭავილებით მორთულ-მოკაზმული. ილაპარაკეს ფრანგულად, ინგლისურად, იტალიურად, გერმანულად (ერთი ქართველი თარგ-



მნიდა), აქებდნენ ჩვენს სოციალისტებს, „მათ დიდი პროგრესი გააკეთეს, საქართველო არის პირველი სოციალისტური უნიტი მწიფო მსოფლიოში“ და გვისურვებდნენ სოციალიზმის წარმატებით განხორციელებას. აღვილი წარმოსადგენია, თუ რა საამაყო იყო ჩვენთვის, რომ ევროპიელები ჩვენს სანახავად მოვიდნენ და ჩვენს მთავრობას ხოტბით ამკობდნენ. ჩვენც ვაშას ვჭიროდით და ტაშს ვუკრავდით.

1920 წელს ამიერკავკასიაში დიდი ამბები მოხდა: საბჭოთა რუსეთის ჯარმა სომხეთი და აზერბაიჯანი დაიკავა. კახეთუში დიდი შიშიანობა და მღელვარება შეიქნა. მახსოვს, მოსახლეობა მიტინგებს მართავდა, რომლებზედაც გამოსული ირატორები მოითხოვდენ: მთავრობას მობილიზაცია გამოეცხადებია, ხალხისთვის იარაღი დაერიგებია და სხვა სამხედრო ღონისძიებანი მიეღო რუსების მოსალოდნელი შემოსევის წინააღმდეგ. კახეთის მოსახლეობამ დელეგატები აირჩია ათი კაცის შემადგენლობით, ვექილ ჯანდიერის მეთაურობით და მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა თბილისში, სადაც ისინი დიდი ყოფანის შემდეგ სამხედრო მინისტრმა მიიღო და თურქე (როგორც დელეგატებმა შემდეგ გვიამბეს) მინისტრსა და ჯანდიერს შორის შემდეგი დიალოგი გაიმართა:

— მინისტრი: რა გნებავთ, ბატონებო, რისთვის გარჯილხართ?
 — ჯანდიერი: თქვენ ალბათ უკვე იცით, ბატონო მინისტრო, რისთვისაც მოვსულვართ. მტერი კარზე გვადგას და ერი აღშფოთებულია, რომ თქვენ თავდაცვის ზომებს არ იღებთ.
 რუსები არც ჩვენ დაგვინდობენ. მოახდინეთ სასწრაფო მობილიზაცია. მიეცით ხალხს იარაღი, რომ სამშობლო დაიცვას.
 — მინისტრი: ბატონებო, საქართველოს დამოუკიდებლობას არავინ არ ემუქრება. თქვენ კი, თქვენი მიტინგებით აღიზიანებთ რუსებს.

— ჯანდიერი: ბ—ნო მინისტრო, თქვენ და მთავრობა ბრძები ყოფილხართ. ნუთუ ვერ ხედავთ, თუ რამდენი ჯარი მოდის რუსეთიდან აზერბაიჯანში. რათ უნდათ მათ იქ ამდენი ჯარი? მიპასუხეთ. მინისტრმა არ უპასუხა და შეხვედრაც ამით დამთავრდა.

ომი დაიწყო. მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა. ჩვენც, ჩვენი სკოლის დირექტორმა ჩიგოგიძემ მხედრულად დაგვაშუ



დიდი და პატარა და დროშით ხელში წინ გაგვიძლვა. მატვოლ-ბის სასახლისაკენ, საღაც მოხალისეთა ნაწილები დგებოდა. როცა მივედით, იქ ჩვენზე წინ სხვა გიმნაზიელები და მოქალაქენიც დაგვხვდნენ რიგში მდგომნი. ჩემი რიგი მოვიდა, „ოქვენ ახალგაზრდა ხართ, მითხრეთ“. ძალიან მეწყნა: ნუთუ მე არ შემიძლია ვისროლო თოფი-მეთქი! დაგელოდე ჩემს ბიძას-ჯილაურს, რომელიც ერთი წლით უფროსი იყო ჩემზე. მისი რიგი რომ მოვიდა, იმასაც უარი უთხრეს. გამოგვიცხადეს, რომ ომის დროს არ იქნება სწავლა. გულდაწყეტილნი დაგბრუნდით სახლში და გადავწყიტეთ დავბრუნებულიყვათ პატარეულში.

ნავთლუხის სადგურში ტრამვაით მივედით. აქ სამგზავრო მატარებები არ იყნენ. რა ვქნათ? ფეხით წავიდეთ? ერთმანეთს ვეკითხებოდით. ბოლოს, სადგურში ერთი რკინიზგის მოხელე ვნახეთ, რომელიც ბიძაჩემ ლუკას მეგობარი აღმოჩნდა. მან ერთ მატარებელზე მიგვითითა, რომელიც ცარიელი იყო და ივრისკენ მიდიოდა. გვითხრა: კარები დაკეტეთ, არავინ დაგინახოთ. ჩვენც ასე მოვიქეცით. სამგზავრო ვაგონები

ჰელა ცარიელი იყო, რამაც გაგვაკვირვა. საათ- ნახევა- რში ივრის სადგურში ვიყავით. სადგურიდან კი პატარძეულში ფეხით ერთ საათში მივედით.

ლუკა ძია ჯარში იყო. სახლში კი ორი დეიდა იყო. მეორე დღეს დეიდამ მითხრა: მიშა, გინდა სადგურზე წახვიდე? ბიძაშვილი მოდის სტუმრად და ბარგი ექნება. გამეხარდა. რომელი ცხენი წავიყანო-მეთქი. რომელიც გინდაო. გავსწიე სადგურისაკენ. შორიდან შევნიშნე ბევრი ხალხი. როცა მივე- დი სადგურში, გავიგე, რომ ესენი მოხალისენი არიან, უცდი- ან საგარეჯოდან მომავალ მატარებელს. მთავრობის მობილიზა- ციას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. ზოგს დროშა წამოელო და იარაღიც ჰქონდათ. მატარებელი მოვიდა ხალხით გაჭირდილი. ვაგონების კიბეები და სახურავები ხალხით იყო სავსე. ეს ის მატარებელი იყო, რომლითაც გუშინ ვიმგზავრეთ. იყო ერთი ამბავი, მხიარულობა, ვაშას ძახილი და „დიდებას“ სიმღერა. ეს წუთები ჩემთვის დაუგიშები არის. არ ვიცი რამდენი ათ- ასი კაცი იქნებოდა! ჰელა მხიარული იყო, რომ სამშობლოს დასაცავად მიდიოდა. მატარებელი მზათ იყო წასასვლელათ,



მაგრამ საღვრის უფროსი საღვრიდან არ გამოდიოდა ლოს გამოვიდა და გამოაცხადა: „მევობრებო და მამულიშვილებო, ვაზიანი აღარ პასუხობს, ხაზი გადაჭრილია, მატარებელი ვერ წავა!“ გლოვის სიჩუმე ჩამოვარდა, და უცებ იჭირა ხალხმა: „მოლალატეები!“, „გამყდველები!“, „სიკვდილი მათ!“ ერთმა კაპიტანმა, რომელიც ვაგონის საფეხურზე იდგა, დაიძახა: „ძმებო და მეგობრებო, ვისაც იარაღი გაქვთ გვერდზე გადადექით. აქიდან თბილისი 30 კილომეტრზეა. ფეხით წავიდეთ.“ ხალხმა უპასუხა: „ყველანი უნდა წავიდეთ!“ – „არა, ძმებო, უიარაღო ხალხმა რა უნდა გააკეთოს ტჟიის მფრქვეველების წინააღმდეგ? მე ვიცი, თქვენ გიფართ სამშობლო და გინდათ ის დაიცვათ. ალბათ საქართველოს კიდევ დასჭირდებით“, თქვა კაპიტანმა. ვისაც იარაღი ჰქონდათ ვაგონებიდან ჩამოვიდნენ, რიგში მოეწყვენენ და იგრის ხიდისკენ წავიდნენ, ათასზე მეტი იქნებოდნენ. დარჩენილებმა ვაშას ძახილით გავაცილეთ. ეს იყო დღე აღფრთოვანების და უიმედობის ...

შემდეგ გავიგე, რომ ახალგაზრდა კაპიტანი იყო ოსმალეთის ფრონტზე მებრძოლი ლეგონერი, რომელმაც გმირობისათვის ბევრი ჯილდო მიიღო. თურმე ჯარში არ მიიღეს და საგარეჯოში თავის მამულს ამუშავებდა. მაშინ ვერ გავიგე, თუ რატომ ამისთანა გმირი ჯარში არ მიიღეს.

სამი დღეა, რაც პატარძეულში ვარ. დეიდამ გამზავნა ბაზარზე, რომელიც სოფლის ცენტრში იყო. ბევრი ხალხი იყენებით ქალები. იყო ლაპარაკი ომზე და გუშინდელ საღვრის ამბავზე. ვიღაცამ დაიძახა: ჩუსები მოდიან! მართლაც სამი „ლინეიკა“ უახლოვდებოდა ბაზარს. თითოზე სამი კაცი, თოფით ზურგზე ცხენების წამყანი, მის გვერდზე ერთი ჯარისკაცი მძიმე ტჟიის მფრქვევით. ერთი ჩამოვიდა ლინეიკიდან და ქართულად თქვა: „მოქალაქენო, ნუ გუშინიათ, ჩვენ თქვენს გასანთავისუფლებლად მოვდივართ. თუ ვინმე არის თქვენს შორის, რომ საგარეჯომდე წამოგვჭეს და გზა გვაჩვენოს.“ ერთი კაცი გამოვიდა ხალხიდან, ჩაჯდა მათთან და წავიდნენ. იმ კაცს ყელა იცნობდა, ის პატარძეულის აქტიური კომუნისტი იყო. ეს კაცი მეორე დღეს ჩვენთან სახლში მოვიდა. არავის არ აურჩევია, მაგრამ თავი მამასახლი-სად გამოაცხადა და საბჭოთა ხელისუფლების სახელით გამოგვი-



ცხადა, რომ მე მჭირდება ოთხი ურემი თქვენი უბრყოფის მიზანის გარეშე უნდა მომცეთო და ხვალ თორმეტ საათზე, ორი დღის საგზალი და ხარების თივით, ბაზარზე უნდა გამოცხადდეთო. ძალიან შევწუხდით, მაგრამ აღარაფერი გაეწყობოდა და, მიუხედავად დეიდის წინააღმდეგობისა, მე გაუძეხი ურემს და თან წავიჟანე მოჯამაგირე სომეხი არტაშა.

ბაზარზე გვიციდნენ ჯარისკაცები, რომლებიც გლახებს ჰგვანდნენ, მათი გაცვეთილი ფეხსაცმელებით, ტანსაცმლით და დიდი ხნის გაუპარსავი წვერებით. ოთხ-ოთხი ჯარისკაცი მათი ბარებით დაგვიჯინეს თითო ურემზე და გაგვიუნეს ნავთლულის ყაზარმებისაკენ, საღაც საღამოს გვიან მიველით. ღამე იქ გაგვათენების და მეორე დილით ურმების შებმა გვიბრძანეს. მიგვიჟანეს ყაზარმის უკან საწყობში, საღაც ვნახეთ, რომ ინგლისური ტანსაცმელებით იყო გაჭირდილი. აქ ასიოდე ურემი იციდა, რომლებსაც რიგ-რიგად ტვირთავდენ. ჩემს ურემზე მხოლოდ ფარაჯები დატვირთეს და მცხეთისაკენ გაგვიძლვენ. კარებში რომ გამოვლიოდით, დავინახე ჩვენი გუშინ მოჯანილი რუსი ჯარისკაცები. სულ გამოცვლილები იყნენ ინგლისური ტანსაცმელებითა და ფეხსაცმელებით.

მცხეთაში თავი დავაღწიე ჩემს მეთვალყურეებს. ღამის სიბნელეში არაგვს ფონი მოვუნახე, ხარებს შოლტი გადაგვარ და მღინარეში შევყრე. გავიგონე უკიდან მომყიროლნენ, მაგრამ აღარ მეშინოდა, უკვე მღინარის მეორე ნაპირზე ვიყვით გასული. ერთი კიდევ გადავკარ შოლტი ხარებს და სახლისაკენ გამოვაქროლე.

პატარძელში, რომ მოვედი, დეიდამ ახლად დარიგებული პროკლამაცია გამომიწოდა. წავიკითხე: „მოქალაქენო, თქვენ განთავისუფლდით მენშევიკებისაგან. მათ უნდოდათ შეექმნათ კაპიტალისტური სახელმწიფო, მუშები და გლეხები მონებად გაეხადათ. ქართველმა კომუნისტებმა, ჩვენი მეგობარი საბჭოთა რუსეთის დახმარებით, დავამარცხეთ მენშევიკები. მათი ჯარი და გვარდია გარბის უბრძოლველად, როგორც აქ.“ სართი-ჭალა, ხაშმი, პატარძელული, ახბულალი, ნინო წმინდა და საგარეჯო ჩვენ ავიღეთ უბრძოლველად სამი ლინეიკით. მოქალაქენო, თქვენთვის ომი გათავდა, დაბრუნდით სახლებში უშიშრად და სხვა. ხელს აწერდა გენერალი. გვარი აღარ მახსოვს, მაგ-

მ. თარაშვილი: „საქართველოს უბედურება“

67
საქართველოს უბედურება

რამ ქართული გვარი იყო. ჩვენ არ გვჯეროდა ეს ჭარბი წესის მენად ველოდით საიმედო ამბავს, მაგრამ, პირიქით სულ ცუდი და ცუდი ამბავი მოდიოდა. თბილისის დაკარგვის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა ფეხი ვერსად მოიკიდეს. მთავრობამ ჯერ ბათუმზე დაიხია, მერე კი უცხოეთში წამოვიდა, საქართველომ კი დაიდგა რუსების მონობის ულელი.

(დასასრული)

მიხეილ თარაშვილი

საქართველო 1984

26 მაისი პარიზი

წელსაც, როგორც ეს ტრადიციად იქცა, ჩვენი ეროვნული დღე-სასწაული, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სამი მთავარი მანიფესტაციით აღინიშნა:

1. პარასკევს, 22 მაისს, გაიმართა საზეიმო საღამო,
2. მეორე დღეს, ყაფილი მხედრების საზოგადოებამ ჭავილების გვირგვინი დაადგა საფრანგეთის უცნობი ჯარისკაცის საფლავს და იქ ცეცხლი გააღვივა.
3. სამაგათას, 26 მაისს, საღამოს შვიდ საათზე, პარიზის ჭმინდა ნინოს სამლოცველოში, საზეიმო პარაკლისი შეასრულა ჩვენმა სულიერმა შოღლვარმა, დეკანოზმა ილია მელიამ.

განსაკუთრებით უნდა შეგჩერდეთ 23 მაისს ჩატარებულ საზეიმო საღამოზე, რომელიც პარიზის მე-14-ე არონდისმანის მეჩინის სააქტო დარბაზში გაიმართა და რომელიც საღამოს ცხრა საათიდან გამთენიამდე გაგრძელდა.

საზეიმო საღამოს საპატიო თავმჯდომარეობა ინება, საფრანგეთის სახელოვანმა მწერალმა, ლიტერატორმა, პუბლიცისტმა და ერისა და ადამიანის უფლებათა საყველთაოდ აღიარებულმა დამცველმა, ადადემიკოსმა უან ლორმესონმა, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, საპატიო მიზეზით საღამოს ფიზიკურად ვერ ესწრებოდა. გრძელი მაგიდა საესე იყო, საბჭოთა რეუმის მსხვერპლ, ჩვენს ბედში მყოფ ერთა ემიგრაციების წარმომადგენლებით.

მიტინგი დაიწყო ქართული და ფრანგული ეროვნული პიმნებით, რომლებიც მოსაწონად იმღერა „მერანის“ გაძლიერებუ-



ლმა გუნდმა, ოთარ პატარიძის ლოტბარობით. ზეიმი უკავშირდება და საზოგადოებას ქართულად მიმართა სათვისტომოს თა-რე ოთარ პატარიძემ, რომელსაც მოჰყვა გამგეობის წევრის გია სარჯველაძის ზომიერი და დასაბუთებული მოხსენება ფრანგულად. დამსწრე საზოგადოების ხშირი და მხურვალე ტაში მოწმობდა ორატორების გამარჯვებას. ყაფილი თა-რე თამაზ ნასყადაშვილი მიესალმა სტუმრებს და რიგ-რიგით ტრიბუნაზე მიიღვია. ხალხი განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდა ავღანეთის გმირულად შებრძოლ ეროვნული წინააღმდეგობის წარმომადგენელს საფრანგეთში.

პოლიტიკურ განყოფილებას მოჰყვა ქართული ხალხური ფოლკლორის ზეიმი. „მერანის“ თვითმოქმედ გუნდს, ოთარ პატარიძის ლოტბარობით, მისი სიმღერების არე კიდევ გულფართოებია და დაუხვეწია: „აჩალო“, ხევსურული „ქარბუქი“, „დაუკარ ჩემო ფანდურო“, თბილისური რომანსები, „სამი ქმანი გურულები“, „სალამი ჩიტუნები“, „იმერული მრავალებამიერი“ თუ საცეკვაო სასიამოვნოდ უდერენ. გუნდის წევრები ჩვენთვის კარგად ცნობილნი არიან, მაგრამ დავასახელოთ მათვის, ვინც პარიზიდან შორს არიან: დები თინა და დარეჯან ბერეკაშვილის ასულები, პირველი გიორგი კერესელიძის მეულე, მეორე, -ოთარ ზურაბიშვილისა, ცხოვრებაშიაც ისინი უნაკლონი არიან ფიზიკურად, მაგრამ სცენაზე, ქართულ კაბებში ისნი ჭეშმარიტად ანსახიერებენ ქართველი მანდილოსნის ოდესლაც ვანთქმულ სილამაზეს, თინამ დიდი მოწონება დაიმსახურა სიმღერა „საქართველოს“ სანიმუშო შესრულებით. ვაჟებიდან სამართლიანი მოწონება დაიმსახურეს: ორმა ოთარმა (პატარიძე და ზურაბიშვილი), კონსტანტენ კინსკი-ამილახვარმა და მერაბ ოდიშელიძემ. მოხდენილად იცემვა „ქართული“ მიხეილ გოგიტიძემ, ახლად დამწყბბ, მაგრამ უკვე იმედის მომცემ პარტნიორ ნათელა დავრიშვაშვილთან ერთად.

ცეკვები წარმოგვიდგინეს ახალგაზრდობის სრულიად ახალ ჭარბობადგენერებმა: ნათელა ყაფიანმა, ელისო ჭავჭავაძემ, ან კუანსონ-ლალიძემ, მარტინ მონესტიე ხომერიკმა, ნათელა დავრიშვაშვილმა; ვაჟებმა: ფილიპ ზურაბიშვილმა, თამაზ ყაფიანმა, ტარიელ ლურდენ-ფალავამ, ძმებმა: სტეფანე და გიორგი თაყიაშვილმა, კრისტოფ დეკოტინიე-ლალიძემ და ემანუელ დე ბურბულონ - პაპუაშვილმა - ჭეშმარიტად ქართული ლაზათით და

ტემპერამენტით. ცეკვების ჩეპერტუარი სრული არ იყო, მაგრამ გენერალის რამ თუ დროის იმ მცირე მონაკვეთს გავითვალისწინებოდა მას მარტინის განმავლობაში ის მომზადდა, მაშინ მათი შესრულება დიდ წარმატებად უნდა ჩავთვალოთ. შემსრულებელ ახალგაზრდებთან ერთად, ეს წარმატება უდავოდ, მასწავლებელისა და დამდგმელის, შოთა აბაშიძის დამსახურებაცაა, და ეს აკი იქვე დაუფასეს მაღლიერმა შეგირდებმა, როცა მას სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, სიმბოლიური საჩუქარი მიართვეს სცენაზე. მისასალმებელია, რომ ეს ქართული ხალხური ცეკვების ჭეშმარიტი ხელოვანი, წლების განმავლობაში რომ შემომწყვალი იყო, ისევ დაუბრუნდა ჩვენი სათვისტომოს ახალგაზრდების აღზრდის საქმეს.

საღამოს წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს: ფანდურზე-ოთარ პატარიძემ, პიანინოზე—ნიკო ჭავჭავაძემ, დოლზე—სან-დრიკ დავრიშაშვილმა და უულიან როლან-პიეგ-ბერიძემ, და ბოლოს უნდა აღინიშნოს „ირაკლი და მისი ორკესტრი“-ის (ირაკლი დავრიშაშვილი) მაღალი ოსტატობა ჯაზური და ქლა-სიკური მუსიკის, რომლის ჩითმებზეც საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, დილამდე იცეკვა და დრო ატარა.

ეთერი

** ** ** ** **

სამშობლოს ქრონიკა

— 29 მარტს მიიცვალა ბატონი აკაკი შანიძე. „გუშაგის“ წინა ნომერში ჩვენც მივესალმეთ ამ დიდად ღვაწლმოსილ მეცნიერს და ვუსურვეთ კიდევ მრავალი წლის აქტიური შემოქმედებითი სიცოცხლე. სამწუხაროდ არ გამართლდა! მან ამ დღემდე თითქოს იმისთვის იცოცხლა, რომ თავისი თვალით ეხილა მისი დათესილი მოსავლის რთველი და სულ მაღე საუკუნოდ მიეძინებია. ქართული ენა არ დაივიწყობს მის დიდ მსახურს და მუდამ მაღლობით მოიხსენიებს მაღლიერი შთამომავლობა. ნეტარება მის უკვდავ სულს!

— მარტში ოპერის ცნობილ მომღერალ ზურაბ სოტკილავას ორმოცდაათი წლისთავი მიულოცეს. ჩვენ მას ვუსურვებდით, რომ მისი ვოკალური ნიჭი სამშობლოს მსახურებდეს და არა რუსეთს.



— არაჩეცულებრივად ცუდი ტაროსი კვლავ ონავროტეჭა-საჟარის რთველოს მთიან რაიონებში თითქმის მთელი გაზაფხულის გან-მავლობაშიც. თოვლის ზვავები და მეწყრები ისევ უტევდენ მაღალი მთის სოფლებს. აპრილის ბოლოსა და მაისის დამდეგს, როგორც კი დათბა, აბობოქრდენ მდინარეები და წალეკეს გა-რემ ნაპირები. ოთხსა და ხუთ მაისს განსაკუთრებით იტყ-ბინებოდენ მდინარე არაგვის კატასტროფულ აღიდებას: „არა-გვი მკვეთრად მიუახლოვდა საქართველოს სამხედრო გზას, კა-ტასტროფულ მდგომარეობაშია „ჩაბარუხის“ ხიდი, რომლის ბურჯებს არაგვმა ძირი გამოუთხარა. საფრთხე ემუქრება სო-ფელ ოშპიტალს. ფასანაურიდან მლეთის მიმართულებით წყალ-მა წაიღო მაღალი ძაბვის ელექტრო-გადამცემი და სატელეფო-ნო კავშირგაბმულობის ანძები. მესამე დღეა შეწყდა ამ უბა-ზე დენის მიწოდება“ და სხვა.

როგორც პრესის კითხვიდან ირკვევა, პარტელმძღვანელობა ისევ და ისევ პროპაგანდით აპურებს და უშუშებს წყლულს სტიქის მსხვერპლთ. კიდევ უარესი, სარგებლობს შემთხვევით, რომ მაღალი სვანეთის დანგრეული სოფლები გააუკაცირობით, იქაური გადარჩენილი სვანები კი განვითარება სამხრეთ - აღმოსავ-ლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

ჩვენი მოწოდება, რომ ბუნების მსხვერპლ თანამემამულე-ებს დაკმარებოდით, სათვისტომოს გამგეობამ არ გაიზიარა. მათი უარის მიზეზი საყურადღებოა: ჩვენი შეკრებილი თანხა საბჭოთა სახელმწიფო ბანკში შევა, ჩვენს დაბეჩავებულ ხალ-ხს არც მოახმარენ და არც არაფერს ეტყვიანო, მაგრამ მე მაინც მგრძნია, რომ თუ მოხერხებული პირები გამოჩნდებოდენ, შეუძლებელი არ იქნებოდა დაზარალებულებისაკენ პირდაპირი გზის გამონახვა. ქართული ანდაზა ხომ ამბობს: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო“.

— შეიქმნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო იუბილეს მომწყბი კომისია. იუბილე ჩატარდება ნოემბერს მოსკოვში ოპერისა და ბალეტის თეტრში.

— წელს ათი შვილის დედები არიან: ხატიჯე დუმბაძე და ნანი შაინიძე, ორივე ხულოს რაიონიდან (აჭარა). ვაშა აჭარე-ლო დედებო! იქნებ თქვენ მაინც შეაგსოთ ჩვენი ხალხის და-ნაკლისი.

სამშობლოს ქრონიკა

— მაისის მეორე ნახევარში ქალაქ ბელფასტსა და, სონონ-ში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა სუხიშვილის ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლის გასტროლები. ამ განსვენებული ილიკო სუხიშვილის მსოფლიოში სახელგანთქმულ კოლექტივს კვლავ ხელმძღვანელობს მისი ქვრივი, სსრკ სახალხო არტისტი, ქალბატონი ნინო რამიშვილი და მისი ვაჟი, საქ. სსრ სახალხო არტისტი, თენგიზ სუხიშვილი.

„მ ნ ა ნ ი ე ბ ა“ კანის ფესტივალზე

ჩვენმა მკითხველებმა, ეჭვი არაა, რომ ბევრი რამ იციან თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიების“ შესახებ. ეს ფილმი ამ წლის დასაწყისში გამოუშვეს მოსკოვის მრავალ კინო-თეატრებში, სადაც მან მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია და, რაც მთავარია, ცენტრალური საინფორმაციო-საპროპაგანდო საშუალებების ერთობლივი მოწონება დაიმსახურა, რაც თავის-თავად მოწმობს, რომ ფილმი გორბაჩივის მფარველობით სარგებლობს და მის პოლიტიკას უწყობს ხელს. მოსკოვში აპრედიტებული კორესპონდენტების მიერ „მონანიების“ წარმატების ამბავი სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს.

საბჭოთა პრესა უკვე დიდი ხნის წინად წერდა, რომ „მონანიება“ კონკურსში მონაწილეობას მიიღებდა კანის მსოფლიო კინო-ფესტივალში. ჩვენც ამ მოვლენას ინტერესით მოველოდით. ჩვენი მოლოდინი სასიამოვნოდ გამართდა. წლევანდელი კანის საერთაშორისო ფესტივალის კონკურსში სამი ქართული კინო-ფილმი მონაწილეობდა და მათგან ორმა პრიზი დაიმსახურა: თენგიზ აბულაძის „მონანიებამ“ „უიურის სპეციალური პრიზი“ და ნანა ჯორჯაძის სატირული კომედიის ფილმმა: „რობინზონადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპამ“ - ოქროს კამერა. კანის ფესტივალის ამ ლაურეატებთან ერთად მთელმა ქართულმა კინოხელოვნებამ უნდა იამაყოს. კინოს სპეციალისტების უმრავლესობის აზრით საბჭოთა ქართული კინო ტექნიკურად ჩამორჩება, მაგრამ ბრწყნავს ტალანტებით. იგივენი იჩრმუნებიან: „მონანიებამ“ პრიზი მიიღო იმის გამო, რომ ის გამოიყენება სიტყაა სტალინის სისხლიანი დიქტატურის დასაგმობადო. გაბედული სიტყა ის შეიძლება იყოს საქართველო-



ში და სხვაგანაც საბჭოთა კავშირში, სადაც სტალინისტები უფლის
აღვირახასნილი ტირანის საზოგადო ბოროტებათა პრატისტულების
ბლები ჯერ კიდევ განაგებენ ხელისუფლების მნიშვნელოვან
დასაჭრენ ბერკეტებს, მაგრამ ის არც პირველი და არც ყ-
ელაზე გაბედულია არაკომუნისტური მსოფლიოსათვის. კერძოდ
კინო-ხელოვნებაში მას არ ეკუთვნის პირველობა მის შემდეგ,
რაც სამოცდაათიან წლებში ბერძენმა კინო-ხელოვანმა კოსტა
გრავამ დადგა და მსოფლიოს აჩვენა, არტურ ლონდონის იგი-
ვე სახელწოდების ისტორიული მოთხოვნის მიხედვით გაკეთე-
ბული ფილმი „მონანიება“ (*AVEU*), რომელშიც მთავარ როლს
ასრულებს ფრანგი მსახიობი ივ მონტანი, წლევანდელი კანის
მსოფლიო ფესტივალის თავმჯდომარე. მან ყველა სხვაზე უკ-
ედ უწყის, თუ ვინაა პირველი და ვინ გაბედული. ჩვენი ჰე-
ით კი, 30 წლის შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ სტალინ-
ის მუმია წითელი მოედნის მავზოლეუმიდან გამოაძევა, მისი
ბოროტებათა მხილება, და ისიც გადაკრულად, იგავებით და
პარაბოლებით, გაბედულ მხილებას არ წარმოადგენს. რაც შე-
ეხება ფილმის მხატვრულ მხარეს, ჩვენ ვერაფერს ვიტჟით,
რადგანაც ის ჯერ არ გვინახავს.

ამ წლის კანის კინო-ფესტივალის შედეგების უამრავ კორეს-
პონდენციდან ქვემოდ ჩვენს მყითხველებს ვთავაზობთ აღიქს
დე სენ-ანდრესა და ვერონიკ გრუსეს რეპორტაჟს, რომელიც
გამოქვეყნდა უკანონებულ ფრანგულ უურნალ „ლიტერატუ-
რულ ფიგაროს“ ამ წლის 23 მაისის ნომერში და რომლის სა-
თაურია: „Cannes 87, c'estait „Sous le soleil de Gorbatch-
ev“ (კანი 87, ეს იყო „გორბაზოვის მზის ქვეშ“.) წინწკლებ-
ში მოთავსებული წინადადების აზრის გაგება არ გაგვიჭირდე-
ბა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფესტივალის პირველი პრიზი
„ოქროს პალმა“ წილად ხედა ფრანგ რეალიზატორ პიალას
ფილმ „სატანის მზის ქვეშ“ -ს, რამაც საყველთაო უკ-
მაყუფილება გამოიწვია. მოგვყვს წერილის მხოლოდ ის ნაწი-
ლი, რომელიც „მონანიებასა“ და ქართულ კინოს ეხება.

„...ნორმალურია, იტჟით ოქვენ, გამოუშვეს რუსები,
რუსები კი, ეს კარგადაა ცნობილი, სულის სპეციალისტები
არიან. (კანის ფესტივალზე სწორედ სულ ეძებდენ ფილმში. გ.)

„რუსები, განსაკუთრებით. ისინი, რომელთაც იშვიათად წერა
ვდენ უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში, ყელა ფესტივა-
ლზე არიან ახლა წარმოდგენილი. ისინი ჯერ კიდევ განცვი-
ფრებულნი არიან, რომ მათ ნებას აძლევენ მათი პირადი პა-
სპორტების – მეფური ლურჯი ფერი ს.ს.ჩ.კ. ოქროს ასოებით
დადაღული – ქონებისას და, რომელთაც ისინი არასოდეს თა-
ვიდან არ იშორებენ, თან დაატარებენ სმოკინგის ან პერან-
გის პატარა ჯიბეებში. ალბათ ამიტომა, რომ არცერთი მათ-
განი არ გვინახავს საბანაო მაისურებში.

მაგრამ ისინი რუსები არ არიან, ვისაც კანი ქვეშ
გაეგო. კანი ქვეშ გაეგო ქართველებს, ძალიან თავისებურ სა-
ბჭოელებს, მათი „ძე“ გვარებით, მათი გრძელი მეტრაჟებით,
რომელთა ფირები მუდამ წყდება, და მათი ენით, რომელიც
არცერთ სხვას არ ჰგავს. სულ სამი ქართველი სამი სექცი-
ის ოფიციალურ შეჯიბრებაში.

უნდა კარგად გაგვიგოთ: ქართველები ძალიან საინტერესო
კინოს აკეთებენ, მათი თავისუფლების მიხედვით, მაგრამ მათ
კინოს, რომელიც ბაზრის ნაწყვეტებისგან შედგება, არავითა-
რი შესაძლებლობა არ გააჩნია ფართო პუბლიკასთან შეხვედ-
რისა და არც ფესტივალების გარეშე ნახვისა. სამაგიეროდ,
ეს ისეთი კინოა, რომელსაც შეუძლია ყელა პრიზი მიიღოს
ფესტივალებზე. „მისი გამზედაობით“, ამბობენ საინფორმაციო
საშუალებები, რომლებიც, ამგვარად, პროპაგანდას უწევენ
გორბაჩივის „ლიბერალიზმს“, თითქოს პროპაგანდის ამ მეფეს
ამის შესახებ არ ეზრუნოს.

ერთსულოვნად, რაც გულის შემძვრელი იქნებოდა, სავალალო
რომ არ იყოს, პრესამ ხაზი გაუსვა თენგიზ აბულაძის „მონა-
ნიების“ დიდ გაბედულებას (ჟიურის სპეციალური პრიზი),
რადგანაც ის ამხელს დიქტატურას. შეუდარებელი მახვილგო-
ნიერებით ფილმის მთავარ გმირში გამოიცვნეს სტალინი.
თითქოს, ოცი წლის შემდეგ დესტალინიზაციისა, მისი მხილე-
ბა წარმოადგენდას დამჭურებულებას.

ამ ძეველი პროვოკაციის ძიებაში, გვერდი აუარეს ნამდვილ
პროვოკაციას ფილმისას, მოდერნულ, გონებამახვილურ პროვო-
კაციას. დაამთავრო ფილმი ს.ს.ჩ.კ.-ში შემდეგი ფრაზით:
„რა მაქნისია ქუჩა, რომელსაც არცერთ ტაძარში არ მიუავ-

ხარ?“, აი ეს არის ნამდვილად თავხედური.



„მონანიუბაძის“ მთავარი როლის შემსრულებელი ხელისუფლებასთან, გვიხსნის ფილმის ჩაღლიზატორი, მე ის მივაღებიე იმ განმარტებით, რომ ავუხსენი: ტაძარი ნიშნავდა სიმბოლიურად შემოქმედებას, სილამაზეს, კეშარიტებას...— რელიგიური ფილმის გაკეთება გინდოდათ?

— მე გავაკეთე ფილმი სიკეთეზე, სილამაზეზე, კეშარიტებაზე, რის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია...ეს არის, აგრეთვე, რელიგიური, პასუხობს ის და თან ყველ სიტყვას წონის და, ჩანს, აგრეთვე, რომ თარჯიმისიც წონის. მთარგმნელი ირწმუნება, რომ მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ათეიისტია. — კი, მაგრამ, თქვენ იცნობთ ბევრ ათეიისტს, სამჯერ რომ პირჯვარს იშერდეს პალმარეს გამოცხადების წინ? — საქართველოში, გვიხსნის ნანა ჯორჯაძე (ოქროს კამერის ლაურეატი), აშკარად სხვებზე უფრო ეშ-



მაკი, ჩვენი კულტურული დედაარსი განუშორებელი ყოფილ ანული წინააღმდეგობის გაგებისაგან.

„მონანიება“ იწყება უცნაური, შემაწუხებელი სცენით. ვიღლაცა კაცი, განრისხებული ხელით გლეჯს შაქრის ეკლესიას, რომელსაც რაღაც ნაწილი აგვირგვინებს და გაშმაგებით ნოქაებს მას. გაკვირვება დარბაზში. კანში. — „მოსკოვშიც, აზუსტებს აბულაძე. როცა ნამდვილ ტაძრებს ანგრევენ, როგორც ეს ჩვენში ქნეს, ისინი სტომაქზე გვეცემიან. ადამიანები სხვა აღარჩია არიან, გარდა სტომაქებისა..“

რედაქციის თარგმანი

გ ლ ვ ი ს კ უ თ ხ ე

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

— ამ წლის 29 მარტს, 89 წლის ასაკში, გარდაიცვალა პრინცი აშოლ მიურატი. პირველ აპრილიდან მისი ცხედარი განისვენებს საგვარეულო სამარხში.

— წელსვე 1 აპრილს, ქალაქ ესსენში (გ.ფ.რ.), 85 წლის ასაკში, გარდაიცვალა რაფიელ ჯაში და დაკრძალეს 10 აპრილს.

— ა. წ. 15 აპრილს, ქალაქ იტცეპოეში (გ. ფ. რ.), 84 წლის ასაკში, გარდაიცვალა დავით ვაშაძე და იქვე დაასაფლავეს 22 აპრილს.

— ა. წ. 25 აპრილს, ქ. კლამარში (პარიზის გარეუბანი), ხანდაზმული გარდაიცვალა ქალ-ნი პოლიკო კლდიაშვილისა-მეტენე და დაიკრძალა სოფელ ლევილის სასაფლაოზე.

— ა. წ. 9 მაისს, სოფელ ფოლი-ში, 68 წლის ასაკში, უეცრად გარდაიცვალა ვასო (ვახტანგ) ბერიაშვილი და დასაფლავდა სოფ. ლევილის სასაფლაოზე, 15 მაისს.

— წელს 14 მაისს, ქ. ოქსერში (89001 საფრანგეთი), 80 წლის ასაკში, გარდაიცვალა ვანო თურქია.

და სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ჭირისუფალთ.

დ ა ვ ი თ ვ ა შ ა ძ ი ს ნ ე კ რ ო ლ ი გ ჟ რ ი ც ე ბ უ ლ ი პ ლ ა ბ ი რ ი ტ ი ს ს ი ს



აპრილის თვეში ჩვენთვის გან-
საკუთრებით სამწუხარო ორი
ცნობა მივიღეთ: დასავლეთ გერ-
მანიაში თრი ღირსეული მამულ-
იშვილის, რაფიელ ჯაშისა და
დავით ვაშაძის გარდაცვალების
შესახებ. ისინი განსხვავებული
პოლიტიკური მიმართულებისანი
იყვნენ, მაგრამ მათ აერთობდათ
საბჭოთა სისტემის მორალის მძუ-
ლვარება და, რაც მთავარია, უმ-
წიდვლო და უანგარო მამულიშვი-
ლობა.

დავით ვაშაძეს პირადად არ
ვიცნობდი, მაგრამ მიწერ-მოწერ-
ით ძალიან დაახლოებული ვიყვით
ერთიმეორესთან. ის ჩვენი გამო-
ცემის ერთგული თანამშრომელი
იყო ბოლომდე, სანამ, ამ 2 წლის
წინ, დამბლის დაცემამ ის აქტიურ
ცხოვრებას არ მოწყიტა.

დავითი დაიბადა ჭიათურაში
1903 წლის. მამა-ისაია მღვდელი
უფილა ჭიათურის მახლობლად,

დედა კი, ბარათაშვილის ასული, განათლებული და სათნო მეო-
ჯახე ბრძანებულა. მშობლებს 8 წლის დავითი ქუთაისის გიმნა-
ზიაში შეუჭანიათ. რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ
გული აღარ დადგომია ქუთაისში და სასწავლებლად მშობლიურ
ქალაქში დაბრუნებულა. სწავლასთან ერთად მას აქტიური პო-
ლიტიკური მოღვაწეობა დაუწყა, ახალგაზრდა სოციალ-ფედერა-
ლისტი გამხდარი. მისი პოლიტიკური საქმიანობა განსაკუთრებუ-
ლით გაცხოველებულა საქართველოს რუსული ჯარებით გასაბჭო-
ების შემდეგ. მას განსაკუთრებით თავი გამოუჩენია **26 მაისი**
ობის საპროტესტო მანიფესტაციებში, რის გამოც ის ჩეკამ და-



დავითი და მისი მეუღლე
ანემარი. გადაღებული **1974.**

აპატიმრა. ჭიათურიდან ჯერ ზესტაფონის ჩეკაში გადატყვევის იქიდან კი თბილისის ჩეკაში. მის შემდეგ, რაც მეტერთობის 60 პოლიტატიმარი დასავლეთ ევროპაში გადმოასახლეს, დავითი მეტების ციხეში გადაიჭანეს. დატრიალდენ მშობლები, მეგობრები და რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ ციხიდან გაანთავისუფლეს

დავითი, იმ პირობით, რომ საქართველოს დასტოვებდა. ციხიდან გამოსულს, პასპორტი მზად დაახვედრა გალაქტიონ ვაშაძემ. გერმანიის ვიზა კი, მის ძმა სიმონიკასთან ერთად, კონსტანტინე გამსახურდიამ მოუხერხა.

ჭიათურაში ჩასულს, მეგობრებმა დიდი გამოსამშვიდობებელი საღამო მოუწყეს, რომელსაც ქალაქის ნაღები პატრიოტი საზოგადოება ესწრებოდა. აქვე იჯენ ჰელა შავი ქვის მრეწველები, რომელმაც თავი დაუნანებლად დაიბეგრეს, რომ ეპროპაში უმაღლესი ცოდნის მისაღებად მიმავალ ახალგაზრდებს დახმარებოდენ. ქართული ნადიმი პატრიოტულ მანიფესტაციაში გადავიდა.

დავითმა გერმანიაში დაამთავრა სატექსტილო უმაღლესი სასწავლებელი. რის შემდეგ საცხოვრებლად საფრანგეთში გადმოვიდა. მისი ძმა-სვიმონი კი სამშობლოში დაბრუნდა. იქ ის თავიდან კარგად მიიღეს, მაგრამ მერე დააპატიმრეს და უგზოუკვლოდ დაიკარგა. ცხადია: ჩუმად საღლაც დახვრიტეს.

მეორე მსოფლიო ომის დროს დ. ვაშაძე ისევ დაბრუნებულა გერმანიაში. იქ გაიცნ და შეიუღლა გერმანელი ქალი-ანნე-მარი ივენს, რის თაობაზეც ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში მწერდა: „გერმანიაში ისეთი ქილი შემახვედრა ბედმა, რომელსაც თვით სიზმარში ვერ ვინატრებდი“-ო. ომის შემდეგაც მუდამ გერმანიაში ცხოვრობდა... და იქ მოუსწრო სიკვდილმაც.

მე არ ვიცი, თუ დათიკოს ცოდვა აწევს რამე სინდისზე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მან სამშობლოს თავისუფლებისა და დიდების მოლოდინით იცოცხლა და ჟელა კეთილშობილი მამული-შვილისაგან შენდობის ლირსია. საუკუნო იყოს ხსენება მისი!

რაფიელ ჯაშის გამოსათხოვარი

რ. ჯაში დაიბადა გურიის სოფელ ბასილეთში. მამამისი მღვდელი იყო, დედა, კულტურული მანდილოსანი, კი მეოჯახე. მშობლებმა შვილს ქართული ენისა და კულტურის სიცარულის გა-



რდა, დიდი აღამიანური ზნეობაც ჩაუნერგეს. რაფიქური გვარების ნებალე მოსწავლე ყოფილა. საშუალო სკოლის წარჩინების დამტკიცებულების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას, სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად, ევროპაში გამოუგზავნია უმაღლესი ცოდნის მისაღებად.

ჩ. ჯაშმა წარმატებით დაამთავრა გერმანიაში სამთო-საინჟინერო უმაღლესი სასწავლებელი. ვინაიდან მან დაპყრობილ სამშობლოში დაბრუნება არ ისურვა, სამსახური დაიწყო ნავთის მომპოვებელ ფირმაში, სადაც კარგ მდგომარეობასა და მატერიალურ უზრუნველყოფას მიაღწია. ცოლად შეირთო გერმანელი ქალი, რომელმაც სამი ვაჟიშვილი შესძინა.

მე ის გავიცანი 1974 წელს, როცა ჩვენ თავისუფლების ტრიბუნის „გამოცემა დავიწყოთ. თუმცა 70 წელს გადაცილებული იყო, მანც ქარმაგად გამოიყურებოდა, მომხიბლავი სახით, მწყვბრი მაღალი ტანით და არისტოკრატიული თავის დაჭერით, საერთო ყურადღებას იპყრობდა. ის ხშირად ჩამოდიოდა პარიზში. საფრანგეთში მას ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. ყაველთვის მესტუმრებოდა. პირველ ხანებში სტარიებს გზავნიდა რედაქციაში, ხოლო მატერიალურად ყაველთვის ხელგაშლილად ეხმარებოდა მას. ბ. რაფიელი ერთგული თანამშრომელი და მოამაგე იყო აგრეთვე „კავკასიონის“ და ასევე, ვფიქრობ, ყველა სხვა ქართული გამოცემებისაც.

ღრმად მოხუცებული, ორ წელზე მეტია, რაც გარე სამყაროს და ჩვენც მოგვწყდა. მიუხედავად მოლოდინისა მისი სიკვდილის ამბავმა უაღრესად დაგვამწუხარა. მას სამი ვაჟი: უდო, მარიო, არნო და ოთხი შვილიშვილი დარჩა. ჩვენს თანაგრძნობას ვუცხადებთ მათ, მიცვალებულს კი საუკუნო ნეტარი განსვენება.

პრინცი აშილ მიურატის ხსოვნა

აწ განსვენებულის, განთქმული ფრანგი გვარიშვილის, ძარღვებში ქართული სისხლიც სდიოდა, რადგანაც მისი ბებია სალომე დალიანი გახლდათ. კიდევ მეტი, რვა წლის ბავშვი ზუგდიდში ბებიასთვის მიუგვრიათ და იქ დარჩინდა 1916 წლამდე გასაკვირი არაა, რომ ის თავს ქართველადაც თვლიდა და მჭი-

დრო ურთიერთობა არ შეუწყეტია არც ჩვენს სამშრალებულო
არც მის ემიგრაციასთან. მე მას პირველად შევხვდეს 1932 წელს
ქ-ნმა კოკემ წარმადგინა (ნიკო ნიკოლაძის ასულმა), ახალგა-
ზრდა პრინცი ინდოეთიდან ახალი დაბრუნებული იყო და იქ
ნადირობის დროს გადაღებული სურათების პროექციაში მთხო-
ვა დავხმარებოდი. იგი უაღრესად თავმდაბალი, გულისხმიერი
და კაცომფუარე არისტოკრატი იყო.

ა. მიურატი დიდი პატრიოტი იყო. ორივე მსოფლიო ომში მო-
ნაწილეობა მიიღო როგორც მოხალისებმ. ავიაციის პილოტს მრა-
ვალი ჯილდო-ორდენები ჰქონდა, მათ შორის, 1961 წელს ის
აკადემიური იქნა „საპატიო ლეგიონის“ ოფიცირის ლირსებაში.
სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, ის იყო საპატიო
პრეზიდენტი მერვე სამხედრო რეგიმენტის ჭაფილ მეომართა სა-
ზოგადოების.

მიცვალებულის წესის აგება შესრულდა ინვალიდის წმინდა
ლუის ეკლესიაში, ზღვა პატივისმცემლებისა და მრავალრიცხვან
ოჯახისწევრების თან დასწრებით, მათ შორის მოსახსენებულია,
საფუ. იუსტიციის მინისტრი ალბენ შალანდონი, განსვენებულის
სიძე. კუბოს საპატიო ყარაულში ედგა სხვადასხვა სამხედრო
შენაერთების დროშები. მათ გვერდით უდგა ჭაფილ ქართველ
მებრძოლთა საზოგადოების ალამიც.

საუკუნო სასუფეველი მის უკვდავ სულს!

ვიქტორ ინაშვილი

შემოწირულებათა სია

ვახტანგ საყვარელიძე	— მამაჩემ ილიას, დაბადებიან 100 და და-
	ლუპილან 50 წლისთავის შესრულების
	გამო, კეთილი ხსოვნისა — 531
ტატიანა ჭავიაშვილისა	— მეუღლე ბაგრატის ხსოვნისა — 400
ვალიკო ჩუბინიძე	— 200 იონა გუნია — 200
ნიკო ბედელაძე	— 200 მართა სტურუა — 50
ირენ ბაგრატიონი	— 100 დავით თორაძე . 1000
ანტონ ალანია	— 200 გიორგი მორალიშვილი — 265
მიხეილ თარაშვილი	— 600 ნიკო ურუშაძე — 500
ირაკლი ოთხმეური	— 158 შოთა ბერეზიანი — 100
მამა ილია მელია	— 300 შალვა ცინცაძე — 220
ივლიტე გოგუაძე	— 100 შოთა გვასალია — 200

მიშა გოგორიშვილი — 300 თათრახან ანთაძე
 აკაკი ბარკალაია — 300 ვარლამ ანთელავა

ჯამი

6.524

„გუშაგის“ უღრმესი მაღლობა ჭელას, ვინც მისთვის ნება-
 ყოფლობით თავს იძეგრავს.

**

**

**

**

გრიგოლ რობაკიძის რეაბილიტაცია?

„ხსოვნის დღე“-სთან დაკავშირებით (11 - 12 აპრილი) ათი აპ-
 რილის „ლიტერატურული საქართველო“-ში გამოქვეყნებულია,
 მწერალ ოთარ ეგარის ლიტერატურული არანუმანი, რომელშიც
 რიგ-რიგად მოხმობილია მაქსიმ გორგის და გრიგოლ რობაქიძის
 გამოხმაურებები, ლენინის გარდაცვალების თაობაზე. არის ეს
 მაუწყებელი გ. რობაქიძის ოფიციალური რეაბილიტაციის? ეს
 ახლო მომავალმა უნდა დაგვანახოს. გუშაგი

**

**

**

**

წინა ნომერში შემჩნეული შეცდომის გასწორება:

75 გვ-ზე დაბეჭდილია: გარდაიცვალა დავით ანდოულაძე, უნდა
 იყოს: დავით ბალრიძე.

შინაარსი

- .3 ჯვართსაგალობელ- საღიდებელი გივი შაორელი
- .4 ოცდაექვსი მაისობა გიორგი ტოგონიძე
- .6 საბჭ. რუსეთ-საქართველოს ხელშე- გულნარა ურატაძე
- კრულების 67 წლისთავი რედაქტორი
- .9 გორბაჩივი ლიბერატორი? გულნარა ურატაძე
- .10 წინააღმდეგობის ინტერნაციონალის განცხადება
- .17 ულირსებო კაცი („მნათობი“) აკაკი ბაქრაძე
- .32 გულის ამრევი წუმპე პაპუნა ლუბაშვილი
- .39 გრიგოლ შარაშენიძის საქმე ირაკლი შარაშენიძე
- .42 საქ. შეც. აკადემია- I (დასასრული) თარგმანი %. ნარსასაი
- .54 ლექსები: გივი შაორელის, ნოშრევან გალაშვილის, ირაკლი ითხმეზურის, პერევისელის.
- .57 საბჭ. იუმორის ორი ნიმუში (ფრანგულიდან გადმოქართ-ლი.)
- .61 ბავშვობისა და ყრმობის მოგონება მიხეილ თარაშვილი

n° 20 15-0

MINISTÈRE DE LA CULTURE
REPUBLIQUE DE GÉORGIE

GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE